# არსენალი

№21 (168) 12-25 ოქტომბერი, 2012 წ. სამხედრო-ანალიტიკურ... ი 2 ლარი

1425
2012
ეროვნული ბიბლიოთეკა




## რისთვის სცემდა თავდაცვის მინისტრი ჯარისკაცებს...

## პოლონელმა გენერალმა სააკაშვილის გარემოცვაში რუსი აგენტები აღმოაჩინა?!

## ახალი შანსი ქართული არმიისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნასახლარი ოჩამჩირეში 45



იუნკრები კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლაში 37

ვინ უფრთხოდა ძილს გურულებს... 49




როგორ დაიბომბა გუდაუთა 34






„კავკაზ 2012" მეზობლებისთვის დაქნეული თითი 12

პისტოლეტი ქუჩური გარჩევებისთვის 53



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

პალიტრა მედია


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**პერსპექტივა**

7 ახალი შანსი ქართული არმიისთვის

**ძალადობა არმიაში**

9 რისთვის სცემდა თავდაცვის მინისტრი ჯარისკაცებს...

**სწავლებები**

12 „კავკაზ 2012“ — მეზობლებისთვის დაქნეული თითი

**ინოვაციური ტექნოლოგიები**

15 ტყვიაზე უსწრაფესნი

**რეგიონი**

18 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**სპეცსამსახურები**

20 რთული გზა: პოლიტიკური პოლიციიდან ეროვნულ სპეცსამსახურებამდე

**კონფლიქტები, კრიზისები**

23 ნიგერია — ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირების კერა აფრიკაში

**100 დიდი მხედართმთავარი**

26 ჯონ ჩერჩილი, ჰერცოგი მალბორო

**მეომრები**

30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**ფლოტი**

34 როგორ დაიბომბა გუდაუთა ზღვიდან

**სამხედრო წარსული**

37 იუნკერთა საბრძოლო დანაკარგი კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლაში

**სამხედრო წარსული**

40 ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა და ქუჩური ჩხუბის ელემენტები

**ორი სტიქიის მბრძანებლები**

42 საგემბანო ავიაცია

**ლიტერატურული გვერდი**

45 ნასახლარი ოჩამჩირეში

**სამხედრო ისტორიები**

49 ვინ უფროსობდა ძილს გურულებს...

**იარაღის გალერეა**

53 შვედური პისტოლეტი ამერიკული ქუჩური გარჩევებისთვის

გარეკანზე: EF-2000 EUROFIGHTER


## რედაქციისგან

საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვის სამინისტროში, ისევე როგორც შსს-ში, დიდი ცვლილებები იწყება, რაც საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალების“ დამარცხებამ და „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ განაპირობა. გასაკეთებელი ძალზე ბევრია, თუნდაც იმ მონსტრის დაშლა, რასაც დღეს წარმოადგენს შსს, რომელსაც აუცილებლად უნდა გამოეყოს უშიშროების სამსახური, რათა ერთი მინისტრის (თუგინდ ძალიან კარგის) ხელში არ იყოს თავმოყრილი ასეთი საშიში ძალა.

„არსენალი“ წარმატებას უსურვებს მოსახლეობის უმეტესი ნაწილით არჩეულ ახალ გუნდს და საერთო ქართულ საქმეში გვერდით დადგომას ჰპირდება, მაგრამ თუკი ისევ დაიწყება უკანონობა ძალოვან სტრუქტურებში, მაშინ „არსენალი“ პირველი ჩადგება კრიტიკოსების რიგში.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩახანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
8.10.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ირანის ბირთვულ ობიექტებს „ჯაშუში — ქვები“ უთვალთვალებენ



ცოტა ხნის წინ ირანული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ უჩვეულო ინციდენტის შესახებ, რომელიც ურანის გამდიდრებაზე მომუშავე ქარხნის ახლოს მოხდა.

უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლებმა, რომლებიც ქარხნის ტერიტორიაზე პატრულირებდნენ, ყურადღება მიაქციეს უჩვეულო კლდის ნატეხს, თუმცა, მისი დათვალიერება აღარ დასცალდათ, ის აფეთქდა.

მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, რომ სინამდვილეში ქვა ელექტრომოწყობილობა იყო, რომელიც სავარაუდოდ ბირთვულ ობიექტზე მონიტორინგს ახორციელებდა და მონაცემებს თანამგზავრს გადასცემდა. მას შემდეგ კი, რაც „ჯაშუში — ქვა“ აღმოაჩინეს, აპარატმა ავტომატურად თვითგანადგურების რეჟიმი აამოქმედა.

რა თქმა უნდა, ირანელები „ქვის“ წარმომავლობას აშშ-ს უკავშირებენ. მსგავსი მოწყობილობები ამერიკელებს უკვე ათწლეულებია მართლაც აქვთ. ასეთი „ქვები“ კი ლიბანის ტერიტორიაზე ისრაელის შეიარაღებულ ძალებსაც მიმოუბნევიაა.

## აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოება „მსუქნების არმიაზეა“ დამოკიდებული?

აშშ-ში გამოქვეყნდა ანგარიში, სახელწოდებით „ომისთვის მსუქნები“. მასში სამხედრო ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ამერიკელ მამაკაცთა შორის გავრცელებული სიმსუქნე პირდაპირ უქმნის სერიოზულ პრობლემას ქვეყნის არმიას და შესაბამისად, ნაციონალურ უსაფრთხოებას.

არადა, ზედმეტი კილოგრამებით შეწუხებულ გასაწვევი ასაკის ამერიკელთა რიცხვი შესამჩნევად მატულობს. ყოველი მეოთხე პოტენციური რეკრუტი სიმსუქნეს უჩივის და შესაბამისად, სამხედრო სამსახურისთვის უვარგისია. ექსპერტთა პროგნოზით, ყოველივე ეს, სერიოზული კონფლიქტის შემთხვევაში, პენტაგონის გეგმას დაკავშირებულს მობილიზაციასთან, პრობლემას შეუქმნის.

ამერიკული არმიისთვის სიმსუქნე სერიოზული პრობლემა არა მხოლოდ მომავლის ჭრილშია. ანგარიშის თანახმად, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო თითქმის მილიარდ დოლარს ყოველწლიურად უკვე ახმარს ჭარბწონიანი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამედიცინო მომსახურებას.



## ავღანელმა დიზაინერმა ნაღმებთან საბრძოლველი „ბაბუაწვერა“ შექმნა



დედამიწის ზურგზე მრავლადაა დანაღმული ტერიტორიები, რაც საფრთხეს არა მხოლოდ მებრძოლებს, არამედ საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ რიგით ადამიანებსაც უქმნის.

წარმოშობით ავღანელმა დიზაინერმა მასუდ ჰასანიმ, რომელიც ამჟამად ინგლისში ცხოვრობს, საბავშვო სათამაშოს პრინციპზე Mine Sweeper-ი შეაკოწიწა, რომელიც დანაღმული ტერიტორიის „გაწმენდისთვისაა“ განკუთვნილი.

ჰასანის გამოგონება ვეებერთელა ბაბუაწვერას ჰგავს, ბამბუკისგანაა დამზადებული, ქარის მოქმედებით დაგორავს და კონსტრუქციის „ფეხი“ ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმზე „დაბიჯებისას“ ფეთქდება.

როგორც ირკვევა, ავღანეთში დაბადებული და გაზრდილი ჰასანი თავის დროზე უბედური შემთხვევის მომსწრე გამხდარა, რომლის დროსაც დანაღმულ რაიონში მოთამაშე ბავშვები აფეთქების შედეგად დაშავდნენ. ინოვაციური გამოგონების შექმნისკენ დიზაინერს თურმე სწორედ იმ შემთხვევამ უბიძგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ხელყუმბარა ტყვიის მოხვედრით არ ფეთქდება

ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ შეიარაღებაში მიიღო ახალი ტიპის ხელყუმბარა Number 26, რომელიც ტყვიისა თუ ნამსხვრევის მოხვედრას უძლებს და არ ფეთქდება. ხელყუმბარის შექმნაზე კონცერნმა Israel Military Industries-მა იზრუნა და მას 2 წელი მოანდომა.

მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ ახალი საბრძოლო საშუალება მნიშვნელოვნად შეამცირებს ისრაელის ჯარისკაცებს შორის შემთხვევით მსხვერპლს. საერთოდ კი ტყვიისა და ნამსხვრევებისადმი მედეგი ხელყუმბარის შექმნის საჭიროებაზე განსაკუთრებით 2010 წელს, საომარი ოპერაციის დროს მომხდარი ერთი შემთხვევის შემდეგ დაფიქრდნენ. მაშინ პალესტინელის ნასროლი ტყვია ისრაელის არმიის ჯარისკაცის ჯიბეში ჩადებულ ხელყუმბარას მოხვდა, რის შემდეგაც ის აფეთქდა და ორი მებრძოლი სიცოცხლეს გამოასალმა.



Number 26 ყველაფერთან ერთად, ცეცხლის ზემოქმედებასაც იტანს, ჩვეულებრივისგან პრინციპულად არ განსხვავდება და მისი წარმოება კი მხოლოდ 5-10%-ით ძვირი იქნება. ისრაელის ახალი ხელყუმბარით უკვე დაინტერესდა რამდენიმე ქვეყნის სამხედრო უწყებაც.

# ამერიკელები ასტეროიდებთან საბრძოლველ იარაღზეც მუშაობენ

ამერიკელი მეცნიერები არა მხოლოდ მიწიერ მტრებთან საბრძოლველ იარაღზე მუშაობენ. ისინი საფრთხეს კოსმოსიდანაც მოელიან და ცდილობენ, საჭიროების შემთხვევაში ასტეროიდებთან გასამკლავებლად ეფექტურ საშუალებას მიაგნონ.

ამ მიმართულებით მათი ერთ-ერთი ბოლო პროექტი ასტეროიდის ჰიპერსწრაფი გზისგადამჭრელი — HAIV-ია, რომელზეც მუშაობა NASA-ს კვლევითი პროგრამით მიმდინარეობს. 30 კონკურენტში გამარჯვებულმა პროექტმა დაფინანსება უკვე მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ ფანტასტიკური ჩანს, მასზე მუშაობა ახალ ფაზაში გაგრძელდება.

ჰიპერსწრაფი გზისგადამჭრელი ორი კოსმოსური აპარატისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთშია ინტეგრირებული და კოსმოსში ერთი აპარატით უნდა გაუშვან. ასტეროიდის ახლოს აპარატები დაშორიშორდებიან, ერთ-ერთი კი მის ზედაპირზე დაეშვება და ღრმულის გაკეთებას დაიწყებს. მეორე, თერმობირთვული ნაღმით დატვირთული აპარატი უკვე მზა ღრმულში ჩაეშვება. გეგმის თანახმად, აფეთქების ძალამ ასტეროიდი ან ნაწილებად უნდა დაშალოს, უარეს შემთხვევაში, ტრაექტორია მაინც უნდა შეუცვალოს.



# ახალი წყალქვეშა კიბორგი — საბრძოლო თინუსი



აშშ-ში ახალი თაობის წყალქვეშა რობოტზე მუშაობენ (BIOSwimmer), რომელიც ზღვის პროდუქტების მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი თევზის, თინუსის ლითონის ასლია. ოკეანის ამ დელიკატესმა ინჟინრების ყურადღება კი იმიტომ დაიმსახურა, რომ მისი აგებულება წყალქვეშ მცურავ რობოტს მაქსიმალურ მანევრულობას სძენს.

როგორც რობოტის შემქმნელები ამბობენ, მექანიკური თევზი წყალქვეშ დიდხანს მუშაობისთვისაა განკუთვნილი. „თინუსის" შიგნით კავშირის, მართვისა და ინფორმაციის გადამუშავებისთვის საჭირო სპეციალური კომპიუტერი და სენსორები დამონტაჟდება, რობოტის მართვა კი ჩვეულებრივი ნოუტბუკითაც შეიძლება.

რობოტის გამოყენება ზღვებისა და ოკეანეების რთულად მისადგომ ადგილებში დაზვერვის, სამხედრო-საზღვაო ბაზების აკვატორიაში პატრულირებისთვის იგეგმება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი შანსი ქართული არმიისთვის

„არსენალის“ გასულ ნომერში, რომელიც საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე გამოვიდა, არსებულ ხელისუფლებას მოვუწოდებდით, არ გაებედა მშვიდობიან მომიტინგეთა დაშლაში საარმიო დანაყოფების გამოყენება.

საბედნიეროდ, ხალხის ქუჩაში მასობრივად გამოსვლამდე საქმე არ მივიდა და „ნაციონალებმა“ აღიარეს დამარცხება საპარლამენტო არჩევნებში.

საქართველოს ისტორიაში „ნაციონალების“ ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ იწყება ახალი ერა, რომელმაც საზოგადოების თითოეულ წევრს, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეებს შინაგანი თავისუფლება უნდა მოუტანოს, რომელსაც ასე თრგუნავდნენ „ნაციონალები“.

წინა ხელისუფლების დროს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან შედარებით ყველაზე მეტად თავდაცვის სფერო დაზარალდა, რადგან თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებზე „ნაციონალებმა“ უწყვეტი ექსპერიმენტი განახორციელეს.

ჯერ იყო და, ბეჟუაშვილისა და ბარამიძის რამდენიმეთვიანი მინისტრობის ხანაში, 2004 წელს „შავი სამუშაო“ შეასრულეს და ქართული არმიიდან ათასობით სამხედრო დაითხოვეს, მათ შორის — ბევრი პროფესიონალიც.

ოქრუაშვილის თითქმის ორწლიანი მინისტრობა გადიდებული სამხედრო ბიუჯეტით, დედაშეგინებული, ნაცემი ჯარისკაცებითა და ცხინვალის ახალ წელს აღების დაპირებით დაამახსოვრდა ხალხს.

კეზერაშვილის სახელი დღე-ნახევარში სამარცხვინოდ წაგებულ ომსა და კორუფციასთან არის გაიგივებული საზოგადოების დიდ ნაწილში.

სიხარულიძე ომის შემდგომი ერთწლიანი თავდაცვის მინისტრი იყო, რომლის დანიშვნით პრეზიდენტმა სააკაშვილმა სცადა დასავლეთისთვის ეჩვენებინა, რომ საომარ რიტორიკას მოუკლო, აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი ოქრუაშვილივით ცხინვალისა და სოხუმის წინასაახალწლოდ აღებას აღარ დააანონსებდა.

ახალაიას დანიშვნა სააკაშვილის თავდაცვის მინისტრად შეიძლება აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე სურდა, თუმცა, მაშინ თავი შეიკავა და სიხარულიძის მოადგილედ გაამწესა. თუმცა, თავდაცვის სამინისტროს რეალურად ახალაია მართავდა და რეპრესიებს უწყობდა იმ პროფესიონალ სამხედროებს, ვინც აგვისტოს ომში დამარცხების გამო მაღალი პოლიტიკური ფიგურებისა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი პირების დასჯას მოითხოვდნენ. სწორედ ახალაიას მცდარი და დანაშაულებრივი ბრძანებების გამო აღმოჩნდა ქართული არმია და მთლიანად საქართველო ასეთ სავალალო მდგომარეობაში აგვისტოს ომის შემდეგ.

მუხროვანის მოვლენები, როდესაც ცხინვალში თანამებრძოლების დაკარგვით გულდამძიმებულმა ტანკისტებმა უკმაყოფილების გამოხატვა სცადეს, სააკაშვილმა საუკეთესო საბაბად გამოიყენა და თავდაცვა ოფიციალურად ჩააბარა ახალაიას და მისცა კარტბლანში, ემოქმედა ისეთივე დაუნდობელი მეთოდებით, როგორითაც ახალაიამ პატიმრებს თავი არაერთხელ დაამახსოვრა.

ახალაია იყო „ნაციონალების“ ყველაზე „ხანგრძლივი“ მინისტრი, რომელმაც თითქმი სამი წლის განმავლობაში (2009 წლის აგვისტოდან 2012 წლის ივნისამდე) დიდი „გულმოდგინებით“ დაიწყო თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების „გაწმენდა“ არა მარტო უკმაყოფილო სამხედროებისგან, არამედ იმ პროფესიონალებისაგან, ვინც, სავარაუდოდ, არ შეასრულებდა უკანონო ბრძანებას, მაგალითად, არ დაარბევდა მომიტინგეებს.

„ნაციონალების“ ხელისუფლება ბოლომდე არ წასულა და მან შეიძლება ჯერ კიდევ მწარედ მოიქნიოს კუდი, მით უმეტეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტად „ნაციონალების“ ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი რჩება. სააკაშვილის მიერ სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს შსს-დან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის სასწრაფოდ გადაცემა იმაზე მიუთითებს, რომ „ნაციონალებს“ სურთ განაგრძონ მომავალი მთავრობის სატელეფონო საუბრების მოსმენა და მათი ელექტრონული ინფორმაციის გაკონტროლება.

8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ბიძინა ივანიშვილის კოლიაციამ წარმოადგინა ახალ მთავრობაში მინისტრობის კან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდატურები, რომლის თანახმადაც თავდაცვის მინისტრის პოსტზე ირაკლი ალასანია მოიაზრება.

ამ სტატიის ავტორი დიდი ხანია აკვირდება ამ ახალგაზრდა პოლიტიკოსის კარიერას, დაწყებული აფხაზეთის ომის ბოლო პერიოდით, როდესაც მან ერთ-ერთმა პირველმა გაიარა სპეციალური მომზადება აშშ-ში.

თუმცა, ბევრად მნიშვნელოვანია ირაკლი ალასანიას მოქმედება 10 წლის წინ, როდესაც პანკისის პრობლემა შეიძლებოდა გადაქცეულიყო რუსეთის ორგანიზებულ ანტიტერორისტულ ოპერაციად.

მაშინ პანკისის ხეობაში რუსლან გელაევის მოზრდილი შეიარაღებული დაჯგუფება იყო, რის შესახებ ინფორმაცია რუსეთის სპეცსამსახურებს ჰქონდათ, შეიძლება ქართული კერძო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეშვეობითაც, რომლის კორესპონდენტები ლამის პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ გელაევის მებრძოლების მარშრუტს, რასაც რუსული ავიაციისგან დაბომბვაც კი მოჰყვა.

არ დაგვავიწყდეს, რომ სწორედ იმ პერიოდში, 2001 წლის ნოემბერში, აშშ-მა 11 სექტემბრის ტერაქტების გამო, შურისძიების მიზეზით, ჩრდილო ამერიკის კონტინენტიდან 11 ათასი კმ-ით დაშორებულ ავღანეთში „ალ-ქაიდასა“ და ოსამა ბინ ლადენის გასანადგურებლად საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო.

როგორ გგონიათ, თუკი აშშ-ს შეეძლო სხვა კონტინენტზე თავისი ჯარის გაგზავნა, ამას რუსეთი თავის საზღვრიდან 60-ოდე კმ-ში, პანკისის ხეობაში ვერ შეძლებდა? თანაც, კრემლი ყოველივე ამის გასამართლებლად რკინის არგუმენტს მოიყვანდა, — თუკი ამერიკას აქვს ამის უფლება, მაშინ იმავეს რუსეთიც გააკეთებსო.

ეს გადახვევა იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველისთვის შეგვეხსენებინა, თუ რა საშიშროების წინაშე იდგა მაშინ საქართველო.

მაშინ ამ სტატიის ავტორს მოუწია შეხვედრა ირაკლი ალასანიასთან, რომელიც მაშინ როგორც უშიშროების მინისტრის მოადგილე უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსული სამხედრო აგრესიის აცილებისთვის აუცილებელი სასწრაფო ღონისძიებების გატარებას.

ჩვენი საუბარი, რომელსაც რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი კობა ლიკლიკაძეც ესწრებოდა, რამდენიმე საათს გაგრძელდა, რომლის დროსაც ალასანიამ ძალზე კონკრეტულად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა მოქმედების ის გეგმა, რომელიც რუსულ საფრთხეს აგვაცილებდა.

მისი ხელმძღვანელობით ეს გეგმა, საბედნიეროდ, წარმატებით განხორციელდა და მოხერხდა რუსლან გელაევის რაზმის თითქმის უპრობლემოდ გაყვანა საქართველოდან.

ირაკლი ალასანიას ხელმძღვანელობით ჩატარებული ეს სპეცოპერაცია განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ინციდენტის გამო, რაც ერთი თვის წინ ლაფანყურთან მოხდა.

თუკი ათი წლის წინ ირაკლი ალასანიამ და მისმა გუნდმა მოახერხა საერთო ენის გამონახვა რუსლან გელაევის თითქმის ათასკაციან საუკეთესოდ შეიარაღებულ დაჯგუფებასთან, რატომ ვერ მოახერხეს ეს „ნაციონალების“ სპეცსამსახურებმა ოციოდე კაცთან, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებთან?

ამ ეპიზოდის გახსენებით იმის თქმა გვსურს, რომ ირაკლი ალასანიას აქვს იმის გამოცდილება (როგორც ყოფილ სპეცრაზმელს, სპეცსამსახურის ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელსა და დიპლომატს), რომ უნარიანად უხელმძღვანელოს თავდაცვის სამინისტროს.

თავდაცვის სამინისტრო „ნაციონალების“ ცხრაწლიანი გაუთავებელი ექსპერიმენტების (ძირითადად უკანონო ქმედებების ჩათვლით) შემდეგ სასწრაფოდ მოითხოვს ახალ სისხლს.

საკადრო ცვლილების გარდა (რო-

2008 წლის აგვისტოს ომში მოწინააღმდეგემ დიდძალი ქართული შეიარაღება ჩაიგდო ხელში, აგებს თუ არა ამაზე ვინმე პასუხს?



გორც თავდაცვის სამინისტროში, ისე გაერთიანებულ შტაბსა და მთლიანად შეიარაღებულ ძალებში), აუცილებელია აღდგეს სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე, რის გარეშეც წარმოუდგენელია საქართველოს შესვლა NATO-ში.

„ნაციონალებმა" ყველაფერი გააკეთეს, რომ თავდაცვის სამინისტრო და ქართული არმია ჩაეკეტათ საზოგადოებისა და მასმედიისთვის, რაც წარმოუდგენელია ისეთ ქვეყნისთვის, ვისაც პრეტენზია აქვს გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრი.

თუკი ირაკლი ალასანია ახალარჩეულმა პარლამენტმა დაამტკიცა თავდაცვის მინისტრის პოსტზე და პრეზიდენტმა სააკაშვილმა არ დაბლოკა პარლამენტის უმრავლესობის ეს გადაწყვეტილება, მაშინ ალასანიას ეძლევა საუკეთესო საშუალება, მართლაც ადამიანური სახე დაუბრუნოს საქართველოს მთავარ სამხედრო უწყებას.

და თუკი ეს უნიკალური შანსი არ იქნება გამოყენებული, მაშინ „არსენალი" ისევე გააკრიტიკებს ახალ გუნდს, როგორც მის წინამორბედს.

საგულისხმოა, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი სესიაშვილის კანდიდატურა წარადგინა.

ირაკლი სესიაშვილს დიდი გამოცდილება აქვს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის საქმეში და როგორც პირველი სამხედრო ომბუდსმენი, თავის დროზე, ბაჩო ახალაიას დაუპირისპირდა, როდესაც თავდადებით იცავდა ნაცემი ჯარისკაცების უფლებებს.

ირაკლი ალასანია, როგორც შესაძლო თავდაცვის მინისტრი, და ირაკლი სესიაშვილი, როგორც შესაძლო თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, შეიძლება გახდნენ საუკეთესო დუეტი (როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები), რომელიც ურთიერთშეთანხმებულად შეძლებს ქართული არმიის გაძლიერებას და დაიცავს თითოეული სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურის კონსტიტუციურ უფლებებს.

შესაძლო თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ კატეგორიულად უნდა გამიჯნოს თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ფუნქციები, როგორც კანონი მოითხოვს და რომელსაც „ნაციონალების" თავდაცვის მინისტრები, განსაკუთრებით კი ოქრუაშვილი და ახალაია, მუდამ არღვევდნენ.

ახალი სისხლის გადასხმა გაერთიანებულ შტაბსაც სჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ მას რეალურად არა შტაბის უფროსი, არამედ მისი პირველი მოადგილე, ახალგამომცხვარი ბრიგადის გენერალი გიგი კალანდაძე ხელმძღვანელობს. ეს სწორედ ის კალანდაძეა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მეოთხე ქვეით ბრიგადას მეთაურობდა, რის შემდეგაც ბრიგადის პირად შემადგენლობაში ყველაზე მეტი მსხვერპლი ჰყავდა. ბრიგადამ დაკარგა ყველა ტანკი, მთელი არტილერია და ქვეითი და საბრძოლო მანქანები, სამაგიეროდ, მაიორი კალანდაძე ოთხ წელიწადში ბრიგადის გენერალი და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე გახდა.



მეოთხე ბრიგადამ აგვისტოს ომში 26-ვე ტანკი დაკარგა, მისი მეთაური კი ბრიგადის გენერალი გახდა...

გაერთიანებული შტაბის, რომელსაც მალე, ალბათ, ისევ გენერალური შტაბის სახელი დაუბრუნდება, ახალი უფროსის ადგილზე ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე მოიაზრება. იგი ერთხელ უკვე ედგა სათავეში გენშტაბს 2004-დან 2005 წლის აგვისტომდე, მაგრამ თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილთან დაპირისპირების გამო დატოვა პოსტი.

ბრიგადის გენერალი კაპანაძე აფხაზეთის ომის მონაწილე გამოცდილი სამხედროა, რომელმაც უმაღლესი სამხედრო განათლება აშშ-ში მიიღო, არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი და მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო ქვეკომისიის წევრი.

არის ყველა წინა პირობა საიმისოდ, რომ ირაკლი ალასანიამ, ვახტანგ კაპანაძემ და ირაკლი სესიაშვილმა პროდუქტიულად ითანამშრომლონ, თუმცა, ყველაფერს მაინც უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რისთვის სცემდა თავდაცვის მინისტრი ჯარისკაცებს...

## გიორგი, 29 წლის: შუაღამისას ნასვამი ბაჩო ახალაია მოვარდებოდა, ბიჭებს წამოყრიდა, მოწყობაზე დააყენებინებდა და ურტყამდა...

წლების განმავლობაში, როცა ჟურნალი „არსენალი“ თავდაცვის სამინისტროში არსებულ სისტემურ პრობლემებზე წერდა და მისი მოგვარების გზებს განიხილავდა, პასუხად სხვადასხვა დროს სხვადასხვა მაღალჩინოსნის გულისწყრომა და რისხვა დავიმსახურეთ. ჩვენ მიმართ აშკარად გამოხატავდა ანტიპათიას თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და როცა ამა თუ იმ პრობლემატურ საკითხზე კომენტარებისთვის ვურეკავდით, ჩვენს ზარს ან არ პასუხობდნენ, ან პირდაპირ აცხადებდნენ, რომ კომენტარს ვერ მივიღებდით, რადგან ჟურნალ „არსენალის“ თანამშრომლები ვიყავით.

ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნის შემდგომ გახდა თვალში საცემი. არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო უწყებას საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების უფლება არა აქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯარში რომ პრობლემები იყო, არაერთხელ დაგვიწერია. ტაბუდადებულ თემაზე ინფორმაციის მოპოვებას როგორღაც ვახერხებდით. ჯარისკაცებზე ზეწოლის ფაქტებზე ჰყვებოდნენ ჩვენი რესპონდენტები, თავად ჯარისკაცები და სხვა სამხედრო პირები, რომელთა სახელსა და გვარებს მათივე უსაფრთხოების მიზნით ვცვლიდით.

დღემდე მახსენდება ერთი შემთხვევა. ერთმა ჩემმა რესპონდენტმა, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მძიმედ დაიჭრა, ინტერვიუში ომში არსებულ დარღვევებსა და სტრატეგიულ შეცდომებზე დაუფარავად ისაუბრა. არც ვინაობა დაუმალავს. სიცოცხლის გადასარჩენად არაერთი ოპერაციის გაკეთებამ მოუწია. ინტერვიუს ჩასაწერად რედაქციაში რუსეთ-საქართველოს ომიდან ორი წლის შემდეგ ახლობლის თანხლებით მოვიდა და მაშინაც სამკურნალო შვებულებაში იყო. ინტერვიუს გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკა და მთხოვა, თუ კომპიუტერში ჯერ კიდევ მქონდა მისი ნაამბობის ტექსტი შენახული (რომელიც სტატიაში გამოვიყენე), ასევე სტატიის აუდიოჩანაწერი, გამენადგურებინა, რადგან თავდაცვის სამინისტროდან დაურეკეს და დაემუქრნენ, კიდევ ერთი მსგავსი თანამშრომლობის შემთხვევაში ხელფასს შეგიწყვეტთო... არადა, ავადმყოფ ბიჭს მხოლოდ მოხუცი დედა ჰყავდა და მუდმივი მკურნალობა სჭირდებოდა.

ახალი არ არის, რომ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა პრობლემების მოგვარების ნაცვლად, მათ დამალვას ცდილობდა. არ იქნება მართებული, თუ ვიტყვით, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ბაჩო ახალაიას მინისტრობისას დაიწყო. ასე იყო წლების განმავლობაში, მაგრამ ჯარისკაცებზე ზეწოლამ პიკს სწორედ მისი მინისტრობისას მიაღწია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძემ მოგვაწოდა მესიჯები, რომელიც ჯარისკაცებმა მას ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს გაუგზავნეს. სამხედროები შველას ითხოვდნენ. მკითხველს ვთავაზობთ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნომრიდან მოსულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (სტილი დაცულია):

**„ჯარს მიაქციეთ ვინმემ ყურადღება, ჯარისკაცების უმიზეზოდ ცემა უკვე ჩვეულებრივი რამ გახდა“;**

**„IV ბრიგადის 42-ე ბატალიონის „ალფა“ ასეულის ჯარისკაცს, კაპრალ ჩოჩელს (გორელია ის ბიჭი) შვებულებიდან დაბრუნებულს იარაღი დაკარგული დახვდა. ისეთი ნაცემია, ფეხზე ვერ დგება. შეიარაღების სერჟანტიც**




სცემეს და ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ ვენები გადაიჭრა. კიკნაძეა გვარად. მასთან ერთად სცემეს ნადირაძე. სულ 15 ჯარისკაცია სასტიკად ნაცემი. მოხედეთ ხალხს, თორემ დახოცავენ. გასაგებია? ჩემი ნომერი არავის უთხრათ, თორემ არც მე დამადგება კარგი დღე";

„ადამიანის უფლებათა დამცველის ნომერი მომეცით, სასწრაფოდ მჭირდება!"

„მომეცით ომბუდსმენის ან ვინმე უფლებადამცველის ნომერი. ჯარში საშინელება ტრიალებს. სასწრაფოდ მჭირდება. დახმარება სჭირდებათ ჯარისკაცებს, გესმით თქვენ?";

„ბატალიონის მეთაური და ბრიგადის მეთაური აწამებენ ასეულის ჯარისკაცებს. ცხინვალში ტყვეები არ უწამებიათ ისე, როგორც ესენი ჯარისკაცებს აწამებენ. ბრიგადის სერჟანტს ფეხი სტკივა ხალხის ცემისგან. ნაომარ ბიჭებს კიდევ ეს უნდათ? რამე გააკეთეთ, თორემ ესენი ვიღაცას შეიწირავენ";

„გთხოვთ, გააკეთეთ რამე, მიმართეთ ვინმეს სახალხო დამცველს ან ვისაც შეგიძლიათ. ოღონდ მარტო არ მოხვიდეთ, რომელიმე ოპოზიციური ტელევიზია მოიყვანეთ. თორემ მარტო არ შემოგიშვებენ";

„ნაცემი ბიჭები ყაზარმაში ჰყავთ. საავადმყოფოში არ მიჰყავთ, ყველამ რომ არ გაიგოს. ამიტომ უკვე მეხუთე დღეა ყაზარმული გვაქვს. ბრიგადის მეთაური მოხსნეს და გადამალეს. რაც ეგ შველიძე მოვიდა, საშინელი რაღაცები ხდება. სატანკოს ბიჭები სალიარკის მოპარვისთვის რომ სცემეს, მინისტრმაც კი მიიღო პირადად მონაწილეობა";

„აქ სამხედრო შტაბს პადვალი აქვს. იქ ჩაჰყავთ ჯარისკაცები და სცემენ. პოლიციის დუბინკები აქვთ მოტანილი";

„საღამოს 7 საათიდან დილის 5 საათამდე ეზოში ჰყავდათ ხალხი. მერე ატჟიმანიებს აკეთებინებდნენ და ამ დროს მუცელში წიხლებს ურტყამდნენ. თან დედას, ცოლს, შვილსა და ოჯახს აგინებდნენ. კიდევ ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ესეც საკმარისია ჯერ";

„მოხედეთ ვინმემ ამ სისტემას. ახლა მინისტრი და სარდალი მოვიდნენ და ნაცემი ბიჭები შტაბში წაიყვანეს, ახლაც სცემენ და აწამებენ. გვარებიც მოგწერეთ არაერთხელ. მეტი რა გავაკეთო, მოხედეთ ამ ხალხს ვინმემ";

„მაინცდამაინც ვინმე უნდა მოკვდეს, რომ ხალხი მიხვდეს, რა ხდება? გაიგეთ, ცუდად არის საქმე. მოგვხედეთ ვინმემ".

მსგავსი შინაარსის მესიჯი კიდევ ბევრი იყო, მაგრამ „რეფორმირებულ" თავდაცვის სამინისტროში არსებული „წესრიგის" თვალსაჩინოებისთვის ესეც კმარა. როგორც ნანა კაკაბაძე ამბობს, მესიჯის ერთ-ერთი ავტორი, რომელიც გვარებს ასახელებს, დაიკარგა და შემდგომში მასთან დაკავშირება ვეღარ შეძლო.

ქართულ ციხეებში გადაღებული შემზარავი ვიდეოფირის შემდეგ გავრცელდა ფარული ჩანაწერი, სადაც ოფიცრების მიერ ჯარისკაცების დამცირების ფაქტზეა საუბარი. ახალწვეულებს განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებიან. ამას ადასტურებენ ჩვენი რესპონდენტებიც, რომლებიც ისევ უსაფრთხოების გამო ვინაობის გამხელაზე უარს ამბობენ.

სერგო, 21 წლის:

— ვისაც რაიმე შეხება ჰქონია ჯართან, ყველამ იცის, რომ ჯარისკაცების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა ჩვეულებრივი რამ გახდა. თუმცა, გააჩნია, ვინ არის ბრიგადის მეთაური და ნაწილის უფროსი. დიდი ხანია ჰყვებიან, რომ ბაჩო ახალაია პირადად უბაგუნებდა ჯარისკაცებს და ხშირად ოფიცრებსაც ჯარისკაცების წინაშე. არ დაინდო! — ეს იყო ფრაზა, რომელსაც ბაჩო ახალაია ხშირად იმეორებდა. მისი მინისტრობის შემდეგ დაიწყო ჯარისკაცების დამცირება, გინება და სამხედრო პირებისთვის პროტექციის გაწევა.

**— ეს კონტრაქტორებსაც ეხებოდა?**

— ხომ გითხარით, ნაწილს გააჩნიაო-მეთქი. ანუ ყველას არა, ზოგს ნორმალური პირობები ჰქონდა. ალბათ, იმასაც გააჩნდა, ვინ გაუწევდა პროტექციას, მაგრამ ამბობდნენ, ზოგჯერ არც ამას უწევენ ანგარიშსო. მისი მიბაძვით ბრიგადის სერჟანტებიც ურტყამდნენ ჯარისკაცებს. უტვინო, მაგრამ ერთგული მეთაურების ხარჯზე ატარებდა თავის პოლიტიკას. ერთი ნაწილი ვიცი, სადაც კონტრაქტორები გამწარებული ჰყავდათ. ყველას ერთი სული ჰქონდა, კონტრაქტის ვადა როდის გაუვიდოდა.

გიორგი, 29 წლის:

— ყველაზე ცუდი მას შემდეგ დაიწყო, რაც თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაია დაინიშნა, — ჯარისკაცებს ტყუილუბრალოდ სცემდნენ. შუაღამისას ნასვამი მოვარდებოდა, ბიჭებს წამოყრიდა, მოწყობაზე დააყენებინებდა და ურტყამდა. ერთხელ ბრიგადის სერჟანტმა უთხრა, ეს ბიჭები რუსეთ-საქართველოს ომში იბრძოდნენო და ახალაია გაბრაზდა, იბრძოდნენ, თორემ რას ამბობ, გაიმარჯვეს. კურდღლებივით გამოცვივდნენ იქიდანო. რამდენიმე დღეში ის სერჟანტი დაითხოვეს... ამბობდნენ, ახალაია ვანო მერაბიშვილს ეჯიბრებაო, რადგან ცნობილია, როგორც იმუშავეს მაშინ ქართულმა სპეცრაზმის დანაყოფებმა. ამის შემდეგ მუდმივად გვაყვედრიდნენ, რომ ტყუილად გვიხდიდნენ ასობით ლარს. არაფრის გაკეთება არ გვინდოდა, ავღანეთში წასვლაც სახვეწნი იყო...

**— ავღანეთში წასვლა ნებაყოფლობითი იყო?**

— დიახ, ჩვენს ნაწილში ასე იყო და სხვაგან რა ხდებოდა, არ ვიცი. ბიჭები ამბობდნენ, რომ ზოგ შემთხვევაში მათ იქ წასვლაზე განცხადებას იძულებით აწერინებდნენ.

**— რომ არ დაეწერათ?**

— კონტრაქტს გააუქმებინებდნენ, რაზეც ძალიან დიდი ფულადი ჯარიმა იყო. არადა, ძნელია სხვის მიწაზე ბრძოლა და მით უმეტეს, სიკვდილი. ზოგს ეკითხებოდნენ, უნდოდა თუ არა ავღანეთში წასვლა და კვალიფიკაციის ამაღლება, თუ უარს ამბობდა, აუცილებლად ჰკითხავდნენ, რატომ. ადრე იმდენად არა, მაგრამ ბოლო დროს, ეტყობა, თავის მოსაწონებლად ჩვენს ბიჭებს სულ უფრო საშიშ წერტილებში გზავნიდნენ, სადაც ხშირად თალიბებთან უწევდათ შეტაკება. ბიჭები ამბობდნენ, რომ არსებობდა სპეციალური პროგრამა, ე. წ. საკონტროლო ნაწილი, რომელიც NATO-ს სამხედრო ბაზაში პირველი შედიოდა და ბოლო გამოდიოდა.

**— ეს როგორ?**

— ერთ-ერთ ნაწილს სპეციალური პროგრამით ამზადებდნენ, მას პირველად უშვებდნენ და ყველაზე ბოლოს უნდა გამოსულიყო, ანუ მას შემდეგ, რაც რომელიმე ქვეყნის ჯარები გამოვიდოდნენ, მომდევნოს შემოსვლამდე უსაფრთხოებაზე მათ უნდა ეზრუნათ.

**— თქვენ გადაურჩით მოძალადე უფროსობას?**

— ვერა, ერთხელ მეც მცემეს. იმიტომ, რომ წინა დღეს ნაცემ ძმაკაცს, რომელიც ვერ ვიპოვე, ანუ ნაწილში მეორე დღესაც არ გამოცხადდა, მობილურზე დავურეკე, რომ გამეგო, ცოცხალი იყო თუ არა. იმ საღამოს მეთაური ორ უცნობთან ერთად ჩამოვიდა და ბიჭების წინაშე დამარტყა.

**— საიდან იცოდა, რომ თქვენ დაურეკეთ?**

— ეტყობა, რომელიმე ჯარისკაცმა ჩამიშვა. ერთმანეთის ჩაშვება ბოლო დროს ჩვეულებრივი გახდა. სამი ჯარისკაცი თუ ერთად ვიკრიბებით, თუ ძალიან სანდო არ არის, არაფერს ვლაპარაკობთ. მეთაურობას თუ რამე არ მოეწონებოდა ჯარისკაცისგან, იბარებდა და ეუბნებოდა, ხელები მექავება, ისე მინდა შენი გაგდებაო, მაგრამ თუ ჭკვიანად მოიქცევი, გაპატიებო. ჭკვიანად მოქცევაში დასმენა იგულისხმება.

**— ახალაიას წასვლის შემდეგ შეიცვალა რამე თუ ახლაც ასე ხდება?**

— ცემის შემთხვევები შემცირდა. უბრალოდ, ის მეთაურობა, ვინც შეეჩვია ჯარისკაცების ცემას, ჩვეულებას იქამდე ვერ ღალატობდა, სანამ ციხეზე ის ვიდეოფირი არ გავრცელდა. ამის შემდეგ ძალიან „ხავერდოვნები“ გახდნენ.

ჯაბა, 31 წლის:

— ძალიან დიდხანს გვაყვედრიდნენ, ბრძოლის ველიდან კისრისტეხით გამოიქეცითო. ყველამ იცის სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ ვის რას ეტყვი... ომის დროს სატანკო ბატალიონში ვმსახურობდი. ცხინვალთან ახლოს, კარგ პოზიციაზე ვიყავით. მანევრის გაკეთება გვიბრძანეს, მაგრამ საწვავი არ გვქონდა და ვუთხარით, რომ შევიდეთ, იქ დავრჩებით, ვერაფერს გავაკეთებთ-მეთქი. შედით და რამდენიმე წუთში მოგაწვდით, ამ პოზიციის დაკარგვა არ შეიძლებაო. შევედით თუ არა, მოტორი ჩაგვიქრა. მანევრირებისთვის დროს საწვავი ბევრად სწრაფად იწვება. საწვავი არც მოიტანეს, ან რას მოიტანდნენ, უკვე უკან დახევის ბრძანება იყო გაცემული. გადმოვედით და სხვებთან ერთად ქვეით შეტევაზე გადავედით. ერთი ჩვენგანი ნაძვნარის დაბომბვაში მოჰყვა და ნაფლეთებად იქცა, ორმა გამოვაღწიეთ. გამოსვლის დროს თვალი მოვკარი, გაჩერებულ ტანკს, რომელსაც ეტყობა ჩვენსავით საწვავი დაუმთავრდა. როცა სიტუაცია ოდნავ ჩაწყნარდა და ეს ყველაფერი დავწერეთ, კინაღამ ციხეში გაგვიშვეს, პოზიცია როგორ დატოვეთო. მე პატრონი მყავდა და დაპატიმრებას გადავრჩი, და ჩემი ძმაკაციც გადავარჩინე.

P.S. წინა ხელისუფლება მუდმივად გვსაყვედურობდა, ჩასაფრებული ხართო. იმედია, მკითხველმა იცის, რომ სინამდვილეში იმ პრობლემებისთვის გვინდოდა ფარდის ახდა, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ხდებოდა. ძნელია, სერჟანტის, ოფიცრის თუ მასზე მაღალი რანგისგან დამცირებულ ჯარისკაცს სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული, მით უმეტეს, თავგანწირვა მოსთხოვო. არადა, ჯარისკაცობა მხოლოდ კამუფლაჟის ტარება და იარაღის ხმარება არ არის, ქართველი ერის ცნობიერებაში მას უფრო ღრმა დატვირთვა აქვს.

იმედია, ჩვენს მესიჯს მომავალი ხელისუფლება სწორად გაიგებს. მით უმეტეს, რომ იქ, გუნდში არიან ისეთი ადამიანები, ვინც წლების განმავლობაში სწავლობდა თავდაცვის ნაწილში არსებულ სისტემურ პრობლემებსა და კონკრეტულად, ჯარისკაცების მდგომარეობას, მათ დარღვეულ უფლებებს.

წარმატებას ვუსურვებთ მომავალ ხელისუფლებას ღირსეული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში და ვიმედოვნებთ, რომ მათი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური „არსენალსა“ და თავდაცვის უწყებას შორის ხელოვნურ ბარიერად არ აღიმართება.

***ლალი პაპასკირი***

# „კავკაზ 2012“



## მეზობლებისთვის დაქნეული თითი

მიმდინარე წლის 17-23 სექტემბერს რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხრეთის სამხედრო ოლქის ოთხ პოლიგონზე, შავ და კასპიის ზღვებში ერთდროულად ჩატარდა მასშტაბური სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლება „კავკაზ 2012“.

აშულუკის პოლიგონზე (ასტრახანის ოლქი) მოსკოვთან განთავსებულმა მე-5 მოტომსროლელმა ბრიგადამ (დასავლეთის სამხედრო ოლქი) და ნოვოროსიისკის მე-7 დივიზიის 247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის ბატალიონმა ორმხრივი წვრთნები ჩაატარეს. გამოიცადა სადაზვერვო ინფორმაციის კომპლექსური დამუშავების პერსპექტიული პუნქტი, რომელიც ელექტრონულ რუკებზე დროის რეალურ რეჟიმში გამოსახავს ყველა აღმოჩენილი სამიზნე-ობიექტის გადაადგილებას. იქმნება ერთიანი საინფორმაციო სივრცე, სადაც ავტომატიზებულად გაიცემა მაღალი სიზუსტით (რეალურისგან ცდომილება მხოლოდ რამდენიმე ათეული მეტრია) სამიზნეების კოორდინატები. ინფორმაციის მიღებას კი უპილოტო საფრენი აპარატები და რადიოტექნიკური დაკვირვების საშუალებები უზრუნველყოფენ.

პრუდბოის პოლიგონზე (ვოლგოგრადის ოლქი) უკანონო შეიარაღებული ფორმირებების (განასახიერებდა ვოლგოგრადის მე-20 მოტომსროლელი ბრიგადის ქვედანაყოფები) მიერ დაკავებული დასახლებული პუნქტის გათავისუფლების ოპერაცია საავიაციო დარტყმებითა და საარტილერიო ცეცხლით დაიწყო.

შემდგომ 200 კმ-იანი მარშიდან პირდაპირ საბრძოლო მოქმედებებში 56-ე სადესანტო-მოიერიშე მსუბუქი ბრიგადა ჩაება. „ბრძოლაში“ მედესანტეებმა პირველად გამოიყენეს ტყვიაამფრქვევებით აღჭურვილი Гусар-ის ტიპის ავტომობილები.

კაპუსტინ-იარის პოლიგონზე (ასტრახანის ოლქი) Искандер М-ისა და Точка У-ს სარაკეტო კომპლექსებით, Смерч-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებითა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით (Тор-ი, Оса, Тунгуска, Бук-ი) სასწავლო-საბრძოლო სროლები შესრულდა.

17 სექტემბერს ნოვოროსიისკთან მდებარე სასწავლო-საწვრთნელ კომპლექს „რაევსკიზე“ ვლადიკავკაზის მე-19 მოტომსროლელი ბრიგადის ბატალიონმა შუალედურ ზღურბლზე მანევრული ბრძოლის ინსცენირება მოახდინა, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი ვლადიმირ პუტინი და ქვეყნის სხვა უმაღლესი პირები ესწრებოდნენ.

ამ სწავლებისთვის კი მე-19 ბრიგადას ვლადიკავკაზიდან შავი ზღვის სანაპირომდე 850 კმ-ის დაძლევა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით მოუხდა.

კასპიის ზღვაში სარაკეტო ხომალდმა „დაღესტანმა“ უახლესი სარაკეტო კომპლექს Калибр-НК-ს რაკეტა 180

კმ-ით დაშორებულ სამიზნეს მოახვედრა, ხოლო სანაპირო-სარაკეტო კომპლექს Бал-ით ნასროლი რაკეტებით ნაპირიდან 56 კმ-ის დისტანციაზე მყოფი პირობითი სამიზნეები განადგურდა.

სანახაობრივად ყველაზე დატვირთული შავ ზღვაში ჩატარებული სწავლებები გამოდგა, სადაც დამუშავდა კავკასიის სანაპიროს დაცვის, საზღვაო დესანტის გადასხმის, სახომალდო და ფლოტის საზღვაო ავიაციის ძალებით „მოწინააღმდეგის“ სახომალდო ჯგუფის განადგურების, დასახულ რაიონში ხელსაყრელი რეჟიმის შენარჩუნებისა და სახელმწიფო საზღვაო-ეკონომიკური საქმიანობის დაცვის ამოცანები.



„კავკაზ 2012“-ზე პირველად გამოიცადა УАЗ-3153 Гусар-ის შესაძლებლობები

19 სექტემბერს კი ქალაქ ანაპის მახლობლად კონცხ მალი-უტრიშთან შავი ზღვის ძალებით დესანტირების ოპერაცია ჩატარდა.

რაიონში მყოფმა კორვეტებმა „მურომეცმა“ და „კასიმოვმა“, პატარა სარაკეტო ხომალდებმა „მირაჟმა“ და „შტილმა“, სარაკეტო კატარღა „ივანოვეცმა“ სადესანტო ძალების საჰაერო თავდაცვის, მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებისა და ხომალდებისგან დაცვის დავალებები შეასრულეს.

ამის შემდეგ სარაკეტო კრეისერმა „მოსკვამ“ და ფრეგატმა „პიტლივმა“ სანაპირო ზოლი არტილერიით Ми-24-ების საბორტო საშუალებებთან ერთად დაამუშავეს.

მტრალავმა ხომალდებმა „ვიცე-ადმირალმა ჟუკოვმა“, „ტურბინისტმა“, „ვიცე-ადმირალმა ზახაროვმა“ და „ვალენტინ პიკულმა“ დესანტირების რაიონის მისასვლელები ნაღმების საფრთხეზე შეამოწმეს.

მომდევნო ეტაპი დესანტირებას დაეთმო, სადაც საჰაერო-სადესანტო მოიერიშე ჯგუფები შვეულმფრენებიდან და სწრაფსვლიანი კატარღებიდან გადმოსხდნენ, ხოლო დიდი სადესანტო ხომალდებიდან — „ნიკოლაი ფილჩენკოვიდან“ „ნოვოჩერკასკიდან“ და „სარატოვიდან“ БТР-80-ებით გადმომსხდარი საზღვაო ქვეითები პლაცდარმის გაფართოებას შეუდგნენ.

ოპერაციის ერთ-ერთ ეპიზოდში ნაპირზე სადესანტო კატარღა Д-144-დან ნაპირზე სპეცდანიშნულების ოცეულის დესანტირება განხორციელდა.

მთლიანობაში სამეთაურო-საშტაბო სწავლება „კავკაზ 2012“-ში რუსეთის არმიის რამდენიმე კონკრეტული მიზანი გამოიკვეთა: ძალებისა და საშუალებათა თავმოყრით დამრტყმელი დაჯგუფების ჩამოყალიბება, დიდ მანძილზე (რამდენიმე ათასი კმ) ქვედანაყოფებისა და ტექნიკის ტრანსპორტირების ოპტიმალური ხერხების დამუშავება, შეიარაღებისა და ტექნიკის სხვადასხვა ნიმუშის გამოცდა-გაკონტროლება, შენაერთებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება და ა.შ.

გარკვეულწილად სწავლებაზე დამუშავდა 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ამოცანებიც.

ოფიციალური ინფორმაციით, „კავკაზ 2012“-ში 8 ათასი სამხედრო მონაწილეობდა, მათ შორის — 300 რეზერვისტი, რომლებმაც სწავლებაში მონაწილე ქვედანაყოფებში ვაკანტური ადგილები შეავსეს.

ექვსდღიანი რუსული სამხედრო ძალის დემონსტრირება სხვადასხვა ვითარებაში 6 სამხედრო მოსამსახურის დაღუპვითა და უფრო მეტის დაშავებით დასრულდა.



ამ მდინარის დაძლევისას მე-19 ბრიგადას ორი БМП-3 ჩაეძირა

**როკის გვირაბის მიმართულებით მე-19 ბრიგადის კოლონის გადაადგილებისას ერთი БМП-3 ტრაილერიანად ხევში გადავარდა და დაილეწა. ტრაილერიდან გადმოვარდა და უვარგისი გახდა T-90-ის ტიპის ტანკი.**

**ბრიგადის კიდევ 2-მა ტანკმა და 4-მა ქვეითთა საბრძოლო მანქანამ სხვადასხვა სახის დაზიანება რაევსკის პოლიგონზე მიიღო.**

ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ ცალკეული ქვედანაყოფები პოლიგონებზე განგაშის გარეშე ჯერ კიდევ ივლის-აგვისტოში გავიდნენ და სექტემბრისთვის პირად შემადგენლობას სწავლების რაიონი სრულად შესწავლილი ჰქონდა, რითაც მოქმედებები ბევრად გაიადვილეს. ზოგიერთმა რუსმა მიმომხილველმა და სამხედრომ კი შავი ზღვის ფლოტის მოქმედებებს მოჩვენებითი კეთილდღეობის დემონსტრირება უწოდა და უმაღლესი მთავარსარდლისთვის განკუთვნილ საჩვენებელ სანახაობად შეაფასა.

ცალკე გამოსაყოფია საზღვაო-სადესანტო ოპერაცია, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ რუსული სამხედრო-საზღვაო აზროვნება ისევ საბჭოთა პერიოდის შეხედულებებს ემყარება.

რუსი საზღვაო ქვეითები ნაპირზე ბევრი ხმაურისა და ნაირ-ნაირი ეფექტის ფონზე სადესანტო ხომალდები ჯავშანტრანსპორტიორებით დატოვეს და ნაპირამდე დაახლოებით 150-200 მეტრის გაცურვა მოუხდათ.

ძალის მორიგი დემონსტრირება უპირველესად მეზობლების დაშინებაზეა გათვლილი, თუმცა, შავიზღვისპირა ქვეყნების ნახევარი NATO-ს წევრია და ამიტომ მუქარის ადრესატი, ალბათ, ისევ საქართველოა.



რუსული ქვედანაყოფები საქართველო-რუსეთის საზღვრის მახლობლად ჯერ ისევ რჩებიან

სწავლების პროცესში რუსეთის არმიის ჯავშანკოლონები ტრანსკავკასიურ გზაზე გადაადგილდნენ და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მახლობლად განთავსდნენ, როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონისკენ სამხედრო დანიშნულების ტვირთების მოძრაობამ მოიმატა, ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა რაიონებში რუსი სამხედროების აქტიურობა შეიმჩნეოდა და სხვ.

საზღვაო-სადესანტო ოპერაციებში მონაწილე რამდენიმე ხომალდი 2008 წლის ომის დროს უშუალოდ საქართველოს ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში მოქმედებდა. მაშინ სარაკეტო კრეისერი „მოსკვა" აფხაზეთის სანაპიროსთან რუსეთის ინტერესების დემონსტრირებას ახდენდა, პატარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი" მოგონილი საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გმირია, დიდმა სადესანტო ხომალდმა „სარატოვმა" კი 450 ნოვოროსიისკელი საჰაერო მედესანტე ტექნიკასთან ერთად ოჩამჩირესთან გადასხა.

„კავკაზ 2012"-ით მოსკოვმა საკუთარი არმიის შესაძლებლობები კიდევ ერთხელ შეამოწმა და ის სცენარები გაითამაშა, რომლებიც კავკასიის ქვეყნებში მოქმედებისთვის შეიძლება გამოიყენოს.

**თემურ ჩაჩანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტყვიაზე უსწრაფესნი

**1998 წლის 20 აგვისტოს არაბეთის ზღვიდან ამერიკულმა სარაკეტო კრეისერმა ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში „ალ-ქაიდას" საწვრთნელი ბანაკისკენ, „ტომაჰავკის" ტიპის ორი ფრთოსანი რაკეტა გაისროლა. დაზვერვის ცნობით, ბანაკში უსამა ბინ ლადენი იმყოფებოდა.**

**რაკეტებმა მაქსიმალური სიჩქარე 880 კმ/სთ-ში განავითარეს და ორ სთ-ში 1760 კმ დაფარეს, მაგრამ ბინ ლადენი ადგილზე არ აღმოჩნდა. აშშ-ის ანტიტერორისტული ძალების ყოფილ მეთაურს, რიჩარდ კლარკს თუ დავუჯერებთ, სარაკეტო დარტყმამ 1 სთ-ით დააგვიანა.**

XXI საუკუნეში ტექნიკურმა პროგრესმა წარმოუდგენელი პერსპექტივები გადაშალა და ჰიპერბგერითი სიჩქარით ფრენის შესაძლებლობამ რეალური კონტურები მიიღო, მაგრამ მიზნის მისაღწევად საავიაციო და კოსმოსური ტექნოლოგიების გაერთიანება გახდა საჭირო. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ძრავა თამაშობდა, რადგან ასეთ აპარატებზე ძრავებიც განსაკუთრებულია — საავიაციოსგან განსხვავებით ჰიპერბგერითი აპარატების ძრავებში არც ერთი მბრუნავი ელემენტი არ არის.

**ავიაციაში ბგერასთან მიახლოებულ და ზებგერით სიჩქარეებს მაჰის რიცხვით ზომავენ. მისი გამოთვლისთვის ობიექტის სიჩქარე ბგერისაზე იყოფა. ეს პარამეტრი ავსტრიელმა ფიზიკოსმა ერნსტ მაჰმა შემოიტანა და საფუძველი ჩაუყარა ზებგერით სიჩქარეთა აეროდინამიკას. M=1 ბგერის ერთ სიჩქარეს შეესაბამება, ხოლო ზებგერითი დიაპაზონი 1-დან 5-მდე მერყეობს. შესაბამისად M=5-ის შემდეგ კი ჰიპერბგერითი სიჩქარეები იწყება.**

2012 წლის 14 აგვისტოს, წყნარი ოკეანის თავზე ამერიკელებმა ჰიპერბგერითი აპარატის მორიგი გამოცდა ჩაატარეს. X-51A Waverider-ზე უკვე რამდენიმე წელია მუშაობენ და ეს გაშვება საგამოცდო პროგრამაში რიგით მესამე იყო.

სპეციალურ პილონზე დამაგრებული აპარატი საჭირო სიმაღლეზე სტრატეგიულმა B-52-მა აიყვანა, მაგრამ სტარტიდან 16 წმ-ის შემდეგ ტექნიკური გაუმართაობის გამო აპარატი ოკეანეში ჩავარდა.

სტარტის შემდეგ გამოქვეყნებული ცნობით მომხდარის მიზეზი მართვის სისტემაში იმალებოდა. თუმცა კონკრეტული ინფორმაცია სპეციალისტებს არ დაუსახელებიათ.

ერთი შეხედვით მსგავს ავარიებში გასაკვირი არაფერია. ჰიპერბგერითი საფრენი აპარატები კონსტრუქციულად ძალზე რთულია და მათი გამართული მუშაობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. თანაც ეს X-51A-ის მხოლოდ მესამე ფრენა იყო. ახალშექმნილი ტექნიკისთვის დამახასიათებელი „ავადმყოფობების მკურნალობას" კი ზოგჯერ წლები სჭირდება.

X-51A-ის შექმნის პროგრამა დასაბამს 2000-იანი წლებიდან იღებს. მაშინ ექსპერიმენტულ ჰიპერბგერით აპარატზე მუშაობა პენტაგონის დავალებით დაიწყო. ახალი გამოწვევების პირობებში ამერიკელ სამხედროებს



X-51-ის ძრავას ჩართვამდე, აპარატი საჭირო სიმაღლეზე სტრატეგიულ B-52-ს აჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა




X-43 მსოფლიოში პირველი უპილოტო საფრენი აპარატია, რომელმაც ატმოსფეროს პირობებში 11200 კმ/სთ-ში განავითარა

ეფექტური და რაც მთავარია სწრაფი რაკეტების მიღება სურდათ.

რამდენიმეწლიანი მუშაობისა და ხანგრძლივი ექსპერიმენტების შედეგად Boeing-ის, NASA-ს და DARPA-ს ერთობლივი ძალისხმევით X-51A შეიქმნა.

7,6 მ სიგრძის აპარატი ტიტანის და ნიკელის შენადნობებისგანაა დამზადებული და კონსტრუქციაში განსაკუთრებული ყურადღება ახალ ძრავას დაეთმო.

მაღალ სიჩქარეებზე რეაქტიული ძრავა არაეფექტურია, ამიტომაც ჰიპერბგერით აპარატებზე – ის ზებგერითი სწორჭავლური აირ-რეაქტიული ტიპისაა.

ტრადიციულ სწორჭავლურ ძრავას ჰაერმიმღებში შემავალი ზებგერითი ნაკადი ბგერის სიჩქარემდე მუხრუჭდება. შეკუმშულ ჰაერში საწვავის შეფრქვევისთანავე ის აალდება და საქშენიდან გამოსული დამწვარი აირები კვლავ ზებგერით სიჩქარეს იძენს.

ჰიპერბგერით ძრავებში ნაკადი ზებგერით სიჩქარეს წვის პროცესშიც ინარჩუნებს, თუმცა თავად ძრავას ასამუშავებლად აპარატმა გარკვეული სიჩქარე უნდა განავითაროს. M=3-მდე მისაღწევად როგორც წესი, რაკეტული ამაჩქარებლები გამოიყენება.

ამ ძრავებში მთავარი პრობლემა მაღალი ტემპერატურაა. განსაკუთრებით ფიუზელაჟის და ჰაერმიმღებების წიბოები ხურდება. უკეთესი მდგომარეობა არც წვის კამერაშია. მაგალითად




X-51A-ზე, ძრავას კორპუსის გაგრილებისთვის, საწვავი გამოიყენება. სპეციალური მილაკების გავლით ის კორპუსს ტემპერატურას ართმევს და შემდეგ წვის კამერაში ხვდება.

X-51A-ის სამივე საცდელი გაშვება ერთნაირი სქემით განხორციელდა. 15 კმ-ის სიმაღლეზე ჰიპერბგერითი აპარატი სტრატეგიულმა B-52-მა აიყვანა. ჩამოშორების შემდეგ უსაფრთხო მანძილზე რაკეტული ამაჩქარებელი ჩაირთო და რამდენიმე წამში სიჩქარე M=1.5-მდე გაიზარდა. საწვავის დასრულების შემდეგ ამაჩქარებელი აპარატს მოსცილდა და ფრენა ჰიპერბგერითი ძრავით გაგრძელდა.

ამაჩქარებლად ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა MLRS-ის მოდიფიცირებული რაკეტა ATACMS-ია გამოყენებული.

მაქსიმალური სიჩქარის განვითარებისას X-51A 21 კმ-ის სიმაღლეზე მიფრინავს. ამ დროს სხვადასხვა მოწყობილობები ათეულობით პარამეტრს აფიქსირებენ და ონლაინ-რეჟიმში მიწაზე გადასცემენ.

**X-51-ის პირველი გაშვება 2010 წლის 26 მაისს შედგა. თვითმფრინავიდან მოშორების შემდეგ ჩართულმა ამაჩქარებლებმა და მერე უკვე ჰიპერბგერითმა ძრავამ მას 5 მაჰის სიჩქარე მიანიჭეს. ამ რეჟიმით აპარატმა 300-ის ნაცვლად 200 წმ იფრინა. თუმცა ახალი რეკორდის დასამყარებლად ესეც საკმარისი იყო, რადგან წინამორბედმა X-43-მა ჰიპერბგერით რეჟიმში მხოლოდ 12 წმ იფრინა.**

ჰიპერბგერითი სიჩქარე ძვირი სიამოვნებაა. ამ ტიპის საფრენი აპარატების შექმნაზე აშშ-მა უკანასკნელ წლებში 2 მლრდ დოლარზე მეტი უკვე დახარჯა (ყველა მსგავსი პროექტის

ღირებულების გათვალისწინებით თავად X-51A-ს უკვე 300 მლნ-ზე მეტი დაახარჯეს).

X-51A-ის და მისი შთამომავლების პრაქტიკულ გამოყენებამდე მისასვლელად კი ორჯერ მეტი თანხაა საჭირო.

ჰიპერბგერითი აპარატების გამოყენება მხოლოდ ორ სფეროში — მგზავრების გადასაყვანად და სამხედრო საქმეში შეიძლება.

პირველ შემთხვევაში მგზავრთა გადაყვანას ნამდვილი რევოლუცია მოელის. ზებგერითი ლაინერების Ту-144-სა და Concorde-ს ექსპლუატაციიდან გამომდინარე, ამ თვითმფრინავებსაც თავისებური მოვლა და მარშრუტების შედგენა დასჭირდება.

არც მათი შენახვა იქნება იაფი. ჰიპერბგერითი ლაინერი ათჯერ ძვირი მაინც ეღირება და ყიდვის შესაძლებლობა თითზე ჩამოსათვლელ ავიაკომპანიებს თუ ექნება.

მეტი პერსპექტივა სამხედრო საქმეში ისახება და სამხედროებს მაღალი ღირებულებაც ვერ შეაშინებს. ისინი შეჩვეულნი არიან თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ნიმუშებში მრავალი ნულით გამოსახული თანხების გადახდას.

მეორე მიზეზი, რომელიც ჰიპერბგერითი აპარატების კარგ საბრძოლო პერსპექტივებზე მეტყველებს, მათი სისწრაფეა. მაგალითად იმავე X-51A-ს ბაზაზე საავიაციო ბაზირების ტაქტიკური რაკეტის შექმნა შეიძლება და ჰიპერბგერითი სიჩქარე რაკეტისთვის გზის გადაჭრას პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის.

ჰიპერბგერითი სიჩქარეებით ამერიკელები 1950-იანებში დაინტერესდნენ. მაშინ ექსპერიმენტების ჩასატარებლად ფირმა North American-მა პილოტირებადი რაკეტოპლანი X-15 შექმნა.

საცდელი ფრენებისას, გარკვეულ სიმაღლეზე ასვლისას X-15 მატარებელ B-52-ს შორდებოდა და რამდენიმე წამში რაკეტული ძრავა ირთვებოდა.

მალე რაკეტოპლანმა რეკორდების დამყარება დაიწყო. 1960 წლის 4 აგვისტოს 18-ე საცდელი ფრენისას X-15-მა 3533 კმ/სთ-ში განავითარა.

1967 წლის 3 ოქტომბერს ვილიამ კნაიტმა მე-18 საცდელი ფრენისას X-15-ს მაქსიმალური სიჩქარე — 7274 კმ/სთ-ში აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ჯამში სამივე რაკეტოპლანით 199 საცდელი ფრენა შესრულდა.

ჰიპერბგერით აპარატებზე სსრკ-შიც მუშაობდნენ. 1970-იან წლებში, კრეოგენულ საწვავზე (თხევადი წყალბადი და თხევადი ბუნებრივი აირი) მომუშავე რეაქტიული ძრავების შესაქმნელად ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყო.



1997 წელს გამოფენაზე მაკეტის წარმოდგენის შემდეგ, X-90-ზე რაიმე ოფიციალური ცნობები არ მოიპოვება

პერსპექტივაში მსგავსი სიახლე ჰიპერბგერით ძრავებშიც იყო მოსალოდნელი. დედამიწის პირობებში ჰიპერბგერითი ფრენის სიმულირება შეუძლებელია, ამიტომ წყალბადზე მომუშავე სწორჭავლური აირ-რეაქტიული ძრავას გამოსაცდელად საფრენოსნო გამოცდების ჩატარება გადაწყდა.

მსოფლიოში ჰიპერბგერითი აირ-რეაქტიული ძრავას პირველი გამოცდა 1991 წლის 28 ნოემბერს შედგა. ექსპერიმენტულ აპარატს Холод-ი ეწოდა. სათანადო აჩქარებას მას C-200-ის ტიპის საზენიტო რაკეტა ანიჭებდა. რაკეტიდან მოიხსნა საბრძოლო ქობინა და ყველა საბრძოლო სისტემა. სანაცვლოდ კი ცხვირზე Холод-ი, თხევადი წყალბადის ავზი და საზომი მოწყობილობები დამონტაჟდა.

1999 წლისთვის 7 საცდელი გაშვება ჩატარდა. მაქსიმალურმა სიჩქარემ 1855 მ/წმ-ში მიაღწია, რაც M=6,49-ის შესაბამისია. მოცემული სიდიდით აპარატმა 77 წმ-ის განმავლობაში იფრინა.

1997-ში ჟუკოვსკში გამართულ გამოფენაზე МАКС-1997 საკონსტრუქტორო ბიურო „რადუგამ“ ექსპერიმენტული ჰიპერბგერითი აპარატი Коала წარმოადგინა. Ту-160-ს 12 მ სიგრძის ორი ასეთი რაკეტის წაღება შეუძლია და თითოეულს ინდივიდუალური დამიზნების 2 საბრძოლო ქობინი აქვს.

ისე საინტერესოა, ვინ მოიფიქრა დაახლოებით 6000 კმ/სთ-ის სიჩქარით მფრენი რაკეტისთვის იმ ცხოველის სახელის დარქმევა, რომელსაც დღეში 18-22 სთ სძინავს და ძალზე ცოტას მოძრაობს.

გამოფენაზე რაკეტის მაკეტის ჩვენება პირველად და უკანასკნელად შედგა. სხვადასხვა წყაროში მისი გამოცდების შესახებ საუბრობდნენ, მაგრამ რაიმე ოფიციალური ცნობები ამის შესახებ არ მოიპოვება.

***ალექსანდრე აფაქიძე***



ჰიპერბგერითი სიჩქარის განსავითარებლად, აპარატი Холод-ი C-200-ის საზენიტო რაკეტას იყენებდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენები


სომეხი მაშველები ერთ-ერთ დავალებას ასრულებენ სწავლება Georgia 2012-ის დროს

## აზერბაიჯანი

● თავდაცვის მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევის სარდლობით 20 სექტემბერს დაიწყო და რამდენიმე დღე გასტანა აზერბაიჯანის სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების ერთობლივმა წვრთნებმა. სწავლების მიზანია ჯარების სხვადასხვა სახეობას შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესება.

● 22 სექტემბერს ფიზულის რაიონში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის 19 წლის ჯარისკაცმა თავი ჩამოიხრჩო.

● თურქეთიდან ახალი ჯავშანავტომობილი Cobra-ს დამატებითი პარტია ჩავიდა. 2010 წლის ძველი კონტრაქტით კი აზერბაიჯანმა 35 ჯავშანავტომობილი Cobra, 37 დაჯავშნული საპატრულო მანქანა ZPT და 51 სატრანსპორტო საშუალება Land Rover Defender-ი მიიღო.

● თბილისის მახლობლად ჩატარებულ სწავლება Georgia 2012-ში აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს 60-კაციანი ჯგუფი მონაწილეობდა. აზერბაიჯანელმა მაშველებმა შეასრულეს სამაშველო-სამძებრო, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური, ბირთვული და სამედიცინო სახის ამოცანებთან დაკავშირებული დავალებები.



● 24-28 სექტემბერს აზერბაიჯანელ სამხედროთა ჯგუფი ქართველ სამხედროებთან ერთად მონაწილეობდა თურქეთში ნავთობსადენების დაცვასთან დაკავშირებულ სამმხრივ წვრთნა Eternity 2012-ში. წვრთნებში სამხედროებთან ერთად სხვა სტრუქტურების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

● აზერბაიჯანის საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ განვლილ 9 თვეში აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგის (სომხეთი და ყარაბაღი) არანაკლებ 36 სამხედრო მოსამსახურე მოკლეს და 22 დაჭრეს. ყველაზე მეტი-11 სომეხი სამხედრო ივნისში დაიღუპა. ასევე განადგურებულია ტექნიკის 5 ერთეული-ძირითადად, ავტომობილები.

## სომხეთი

● სომეხ მაშველთა 54-კაციანი ჯგუფი საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სამაშველო სამსახურის დირექტორის, გენერალ-მაიორ სერგო აზარიანის ხელმძღვანელობით 22-28 სექტემბერს მონაწილეობდა თბილისის მახლობლად ჩატარებულ სწავლება Georgia 2012-ში. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სპეციალური მაშველები, მეხანძრე-მაშველები, წყალსამაშველო რაზმი, ქიმიური, რადიოლოგიური და ბიოლოგიური მონიტორინგის რაზმი, პარამედიკოსები და კინოლოგები.

● 25 სექტემბერს ავტოსაგზაო შემთხვევაში სამხედრო ავტომობილი ГАЗ-33081 გადაბრუნდა, რის შედეგადაც 1 ჯარისკაცი დაიღუპა და ცხრამ სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

● 25 სექტემბერს ერთ-ერთ საბრძოლო პოზიციაზე აზერბაიჯანელების ცეცხლისგან სომხეთის არმიის რიგითმა ჯარისკაცმა მძიმე ჭრილობა მიიღო და დაიღუპა.

● 1-ელ ოქტომბერს დაიწყო სომხეთის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლება, რომელიც ერთ თვეს გასტანს. სწავლების მიზანია შეიარაღებული ძალების საბრძოლო გამოყენება-გაშლასთან დაკავშირებული გეგმების შემოწმება, კონკრეტულ დავალებებზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი რგოლების სამობილიზაციო რესურსების მართვაზე პრაქტიკული გამოცდილების სრულყოფა.

● 1-ელ ოქტომბერს საზღვარზე სამსახურის დროს არასაბრძოლო ვითარებაში სომხეთის არმიის 18 წლის ჯარისკაცი დაიღუპა.

● 2 ოქტომბერს რუსული 102-ე სამხედრო ბაზის 600-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის დაახლოებით 100 ერთეულით ტაქტიკური სწავლება ჩაატარა.

● ალაგიოზისა და კამჰუტის მაღალმთიან სასწავლო-საწვრთნელ ცენტრებში რამდენიმე დღე გაგრძელდა 102-ე სამხედრო ბაზის სნაიპერთა შეკრება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სნაიპერთა ჯგუფების მომზადებას მოწინააღმდეგის მსუბუქად დაჯავშნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმოხილვა

ლი ტექნიკის, კავშირის საშუალებათა და სამეთაურო რგოლის მწყობრიდან გამოყვანის ტექნიკის სრულყოფას.

## ჩრდილო კავკასია

● ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორის ალექსანდრ ბორტნიკოვის თქმით, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ბოევიკები ავღანეთის, პაკისტანისა და სირიის ანტისამთავრობო ჯგუფებში იბრძვიან.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 30 სექტემბერს სოხუმსა და ტყვარჩელში ქართულ-აფხაზური ომის დასრულების მე-19 წელი აღინიშნა. ამასთან დაკავშირებული ღონისძიებები სოხუმსა და ტყვარჩელში ჩატარდა. ომში აფხაზების მხრიდან 12 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, საიდანაც 2700 დაიღუპა და 5 ათასზე მეტი დაიჭრა.



სოხუმში ქართულ-აფხაზური ომის დასრულების მე-19 წელი აღნიშნეს



ალექსანდრე ბორტნიკოვი ჩრდილო კავკასიელების ავღანეთის, პაკისტანისა და სირიის ანტისამთავრობო ჯგუფებში მონაწილეობაზე საუბრობს

● ალექსანდრე ანქვაბის განკარგულებით, 1-ლი ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე გაგრძელდება სეპარატისტთა არმიაში 18-დან 27 წლამდე ასაკის ახალგაზრდების სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

● კრასნოდარის მხარეში, მოლკინოს პოლიგონზე, გუდაუთის მე-7 ბაზის ტანკისტებმა საკონტროლო დავალებები შეასრულეს. მეცადინეობაში 150-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო ტექნიკის 30-მდე ერთეული მონაწილეობდა. პირადმა შემადგენლობამ სამიზნეებზე საბრძოლო სროლა T-90A ტიპის ტანკებიდან ადგილიდან და ხანმოკლე შეჩერებებით შეასრულა. ტანკისტებმა სახმელეთო-საჰაერო სამიზნეებთან ბრძოლაში მსხვილკალიბრიანი Корд-ის ტიპის ტყვიამფრქვევებით ივარჯიშეს.

● 3-6 ოქტომბერს ნაგვალოუს პოლიგონზე გუდაუთის მე-7 ბაზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფებმა ტაქტიკურ-სპეციალური სწავლება ჩაატარეს. დამუშავდა სპეციალური ტექნიკის გაშლა-გამოყენებით საველე პირობებში პირადი შემადგენლობის კვების ორგანიზაცია და საყოფაცხოვრებო მომსახურება. გამოიცადა ავტომობილ „კამაზის" ბაზაზე შექმნილი საველე აბანოები БПО-32. სწავლებაში 100 სამხედრო და სპეციალური ტექნიკის 70 ერთეული მონაწილეობდა.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

ცხინვალში 20 სექტემბერს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნის 22-ე წლისთვის მიძღვნილი სამხედრო აღლუმი გაიმართა.

ცხინვალის ცენტრალურ პროსპექტზე ტრიბუნაზე სეპარატისტთა ლიდერის, ლეონიდ თიბილოვის გვერდით საპატიო სტუმრის რანგში წყნარი ოკეანის კუნძულოვანი სახელმწიფოს, ნაურუს (დამოუკიდებლობა 1968 წელს მიიღო) რიგით 29-ე პრეზიდენტი სპრენტ დაბვიდო იდგა.

უცხოელმა სტუმარმა ნაურუსა და სამხრეთ ოსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისთვის თიბილოვისგან ადგილობრივი წარმოების მეგობრობის ორდენიც დაიმსახურა.

აღლუმში დაახლოებით 700 რუსი და ოსი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.

პირველად სააღლუმო კოლონებში ჩამოიარეს საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის სატანკო ბატალიონის T-72Б-ებმა და სადაზვერვო ბატალიონის შეიარაღებაში მყოფმა КАМАЗ-43269 Дозор-ის ტიპის სადაზვერვო-საპატრულო მანქანებმა. ამ უკანასკნელების ძარაზე ზევიდან ZALA 421-08 Ласточка-ს ტიპის უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატები იყო დაყენებული.

**თემურ ჩაჩანიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# რთული გზა: პოლიტიკური პოლიციიდან ეროვნულ სპეცსამსახურებამდე

**„ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უმძიმესი მემკვიდრეობა გერგოთ. მდგომარეობა სავალალოა და ძირეული რეფორმებია საჭირო ყველა სფეროში. პრობლემათა გრძელი ჯაჭვიდან უპირველესად სპეცსამსახურების რეფორმაა გასატარებელი, რადგანაც ისტორიულად ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ რეალური ცვლილებების საბოტირება თვით სპეცსამსახურების მოქმედებებიდან ან უმოქმედობიდან წამოვა. ქართული სპეცსამსახურები რუსულ (იგივე საბჭოთა) თარგზე არიან მოჭრილნი და წლების მანძილზე მათ საქმეს აკეთებენ. აქ „კოსმეტიკური" მოქმედებები საკმარისი არ იქნება — არსებული უნდა დაინგრეს და თვისობრივად ახალი, ეროვნული, 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი სპეცსამსახური აშენდეს. ეს თუ არ მოხდა, გარე და შინა მტრები ისე გადაგვთელავენ, როგორც „დიდოელი ლეკი ნაბადს". კადრების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი პატრიოტიზმი, პატიოსნება და პროფესიონალიზმი უნდა გახდეს",** — ასე მივმართეთ პრესის საშუალებით ჯერ კიდევ 2004 წლის დასაწყისში საქართველოს ახალარჩეულ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. ძველი სისტემა „დაინგრა" მხოლოდ კადრების თვალსაზრისით. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ უშიშროების სამინისტროდან, ყოველგვარი ობიექტური კრიტერიუმებისა და შეფასების გარეშე, სამსახურიდან (უმთავრესად ზედა და საშუალო რგოლებიდან) დაითხოვეს პროფესიონალი და პატრიოტი კადრების დიდი უმრავლესობა. მათ მაგივრად კი სრულიად გამოუცდელი, მაგრამ პირადი ერთგულების საფუძველზე შერჩეულ ადამიანებს გაუხსნეს გზა. მიზეზთა გამო საქართველოს სპეცსამსახურები თანდათან თავად გადაიქცნენ საშიშროებად და საფრთხედ საზოგადოებისათვის.

პრობლემა ძალზე ბევრია, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: საკადრო პოლიტიკა; უშიშროების არქივების მდგომარეობის შესწავლა და ლუსტრაცია; საკანონმდებლო ცვლილებები; საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა სპეცსამსახურების საქმიანობაზე; საპარლამენტო „ნდობის ჯგუფის" დაკომპლექტება და ა.შ. წლები გადის და მდგომარეობა არ იცვლება. დაფინანსების მრავალჯერად გაზრდას ჩვენს სპეცსამსახურებში ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის დემოკრატიული და პროფესიონალური ცვლილება არ მოუტანია. ამ პირობებში სპეცსამსახურების საზოგადოებისგან გაკონტროლების მოთხოვნა უკვე ძველი და მობეზრებული ანეკდოტივით მოსაწყენი მოსასმენი იყო ხელისუფლებისთვის. ბოლო წლებში საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელები თავს აღარ იწუხებდნენ მყარი მტკიცებულებების მოპოვებით, საზოგადოებისათვის წარდგენით და სამართლებრივი სფეროდან აშკარად გადავიდნენ მტკიცებულებების შექმნაზე, რასაც „რეალითი შოუების" სახით, თანაც უდანაშაულობის პრეზუმფციის აშკარა და მრავალჯერადი დარღვევით გვთავაზობენ. ტერორისტებს და უცხო ქვეყნის ჯაშუშებს ყველა ქვეყანაში ებრძვიან, თუმცა, მეტ-ნაკლები წარმატებით. მით უმეტეს, როდესაც საქმე საქართველოს სისხლის სამართლის 311-314 მუხლებს ეხება, რადგანაც ჯაშუშობა არ არის მარტივად დასამტკიცებელი დანაშაული. ამ დროს უმთავრესია აუცილებელი მტკიცებულებების შეგროვება და კანონის მიხედვით დოკუმენტირება. ხშირად ეს პროცესი თვეობითა და წლობით გრძელდება. ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი პირის ოპერატიული დამუშავება გულისხმობს: მისი ბიოგრაფიის დაწვრილებით ანალიზს, მისი შემოსავლების და ხარჯების შესწავლას; უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან საეჭვო კონტაქტების გამოვლენას, აგენტურის ჩანერგვას მის გარემოცვაში; გარე თვალთვალს; ფარულ მოსმენებს, ფარულ ფოტო — და ვიდეოგადაღებებს, ელექტრონული ფოსტის გაჩხრეკას და სხვა. ამ ურთულეს პროცესში მთავარი მაინც ნივთმტკიცებულების მოპოვება და ეჭვმიტანილის დანაშაულის ადგილზე დაკავებაა. თუ სპეცსამსახური ზემოთ ჩამოთვლილ ოპერატიულ ღონისძიებებს

კანონის დაცვით და შეუცდომლად განახორციელებს, ეჭვმიტანილის აღიარებით ჩვენებებზე უკვე ნაკლებად იქნება დამოკიდებული და საზოგადოების სამართლიან კრიტიკასაც ნაკლებად დაიმსახურებს.

## როცა „აღიარება მტკიცებულებათა დედოფალია“

საბჭოთა მართლმსაჯულების ყველაზე „ბნელი“ თეორია – ეჭვმიტანილის აღიარებითი ჩვენების გადამწყვეტი როლი სხვა მტკიცებულებებთან შედარებით – ანდრეი ვიშინსკის (1883-1954 წწ.) უკავშირდება. ის საბჭოთა დიქტატორის, იოსებ სტალინის მარჯვენა ხელი იყო. სწორედ ვიშინსკი ხელმძღვანელობდა 30-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების სასამართლო განაჩენით „გაპრავებას“. ის 1935-1939 წლებში საბჭოთა კავშირის პროკურორი იყო და ბუხარინის, რიკოვის, კამენევის, ზინოვიევისა და სხვათა რეზონანსულ საქმეებზე სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდიოდა. ამიტომაც იყო, რომ თუ რომელიმე ყოფილი საბჭოთა კომუნისტი არაადამიანური წამების შედეგად „აღიარებდა“ სახელმწიფო გადატრიალების მომზადებას, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტობას და ამ მიზნით ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანას, სხვა მტკიცებულება უკვე აღარ იყო საჭირო, ისე მიჰყავდათ დასახვრეტად.

## შეიძლება კი აღიარება ძირითად მტკიცებულებად ჩაითვალოს?

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილი გარკვევით არეგულირებს ამ საკითხს. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ: „ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ სასამართლო განაჩენს, თუ ბრალის აღიარება დამტკიცებული არ არის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით“.

გავიხსენოთ, თუ რა მტკიცებულებებია დაშვებული სისხლის სამართლის პროცესში: ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და განსასჯელის ჩვენებები, დაზარალებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა და ნივთიერი მტკიცებულება, საგამოძიებო მოქმედებების, სასამართლო მოქმედებებისა და სასამართლო განხილვის ოქმები; სხვა დოკუმენტები და აუდიო-ვიდეოჩანაწერი.

სამწუხაროა, რომ რამდენიმე ასეულმილიონიანი ბიუჯეტის მქონე სპეცსამსახური დაკავებული იყო პოლიტპარტიებზე „შავი პიარის“ შექმნით, იქ აგენტურის ჩანერგვით, ფარული მოსმენებითა და გადაღებებით. საშინელი წამება ციხეებში იქცა აღიარებითი ჩვენებების მიღების ძირითად წყაროდ. ვის ახსოვდა რუსეთის მიერ სამხედრო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ოკუპირებული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება? ამ დროს კი რუსეთის აგენტურა ლაღად მოქმედებდა.

## რუსეთის აგენტურის როლი „ცხინვალის ხაფანგში“

მეგობარმა ქვეყნებმა მრავალჯერ გააფრთხილეს საქართველოს ხელისუფლება ძალისმიერი გზით კონფლიქტების მოგვარების არაპერსპექტიულობაში. გაუაზრებელი და გაუთვლელი „სპეცოპერაციები“ და „კუნთების ჩვენება“ ცხინვალის კონფლიქტის ზონაში, რაც უხვად იყო 2004-2005 წლებში, უნდა დასრულებულიყო. გარდა ამისა, ომსაც ცოდნა უნდა. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქართველ „სამხედრო სტრატეგს“ რატომღაც არ უნდა იმ უბრალო ჭეშმარიტების დაჯერება, რომ სანამ ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საზღვრებს რუსეთთან, მანამ სეპარატისტების უზრუნველყოფა სამხედრო ტექნიკითა და ცოცხალი ძალით, მოხდება. ამ პირობებში კი ჩვენი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი სამხედრო ძალები საბოლოო მიზნის მიღწევას – ტერიტორიების დაბრუნებას, ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის პირობების შექმნას ვერ შეძლებენ. ქართველი ჩინოვნიკი „რემბოების“ ფახიფუხს და დაპირებებს იმის შესახებ, რომ „ახალ წელს ცხინვალში შეხვდებოდნენ“, შედეგად არა მხოლოდ უარყოფითი საერთაშორისო რეზონანსი, არამედ სეპარატისტების სამხედრო და მორალური გაძლიერებაც მოჰყვა. ახლა კი ევროპას ჩვენი კონფლიქტების მოგვარებაზე მეტად ცივი ზამთრის და გაზმომარაგების პრობლემები უფრო აღელვებს. არც აშშ-ს სცალია ჩვენთვის. ასე რომ, კონფლიქტების ძალისმიერი გზით მოგვარება მარცხისთვის წინასწარ იყო განწირული და ამიტომ, თუ არსებობდა მშვიდობიანი დარეგულირების თუნდაც ერთი შანსი, ჩვენს ხელისუფლებას ის უნდა გამოეყენებინა. „აგვისტოს ომიდან“ ოთხ წელზე მეტი გავიდა, თუმცა, ბევრი რამ ჯერ კიდევ საიდუმლოებითაა მოცული. რატომ გავებით რუსეთის ხაფანგში? – ეს კითხვა კვლავ აქტუალურია და პასუხს ელის. ერთ-ერთი მთავარი, ჯერ კიდევ ბურუსით მოცული საკითხი აგვისტოს ომის პროვოცირებაში რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურის როლია. რუსეთის სპეცსამსახურებს საქართველოს (ისე, როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების) სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურების ყველა დონეზე ყოველთვის ჰყავდა აგენტები, რომელთა მეშვეობითაც მოსკოვი მისთვის სასურველ პოლიტიკას ატარებდა. რუსეთის სპეცსამსახურებმა საბჭოთა - კა-გე-ბეს აგენტურა მემკვიდრეობით მიიღეს, შემდგომ წლებში თავადაც ბევრი დაამატეს და დღეისთვის, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნის ბევრ ჩინოვნიკს, პოლიტიკურ პარტიას, მასმედიის საშუალებას თუ ჟურნალისტს აკონტროლებენ. ამის მტკიცების საფუძველს შემდეგი ფაქტიც გვაძლევს. WikiLeaks-მა ბევრი დოკუმენტი გამოაქვეყნა საქართველოზე. კერძოდ, საიდუმლო მასალები ასახავდა ამერიკელი დიპლო-



ქართული სპეცსამსახურები რუსულ (იგივე საბჭოთა) თარგზე არიან „მოჭრილნი“ და წლების მანძილზე მათ საქმეს აკეთებენ. აქ „კოსმეტიკური“ შელამაზება საკმარისი არ არის — საჭიროა ძირეულად და თვისობრივად ახალი, ეროვნული, 21-ე საუკუნის შესაბამისი სპეცსამსახურის შექმნა



რევოლუციებს ხალხი იმედის თვალით უყურებს, თუმც იმედები ყოველთვის არ მართლდება

მატების (აშშ-ის ელჩების, ჯონ ტეფტის და ჯინ ბასის) მიმოწერას, 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომისა და შემდგომი წლების შეხვედრების ანგარიშებს. გავრცელებული ინფორმაციით WikiLeaks-ი საქართველოს შესახებ სულ 1167 დოკუმენტის გამოქვეყნებას გეგმავს. WikiLeaks მიერ გამოქვეყნებული 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზის დროს ჩვენ ექსპერტ-პოლიტოლოგებს „რატომღაც“ გამორჩათ პოლონეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსის ფრანტიშეკ გაგორის საიდუმლო დეპეშა. პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკისთვის გაგზავნილი ეს შეტყობინება კი ძალზე საინტერესო და დამაფიქრებელია. ამ საიდუმლო დეპეშის რამდენიმე სტრიქონიდანაც კი ჩანს, რომ ის ეკუთვნის საქართველოს გულშემატკივარ პირს, რომელიც მღელვარებას ვერ მალავს: **„პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიიღო სამხრეთ ოსეთში შეჭრის ძალზე ცუდი გადაწყვეტილება, რაც რუსეთს აძლევს ხელს... საქართველოთი მანიპულირებდნენ რუსეთის აგენტები, შესაძლებელია თვით (საქართველოს) პრეზიდენტის მრჩეველთა გარემოცვიდან... საქართველოს ეს მცდარი ნაბიჯი მოსკოვისთვისაა ხელსაყრელი“.**

აი ასე, პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური ეტიკეტის დაცვის გარეშე გამოხატავს შეშფოთებას ფრანტიშეკ გაგორი. საინტერესოა,რა ინფორმაციას ეყრდნობოდა პოლონელი გენერალი,როდესაც საქართველოს პრეზიდენტის გარემოცვაში არსებულ რუსეთის აგენტურაზე მიუთითებდა? სამწუხაროდ, ამ და სხვა ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე გენერალი გაგორი პასუხს ველარ გასცემს, რადგანაც ის 2010 წლის 10 აპრილს სმოლენსკთან მომხდარ ავიაკატასტროფაში დაიღუპა პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისა და სხვა სამხედრო-პოლიტიკურ პირებთან ერთად.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ნიგერია

## ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირების კერა აფრიკაში

ნიგერიას „აფრიკულ ჩინეთსაც" უწოდებენ, რადგან ამ კონტინენტზე მას ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს; ტერიტორიის მიხედვით კი ნიგერია მსოფლიოში 32-ე ადგილზეა. ქვეყანა 36 შტატად იყოფა და აქედან 12-ში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმანია და შესაბამისად, იქ შარიათის კანონებიც მოქმედებს. სხვა შტატების მოსახლეობა უმთავრესად ქრისტიანია, თუმცა, საკმაოდ არიან ადგილობრივ ტრადიციულ რწმენათა მიმდევრებიც.

ნიგერია ეკონომიკურ-გეოგრაფიულად და ეთნორელიგიურად იყოფა სამ დიდ რეგიონად — ჩრდილოეთი (ძირითადი მოსახლეობა: ჰაუსა, რელიგია: ისლამი) დასავლეთი (ძირითადი მოსახლეობა: იორუბა, რელიგია: ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები) და აღმოსავლეთი (ძირითადი მოსახლეობა: იგბო, ბინი, იბიბიო, გური და სხვა ტომები; რელიგია: ქრისტიანობა). ჩრდილო რეგიონის ცენტრია ქალაქი კადუნა, დასავლეთის — იბადანი, აღმოსავლეთის — ენუგუ. ნიგერიაში 100-ზე მეტი სხვადასხვა ტომი და ხალხი ცხოვრობს. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებს, რელიგიაა. აქედან გამომდინარე, უმეტესწილად ეროვნული თვითაღქმაც რელიგიის მიხედვით ხდება.

თითქმის 30 წელზე მეტია, ნიგერიის ჩრდილო რეგიონის შტატებში მუსლიმანებსა და ქრისტიანებს (ისინი უმცირესობას შეადგენენ) შორის უმწვავესი დაპირისპირება პერიოდულად შეიარაღებული კონფლიქტის სახეს იღებს ხოლმე.

რელიგიური განსხვავების გამო ხშირად ერთმანეთს ერთი ხალხის ან ტომის წარმომადგენლებიც უპირისპირდებიან. სწორედ რელიგიური განსხვავება გახდა მიზეზი იმისა, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოსავლეთის ქრისტიანულმა რეგიონმა „ბიაფრის რესპუბლიკის" სახელით ნიგერიის შემადგენლობიდან გასვლაც კი სცადა.




ნიგერიის ლინგვისტური რუკა 1979 წლის მონაცემებით

### ისლამი და ქრისტიანობა ნიგერიაში: ურთიერთდაპირისპირების მიზეზები

ნიგერიაში მუსლიმანები და ქრისტიანები ისე არიან გადაკიდებული ერთმანეთს, რომ დასავლელ ექსპერტთა შეთავაზებას ქვეყნის გაყოფის თაობაზე ადგილობრივებიც ეთანხმებიან, თუმცაღა, ბუნებრივია, უხალისოდ.

არადა, ჩრდილოეთის 12 შტატში, სადაც უმრავლესობას მუსლიმანები შეადგენენ, ქრისტიანებს არ დაედგომებათ, ხოლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ შტატებში მუსლიმანებს არ აჩარებენ.



ნიგერიელი ქრისტიანი პროტესტანტები



ნიგერიელ მუსლიმანს ხელში დამწვარი ქრისტიანის სხეულის ნაწილი უჭირავს

თვით ნიგერიის საკანონმდებლო ორგანოშიც (ორპალატიანი პარლამენტი) მუსლიმანთა და ქრისტიანთა დაპირისპირებანი (ხშირად სისხლიანიც კი) ხშირად გამხდარა კრიზისის მიზეზი.

შედარებით უფრო ტოლერანტული არიან ტრადიციული რწმენების მიმდევარი ნიგერიელები, რომლებიც დასავლეთში ცხოვრობენ. თუმცა, მათ უკმაყოფილებას მაინც იწვევს ის ფაქტი, რომ ქრისტიანებიცა და მუსლიმანებიც ძველ ტრადიციულ რწმენებს ჯეროვან პატივს არ მიაგებენ და მათი მიმდევრების მოქცევას ცდილობენ ისლამზე ან ქრისტიანობაზე. ერთი სიტყვით, სიტუაცია არც დასავლეთშია მშვიდი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ნიგერიის ტერიტორიაზე არსებობდა ადგილობრივ ტომთა მიერ შექმნილი რამდენიმე სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელთა შორის გამოირჩეოდა იორუბას ტომის სახელმწიფო ოიო, სადაც ძირითადი რელიგია ტრადიციული რწმენები იყო და, ასევე, ჰაუსას ხალხის სახელმწიფო ჰაუსა, სადაც გაბატონებულ რელიგიას ჩრდილო აფრიკის არაბული ქვეყნებიდან შეთვისებული და ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს მორგებული ისლამი წარმოადგენდა.

ქრისტიანობამ ნიგერიაში ფეხის მოკიდება XVI-XVII საუკუნეებიდან დაიწყო — იმ დროს ქვეყნის სანაპირო რეგიონებში პორტუგალიელები გაბატონდნენ. მათ მდინარე ნიგერის შესართავთან ფაქტორიები დააარსეს და მონებით ვაჭრობასაც მიჰყვეს ხელი. პარალელურად კი ადგილობრივ მცხოვრებთ, რომელთაც კუპრივით შავი კანი ჰქონდათ და სხვა ზანგებისგანაც ამით გამოირჩეოდნენ (აქედან მოდის ქვეყნის სახელიც — ნიგერია; დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ის იწერებოდა როგორც Niggeria და გამოითქმოდა ისე, როგორც ქართულად ვამბობთ, მერე კი დაწერილობაც შეცვალეს და ინგლისური გამოთქმაც: Nigeria — ნაიჯერია), კათოლიციზმს უქადაგებდნენ და საკმაოდ ბევრიც მოაქციეს.

XIX საუკუნის შუა წლებიდან ნიგერიაში პორტუგალიელები ინგლისელებმა და ფრანგებმა შეცვალეს, თუმცაღა, ამ უკანასკნელებმა მალე დათმეს ასპარეზი და უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლეს.

პორტუგალიელების ყოფილი ფაქტორია ლაგოსი დიდი ბრიტანეთის ხელში გადავიდა, ხოლო გაკათოლიკებულ ზანგებს სულიერ მწყემსებად ირლანდიელი პატრები მოევლინნენ. ამასთან, ბრიტანული მმართველობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ტრადიციულ რწმენათა მიმდევრები არ შეუზღუდავთ და ფარულად ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ისინი ქრისტიანებისთვისაც და ერთმანეთისთვისაც დაეპირისპირებინათ — ასე უფრო იოლი იყო ნიგერიის მართვა.

ამჟამინდელი მუსლიმანური ჩრდილოეთის რეგიონის ტერიტორია XIX საუკუნეში, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი იყო, რადგანაც იქ, არც ბრიტანეთის, არც საფრანგეთის კანონები ვრცელდებოდა. სამაგიეროდ, სხვადასხვა მუსლიმან ტომთა შორის დიდი დაპირისპირება იყო და ცენტრალიზებული ხელისუფლება იქ არ არსებობდა. ამით სარგებლობდა დიდი ბრიტანეთიც და საფრანგეთიც — ორივენი ერთმანეთზე აქეზებდა მუსლიმან ტომებს და ხელს ითბობდა. საბოლოოდ, მუსლიმანთა უდიდესი ნაწილი დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ მოექცა და მის მფარველობაშიც შევიდა. ბრიტანელებმა თანდათან ფეხი მოიკიდეს მუსლიმანთა მიწებზე და იქაურობა ნელ-ნელა თავიანთ კოლონიად აქციეს.

1930 წელს ამჟამინდელი ნიგერიის ჩრდილოეთი ნაწილი უშუალოდ შეუერთდა იმ ტერიტორიას, რასაც ჯერ ბრიტანეთის ლაგოსი და ნიგერია ერქვა, მერე კი მხოლოდ ნიგერია ეწოდა.

ბრიტანელებმა ხერხი იხმარეს და ნიგერია ადმინისტრაციულად ისე დაყვეს, რომ თითოეულ პროვინციაში სხვადასხვა რწმენის ხალხი მოხვედრილიყო და დაძაბულობის კერები შექმნილიყო.

მათ კარგად გათვალეს — XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ნიგერიაში უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა მუსლიმან და ქრისტიან მოსახლეობას შორის და ალაგ-ალაგ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც მივიდა, თუმცა, ბრიტანულმა ჯარმა ყველაფერი აღკვეთა.

დაპირისპირების ახალი ტალღა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან (1960 წელი) 10 წლის შემდეგ დაიწყო, როცა ჩრდილოეთის 12 შტატში მცხოვრებმა მუსლიმანურმა უმრავლესობამ ქრისტიან უმცირესობას გენოციდი მოუწყო და თავიანთ ტერიტორიაზე შარიათის ნორმების დამკვიდრება მოითხოვა.

ქრისტიანთა გაჟლეტის საბაბად კი

იქცა ის, რომ 1967-70 წლებში იგბოს ქრისტიანულმა ტომმა აღმოსავლეთ ნიგერიაში ე. წ. „ბიაფრის რესპუბლიკა“ შექმნა; ვინც იმ მხარეში ისლამს აღიარებდა, ჩრდილოეთში განდევნეს ან წამებით მოკლეს.

1970 წელს ნიგერიის ფედერალურმა არმიამ (რომლის პირადი შემადგენლობის 80% მუსლიმანი იყო) ბიაფრის დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო და ყველაფერ ამას კი ჩრდილოეთში ქრისტიანთა გენოციდი მოჰყვა.

მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირება უფრო გამწვავდა 1980 წელს, როდესაც ნიგერიის ხელისუფლებაში ქრისტიანები მოვიდნენ, ჩრდილოელი მუსლიმანები დიდად გააშმაგა და ახლა მათ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, თუმცა, პრეზიდენტმა შეჰუ შაგარიმ, რომელიც ხელისუფლებაში ერთადერთი მუსლიმანი იყო, მოახერხა სიტუაციის ნორმალიზება და ქვეყანას სამოქალაქო ომი თავიდან აიცილა.

სამაგიეროდ, ჩრდილოეთში მცხოვრები ქრისტიანები კიდევ ერთხელ გახდნენ რბევისა და ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლნი — 1980 წლის დეკემბერში ქალაქ კადუნაში შეტაკებისას 3 ათასამდე ქრისტიანი დაიღუპა და დასახიჩრდა, სხვები გაიქცნენ, მაგრამ სიტუაციის ჩაწყნარებისთანავე უკან დაბრუნდნენ — პრეზიდენტმა შეჰუ შაგარიმ მათი უსაფრთხოების დაცვა თავის თავზე აიღო.

2000 წელს ჩრდილოელი მუსლიმანები კვლავ აჯანყდნენ და შარიათის კანონების დაწესება ისევ მოითხოვეს. იმჟამინდელი პრეზიდენტი ოლუსეგუნ ობასანჯო, წარმოშობით იორუბა, მუსლიმანების მიმართ ხისტი პოლიტიკით გამოირჩეოდა და ამიტომაც ვერ უზრუნველყო სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილება.

შეიარაღებული დაპირისპირება 7 წელიწადს გაგრძელდა და მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა პრეზიდენტად მუსლიმანი უმარუ იარ-ადუა აირჩიეს. ამ უკანასკნელმა ერთმორწმუნეების მოთხოვნა სწრაფად დააკმაყოფილა და ჩრდილოეთის 12 შტატში შარიათი კონსტიტუციას გაუთანაბრა.

## რელიგიური დაყოფა — ნიგერიის დაშლის ერთ-ერთი წინა პირობა

ჩრდილოეთის 12 მუსლიმანურ შტატში ამჟამად 30 ათასამდე ქრისტიანი სახლობს — ძირითადად, კათოლიკეები და პროტესტანტები. ოფიციალურად მათ უფლება აქვთ, ჰქონდეთ ეკლესიები და საქველმოქმედო ორგანიზაციები, თუმცადა, აკრძალული აქვთ მისიონერული საქმიანობა, ანუ არაქრისტიანთა ქრისტიანობაზე მოქცევა.

შარიათის ნორმების დაცვა მათაც ევალებათ, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა, 12 მუსლიმანურ შტატში შარიათი კონსტიტუციას უთანაბრდება.

აქედან გამომდინარე, ქრისტიანების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა — ეს ხალხი იძულებულია, დაემორჩილოს იმ კანონებს, რომლებიც მათ რწმენას ეწინააღმდეგება და მოიქცეს ისე, როგორც მუსლიმანურ უმრავლესობას სურს. ამიტომ არის, რომ ჩრდილო ნიგერიას ყოველწლიურად უამრავი არამუსლიმანი ტოვებს და გარდა ნიგერიის სხვა ნაწილებისა, ემიგრაციაში უცხოეთშიც (მათ შორის — საქართველოშიც) მიდის.

ანალოგიურია მუსლიმანების მდგომარეობა ქრისტიანულ აღმოსავლეთში და ძველ რწმენათა მიმდევარ დასავლეთში — მათ იქ აიძულებენ, დაარღვიონ შარიათი, მეჩეთის აშენების ნებას თუ რთავენ, აზანს (ლოცვისკენ მოწოდება, რომელსაც მინარეთიდან კითხულობს მუეძინი) არ აკითხებენ და ა.შ. გარდა ამისა, თუ ჩრდილოეთში ვინმემ ისევ დაარბია ქრისტიანები, არამუსლიმანურ შტატებში მუსლიმანებს აგებინებენ პასუხს. ამიტომ დღეს მუსლიმანური მოსახლეობა თანდათან ტოვებს სხვა ადგილებს და ჩრდილოეთში გადადის საცხოვრებლად.

ძველი რწმენების მიმდევრებს რაც შეეხება: ისინი დასავლეთ შტატებში მთელი მოსახლეობის 80%-ზე მეტს შეადგენენ, მაგრამ ყველა ერთი რწმენის აღმსარებელი არ არის — სხვადასხვა ტომს სხვადასხვა სულისა თუ ზებუნებრივი ძალის სწამს და ამდენად, მათი გაერთიანება გარკვეულწილად პირობითია. თუმცა, ასეთი ჭრელი ვითარება ერთდროულად ტოლერანტობასაც განაპირობებს (ძველ რწმენათა მიმდევრებს შორის) და დაპირისპირებასაც (ძველი რწმენების მიმდევრებს და ქრისტიანებს ან მუსლიმანებს შორის). აქედან გამომდინარე, სიმშვიდე არც დასავლეთშია.

საბოლოოდ, ექსპერტები ერთხმად მიდიან დასკვნამდე, რომ ნიგერია ერთგვარად მყიფე სახელმწიფოა და თუ ასე გაგრძელდა, აუცილებლად დაიშლება.

ნიგერიელებიც კარგად ხვდებიან ამას და უკვე კარგა ხანია, მსჯელობენ, რა იღონონ. სხვათა შორის, ქვეყანაში პროცენტულად ყველაზე მეტი ტრადიციულ რწმენათა მიმდევრები არიან, თუმცა, ხელისუფლება მუსლიმანთა და ქრისტიანთა ხელშია.

ადგილობრივ ექსპერტთა აზრით, ნიგერია ტერიტორიულ ერთიანობას შეინარჩუნებს მაშინ, თუკი რომელიმე ამ ორ ჯგუფთაგან უპირატესობას მოიპოვებს ისე, რომ მეორე ჯგუფი არ დაიჩაგროს. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება სადავოა, რამდენადაც უპირატესობის მოპოვებისთვის ბრძოლაა საჭირო და სწორედ ამ ბრძოლამ შეიძლება შეიწიროს ნიგერია.

მუსლიმანურ-ქრისტიანული დაპირისპირება ნიგერიაში დიდი საფრთხის შემცველია იმიტომაც, რომ ის გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების (როგორიც არის კამერუნი, ნიგერი ანდა მალი) მუსლიმან და ქრისტიან მოსახლეებზეც. მაგალითად, ნიგერში ქრისტიან სამხრეთულებსა და ჩრდილოელ მუსლიმანთა (ბერბერთა) შორის ურთიერთობა მწვავდება მაშინ, როცა ნიგერიაში მათი ერთმორწმუნეები ერთმანეთს ეჯახებიან. ამავე მიზეზით რთულდება სიტუაცია კამერუნში, ჩადსა და სხვა მრავალ ქვეყანაში. ნიგერიის დაშლამ კი ნებისმიერი მათგანის დაშლა შეიძლება გამოიწვიოს.

**მიხეილ ლაბაძე**

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯონ ჩერჩილი, ჰერცოგი მალბორო

**1650–1722**

**ჯონ ჩერჩილი ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი იყო. კონტინენტზე ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში ჰერცოგ მალბოროს გამარჯვებამ ინგლისი უმნიშვნელო კუნძულიდან მნიშვნელოვან სამხედრო ძალად აქცია.**

**ჯონ ჩერჩილი 1650 წელს დევონში, გაღარიბებულ მონარქისტთა ოჯახში დაიბადა. 17 წლისა იორკის ჰერცოგ ჯეიმზის პაჟი გახდა და დის დახმარებით, რომელიც ჯეიმზის საყვარელი იყო, პოზიცია გაიმყარა. თავის მხრივ, ის ჩარლზ II-ის ფავორიტის, ლედი ქასთელმაინის საყვარელი გახდა.**

ქრონოლოგია

* 1650 — დაიბადა 26 მაისს, ეშში, დევონში.

* 1667 — ჩაირიცხა ქვეითთა გვარდიაში.

* 1668 — მონაწილეობს ტანჟერის ბრძოლაში.

* 1672 — მაასტრიხტის ბრძოლაში თავი ისახელა.

* 1685 — დაამარცხა მეამბოხე მონმუთის ჰერცოგი. გახდა ჯეიმზ II-ის ჯარის მხედართმთავარი.

* 1688 — მიემხრო უილიამ ორანელს, რომელმაც მალბოროს გრაფის წოდება უბოძა.

* 1692 — დააპატიმრეს და ლონდონის ტაუერში დაამწყვდიეს.

* 1702 — ესპანური მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ინგლისის ძალებს სარდლობდა. აიღო კაიზერსვერთი; უბოძეს მალბოროს ჰერცოგობა.

* 1704 — გაიმარჯვა ბლენჰაიმის ბრძოლაში.

* 1706 — გაიმარჯვა რამილიესთან.

* 1708 — გაიმარჯვა აუდენარდთან. დაიკავა ლილი.

* 1709 — გამარჯვება მალპლაკთან.

* 1722 — გარდაიცვალა 16 ივნისს, უინძორში.

## მალბოროს გრაფი

სამეფო კართან კავშირის წყალობით ჯონი ქვეითი გვარდიის რიგებში ჩაირიცხა. მომდევნო ორი წელი ჩრდილოეთ აფრიკაში იბრძოდა, მსახურობდა ანგლო-ფრანგულ ფლოტში, რომელიც ჰოლანდიელებმა 1672 წლის 28 მარტს დაამარცხეს სოლბეისთან. ბევრ ფრანგ ჯარისკაცს, რომელთანაც ის მხარდამხარ იბრძოდა, მომავალში როგორც მტრებს, ისე შეებრძოლა.

1674 წელს ჯონ ჩერჩილმა იქორწინა სარა ჯენინგსზე, რომელიც მოგვიანებით ჯეიმზის ქალიშვილის, დედოფალ ანას სეფექალი გახდა.

როდესაც ჩარლზ II გარდაიცვალა, ჯეიმზი ტახტზე ავიდა, ჩერჩილმა კი ჰერცოგ მონმუთის აჯანყება ჩაახშო. მონმუთი ჩარლზის უკანონო ვაჟი და ტახტის პროტესტანტი პრეტენდენტი იყო, მაგრამ, როდესაც პროტესტანტული ინგლისი კათოლიკე ჯეიმზს აუმხედრდა, ჩერჩილმა ერთგულება შეჰფიცა ახალ მეფეს — უილიამ ორანელს, რომელმაც ჯილდოდ მალბოროს გრაფობა უბოძა.



აუდენარდთან ბრძოლაში ბრიტანელებმა და ავსტრიელებმა ჯონ ჩერჩელის სარდლობით საფრანგეთის არმია სასტიკად დაამარცხეს

1689-91 წლებში ჯონ ჩერჩილი ფლანდრიასა და ირლანდიაში მსახურობდა, მაგრამ 1692 წელს ლონდონის ტაუერში ჩაამწყვდიეს, როგორც ჯეიმზ II-ის დაბრუნების შეთქმულებაში ეჭვმიტანილი. თუმცა, უილიამი რომ გარდაიცვალა და ანა ავიდა ტახტზე, მალბორო ინგლის-ჰოლანდიის ჯარების მთავარსარდალი გახდა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ფრანგებთან ომში.

## ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის

1702 წელს, ესპანეთის ნიდერლანდებში შეჭრის (თანამედროვე ბელგია) შემდეგ, ჯონ ჩერჩილმა ფრანგები ბლენჰაიმთან დაამარცხა, მათი მოკავშირე ბავარიელები კი ომიდან განდევნა. 1706 წელს ფრანგთა ხელახლა ძლევის შემდეგ მან ანტვერპენი და დიუნკერკი აიღო. ორი წლის თავზე მალბორომ მართლაც გააოცა ახალი ფრანგული ჯარი აუდენარდთან, სადაც ფრანგებს მარშალი ვანდომი სარდლობდა.

მანამდე იგი მხოლოდ მოგერიებით ბრძოლებს აწარმოებდა, ახლა კი თავდაცვიდან თავდასხმაზე მოუწია გადასვლამ, რითაც ბრძოლის გამარჯვება უზრუნველყო.

ამის მერე საფრანგეთში შეჭრა სცადა. მისი ჰოლანდიელი მოკავშირეები უკან გაბრუნდნენ, მან კი 1708 წლის 11 დეკემბერს ლილი აიღო. სანამ ფრანგები ზავის ჩამოგდებას ცდილობდნენ, ჯონმა მონსიც დაიკავა. 1709 წლის 11 სექტემბერს მარშალ ვიიარის სარდლობით ფრანგებმა მალპლაკთან გაუმართეს ბრძოლა, სადაც მალბორომ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მათ. მის შეტევას ფრანგთა რეზერვმა გაუძლო მხოლოდ. ამიტომ ჩერჩილმა მეომრები რეზერვის შუაგულში შეგზავნა, რამაც ფრანგები საბოლოოდ გატეხა. თუმცა, ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა, მისი დანაკარგი მოკავშირეებიანად 21 ათას კაცს შეადგენდა, როდესაც ფრანგთა დანაკარგი 12 ათასს არ გასცდენია.

ორი წლის შემდეგ ხელისუფლებაში ტორები მოვიდნენ, რომელთაც დაიჟინეს, ინგლისი ამხელა ძალებს ხმელეთზე საბრძოლველად კი არ უნდა ხარჯავდეს, არამედ ზღვაზე ბატონობისთვის უნდა იყენებდესო. მალბორო გადააყენეს და განდევნეს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ბრალდებით. მისი ღირსება მაშინ აღდგა, როდესაც გეორგ I ავიდა ტახტზე 1714 წელს, მაგრამ ძველი გავლენა აღარ დაჰბრუნებია. ჯონ ჩერჩილი 1722 წელს გარდაიცვალა.






## ბლენჰაიმის ბრძოლა

- 1704 წელს მალბორომ თავისი არმია 250 მილზე გადააადგილა გერმანიაში, ბლენჰაიმისკენ. 13 აგვისტოს მტერს დიდი დანაკარგი მიაყენა — ფრანგებმა 34000 ჯარისკაცი დაკარგეს, თვითონ კი მხოლოდ 12 ათასი, ანუ საკუთარი ჯარის მეოთხედი. ამით ფრანგულ ჯარს დაუმარცხებლის სახელი შეელახა. ავსტრიის პრინცმა ევგენი სავოიელმა ჯონს საღვთო რომის იმპერიის უფლისწულობა უბოძა, ხოლო დედოფალმა ანამ 10000 გირვანქა სტერლინგი და ოქსფორდშირში ბლენჰაიმის სასახლის აშენება შეუკვეთა.
- 1706 წლის 23 მაისს რამილიესთან მალბორომ ცრუიერიშს მიმართა მარჯვნივ, მერე კი შებრუნდა და ცენტრისკენ გაიჭრა. მართალია, ჰოლანდიელებმა ბრძოლაში თავი ვერ ისახელეს, მაგრამ მალბორომაც ცოცხალმა ძლივს გამოასწრო ბრძოლის ველიდან. საბოლოოდ კი ფრანგები გაიქცნენ მოკავშირეებთან შედარებით ხუთჯერ თუ ექვსჯერ შეთხელებული.
- 1708 წლის 11 ივლისს აუდენარდთან მალბოროს ბრძოლაში ჩაბმამ მანამდე მოუწია, სანამ მისი ავსტრიელი მოკავშირეები მიაშველებდნენ ჯარს. თუმცა, მაინც მოიპოვა უპირატესობა დაბნეულ ფრანგ სარდლებზე. ფრანგულ ჯარს ალყა შემოარტყა და 7000-იანი დანაკარგით ფრანგებს 18000 ჯარისკაცი მოუკლა.

*მოამზადა*
***ლევან ინასარიძემ***

# Gepard ADS



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაბური



▲ ქჰანუას ბრძოლამ (1527) ბაბურს ჩრდილოეთ ინდოეთის გაკონტროლების საშუალება მისცა.

**77** ბაბური (1483-1531) მოგოლთა დიდი (ჩრდ. ინდოეთი) იმპერიის დამაარსებელი იყო. მისი სრული სახელია ზაჰირ უდ-დინ მუჰამადი. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება ჩაიგდო ხელთ, მეტსახელად „ბაბური“ ეწოდა, რაც „ვეფხვს“ ნიშნავს.




◄ მოგოლების დიდი იმპერიის გაფართოება ინდოეთში.

**78** 1504 წელს ბაბურმა და მაჰმადიანი მეომრების ჯგუფმა ხელთ იგდეს ქაბული (ავღანეთი). ბაბურმა იქ პატარა სამეფო ჩამოაყალიბა და სამხრეთ ინდოეთს შეუტია. 1526 წელს ბაბურმა დელიზე გაილაშქრა, მის მმართველ იბრაჰიმ ლოდის სძლია და დაიწყო ჩრდილოეთ ინდოეთის სრულმასშტაბიანი დაპყრობა.

**79** ბაბურისა და ლოდის არმიები ერთმანეთს 1526 წელს პანიპატთან შეებრძოლნენ. ბაბურს 25000 მეომარი ჰყავდა, ლოდის — 40000. პირველად ლოდიმ შეუტია, მაგრამ დამარცხდა, როცა ბაბურის 700-ურმიანი ხაზის გარღვევა სცადა. ლოდის არმიის დამარცხების შემდეგ ბაბურმა დელი მოგოლების იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადა.

**80** პანიპატის ბრძოლაში ბაბურის მეომრებმა დენთის იარაღი — არკებუზები გამოიყენეს. ეს იყო ცეცხლსასროლი იარაღის ადრეული და იმ ეპოქაში თანამედროვე სახეობა. მოგოლი მეომრების ტრადიციული იარაღი იყო მოხრილპირიანი ხმალი (ტალვარი) და საბრძოლო კვერთხი, ატარებდნენ აბჯარს და პატარა, მრგვალ ფარს (დალი).



საბრძოლო კვერთხი



▼► მოგოლი მებრძოლის იარაღები

## გამოიძიე

გარდა იმისა, რომ მხედართმთავარი იყო, ბაბური შესანიშნავ ლექსებს წერდა და დიდებული ბაღები გააშენა. გამოიყენეთ წიგნები, ინტერნეტი და მოიპოვეთ მეტი ინფორმაცია მოგოლების დიდი იმპერიის დამაარსებელზე.

**81** ბაბურის არმიის უდიდეს ნაწილს მრავალრიცხოვანი კავალერია შეადგენდა. კავალერია ელიტური ჯარი იყო, ქვეითებად კი ძირითადად გლეხობას ამწესებდნენ. არმიაში ჰყავდათ საბრძოლო სპილოებიც, რომლებიც მშვილდოსნებისა და შუბოსნების საბრძოლო პლატფორმა იყო. სიმაღლის გამო, სპილოებს სამეთაურო და სათვალთვალო პუნქტების დანიშნულებაც ჰქონდათ.

▶ მოგოლები და ინდოელთა ჯარები საბრძოლო სპილოებს იყენებდნენ. ზოგიერთი სპილო შეჯავშნული იყო.



# ნაპოლეონი



82 ფრანგ გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტს (1769-1821) ჯარისკაცად ათი წლის ასაკიდან წვრთნიდნენ. 27 წლისა ის იტალიაში ფრანგულ არმიას მეთაურობდა. ნაპოლეონმა ევროპის დიდი ნაწილი დაიპყრო და უდიდესი იმპერია შექმნა.

◄ ნაპოლეონ ბონაპარტი სამხედრო გენიოსი და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გენერალი იყო.

83 ნაპოლეონმა ბრძოლის ახალი წესები დაამკვიდრა. ფრანგების ჯარი ბრძოლის ველისკენ, ძირითადად, ღამით მიდიოდა, შეტევაზე გადადიოდა წვიმაში და კვირადღეს. ნაპოლეონი პირველად მტრის სუსტ ნაწილებს აყენებდა დარტყმას. ეს იყო ამბიციური და ულმობელი ახალგაზრდა. 1799 წელს მან დაამხო საფრანგეთის მთავრობა და ქვეყნის ახალი ლიდერი გახდა. 1804 წელს, კორონაციის შემდგომ, ნაპოლეონი იმპერატორი გახდა.



▼ აუსტერლიცის ბრძოლა. გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონმა ჯარს მიმართა: „ჯარისკაცებო, მე თქვენით ვამაყობ!"

84 ნაპოლეონის უდიდესი გამარჯვება აუსტერლიცის ბრძოლა იყო. ის 1805 წლის 2 დეკემბერს გაიმართა თანამედროვე ჩეხეთის ტერიტორიაზე. ნაპოლეონის 70000-კაციან ჯარს რუსებისა და ავსტრიელების 80000-კაციანი არმია დაუპირისპირდა. ამ ომში გამარჯვებამ ნაპოლეონს მთელი ევროპის მმართველობის სურვილი გაუღვივა.

85 1812 წელს ნაპოლეონმა თვალი რუსეთს დაადგა. ქვეყანაში ნახევარმილიონიანი არმიით შეიჭრა და მოსკოვამდე მივიდა, მაგრამ რუსებმა ზავის დადებაზე უარი განაცხადეს. სახლიდან შორს მყოფ ნაპოლეონს, რომელსაც საბრძოლო და სურსათის მარაგი ელეოდა, სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ უკან დაეხია. იმ წელს ცივი ზამთარი იდგა და უკან მიმავალს ათასობით ჯარისკაცი გაეყინა.

► ნაპოლეონის იმპერიის გავრცობა ევროპის ტერიტორიაზე.




86 1814 წელს ავსტრიამ, რუსეთმა, პრუსიამ და დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთს შეუტიეს. კოალიციის ჯარები პარიზში შევიდნენ და ნაპოლეონი ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. მაგრამ იმპერატორი გაიქცა და საფრანგეთში დაბრუნდა ახალი არმიის შესაგროვებლად. ნაპოლეონმა უკანასკნელი ბრძოლა ვატერლოოსთან 1815 წლის 18 ივნისს გამართა. ის ბრიტანელებისა და პრუსიელების გაერთიანებულმა ჯარმა დაამარცხა. ამჯერად წყნარ ოკეანეში, წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სადაც ექვსწლიანი ტყვეობის შემდგომ გარდაიცვალა.

## დაუჯერებელია

ნაპოლეონისთვის გვირგვინი პაპს უნდა დაედგა, მაგრამ კორონაციაზე მან ეს თავად გააკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დაიბომბა გუდაუთა ზღვიდან

## კატარღები 1992-93 წლების აფხაზეთის ომში




თევზმჭერი სეინერი „განთიადი“ აფხაზეთის ომში ქართული ფლოტისთვის ნამდვილი კრეისერი იყო

**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N20, 2012**

### „აისტები“

1993 წლის მარტის დასაწყისისთვის სანაპირო დაცვის პირველი საზღვაო დივიზიონი იარაღით, საბრძოლო მასალებითა და უზრუნველყოფის საშუალებებით კარგად იყო აღჭურვილი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილესა და შეიარაღებული ძალების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ანატოლი კამკამიძეს.

მარტში საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მთავარი სამხედრო მრჩევლის, პოლკოვნიკ ვლადიმერ ჩიქოვანის ძალისხმევით ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში აგებული და საზღვარგარეთ გასაყიდად გამზადებული „აისტის“ (პროექტი 1398Б) ტიპის 4 კატარღა დივიზიონის განკარგულებაში გადმოვიდა.

მარტის პირველ ნახევარში 3 „აისტი“ თავისი სვლით ბათუმიდან ფოთში ქართველმა ოფიცრებმა ბესო შენგელიამ, ანზორ სურმანიძემ და რობერტ მალანიამ გადმოიყვანეს. ბათუმიდან კიდევ ერთი „აისტის“ მიღება მოხერხდა და 20 მარტს ოთხივე კატარღა ფოთიდან ბორტზე 4-5 ჯარისკაცით სოხუმისკენ გაემართა.

გადასვლა რთულ მეტეო — და ცუდი რადიოკავშირის პირობებში მიმდინარეობდა, რასაც დროდადრო ქართული სანაპირო არტილერიის შეცდომით გახსნილი ცეცხლიც ემატებოდა.

სოხუმთან ახლოს, სანაპიროდან 3-4 მილში, კატარღებს პრობლემები შეექმნათ და დახმარება პატარა სადესანტო კატარღა მდკ-01-მა (მეთაური მიჩმანი რობერტ ფიფია) აღმოუჩინა. მდკ-01 ჯერ ერთ კატარღას დაეხმარა და შემდეგ კი მეორე ბუქსირზე ჩაიბა. რამდენიმე ხნის შემდეგ „აისტის“ ძრავის ნაკვეთურში წყალმა შეაღწია და დამძიმებულმა კიჩომ კატარღა ვერტიკალურ, ცხვირით ზედა მდგომარეობაში გადაიყვანა. მდკ-01 „აისტს“ უკანა სვლით მიუახლოვდა და ბორტზე მყოფები სასწრაფოდ სადესანტო კატარღაზე გადავიდნენ, ხოლო საბუქსირე გვარლის გადაჭრის შემდეგ კატარღა მომენტალურად ჩაიძირა.

„აისტებმა“ საბორტო ნომრები 011, 012, 013 (ოჩამჩირესთან ჩაძირულს შეხვდა) და 014 მიიღეს.

ზღვაზე საპატრულო და საზედამხედველო სამსახურისთვის აგებული „აისტები“ შედარებით უკეთესი და დიდი მცურავი საშუალება იყო. კატარღებმა სტანდარტული შეიარაღება ტყვიამფრქვევი ПКТ (ცხვირზე) და ყუმბარსატყორცნი РПГ-7 მიიღეს. განზრახული იყო „გრადის“ ჭურვის გამშვები ერთი მილის დაყენებაც, მაგრამ ამ იდეაზე უარი ითქვა.

### მარტის შეტევა

აფხაზებმა თავიანთი საზღვაო შესაძლებლობები კიდევ ერთხელ სოხუმზე 1993 წლის მარტის ცნობილი შეტევის დროს მოსინჯეს.

უფროსი ლეიტენანტი ტრისტან დანელია: „16 მარტის შემოტევისას სოხუმის რადიოტექნიკურმა პოსტმა ზღვაში აფხაზთა 7 კატარღა შეამჩნია და ინფორმაცია სარდლობას მიაწოდა.

„ესკადრას“ ერთი „ვოლგა“ გამოეყო, სოხუმის კონცხისკენ წამოვიდა და სამხრეთ სანაპიროდან 1 მილში ტივტივას გარშემო ცურვა დაიწყო. იმ მომენტში ნაპირზე რადიოტექნიკური პოსტის ერთი ჯარისკაცი იყო და ზღვაში კატარღა შენიშნა თუ არა, მაშინვე პოსტისკენ გამოიქცა. ეტყობა, კატარღიდან ეს შეამჩნიეს, სწრაფად ღია ზღვისკენ წავიდნენ და მალე თვალს მიეფარნენ“.

აფხაზებმა კარგად იცოდნენ ჩვენი სანაპირო არტილერიის ძალა და ამიტომაც გაცლა ამჯობინეს.

მართლაც, იმ დროისთვის სოხუმის დაჯგუფების განკარგულებაში იყო 100-მდე სხვადასხვა საარტილერიო სისტემა, რომლითაც გუმისთის გამყო-

ფი ხაზი და სანაპირო ზოლი საიმედოდ იყო დაცული.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სამმართველოს უფროსის პირველი რანგის კაპიტან ალექსანდრე ჯავახიშვილის 1993 წლის 23 მარტის ბრძანებით სოხუმის დივიზიონის განკარგულებაში ფოთის საზღვაო ბრიგადის პატარა სადესანტო კატარღა მდკ-01 და მობილიზებული სეინერი „განთიადი“ (ფაქტობრივად, 1993 წლის იანვრიდან დივიზიონის განკარგულებაში იყო) გადმოვიდა.

## გუდაუთის დაბომბვა

აპრილში აფხაზური მხარე სხვადასხვა საშუალებით სოხუმის ინტენსიურ დაბომბვაზე გადავიდა და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლმა იმატა. მოწინააღმდეგის აქტიურობის შესასუსტებლად საჭირო იყო ადეკვატური კონტრზომები, რაც გუდაუთაში მყოფ სეპარატისტთა ლიდერებს დაუსჯელობის შეგრძნებას მოუსპობდა. მაშინ დაიბადა ზღვიდან „გრადის“ დანადგარით გუდაუთის დაბომბვის იდეა, თუმცა, სამხედროების ერთი ნაწილი ამას ავანტიურად თვლიდა.

უფროსი ლეიტენანტი დავით გარგანჯია: **„ამის შესახებ გენერალმა კამკამიძემ გაიგო და სათათბიროდ ალექსანდრე ჯავახიშვილი, ლეონიდე პაპუაშვილი, რევაზ ფირცხალავა და სოსო დევდარიანი დაიბარა. თათბირზე გადაწყდა ოპერაციის ჩატარების ვადებიც. საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა ოპერაციის მზადება, გამოსაყენებელი ძალებისა და საშუალებების მომზადება, სამიზნეების შერჩევა და ა.შ.** სამიზნეთა შერჩევისას მთავარი მოთხოვნა იყო, რომ დაბომბვა არ უნდა შეხებოდა რუსულ სამხედრო-სამოქალაქო ობიექტებსა და მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელს. არჩევანი გუდაუთის ცენტრში მდებარე ადმინისტრაციულ და სამხედრო დანიშნულებით გამოყენებული შენობების დაბომბვაზე შეჩერდა“.

**ოპერაციას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ამის შესახებ ინფორმირებული იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე.**

„გრადისთვის“ შეირჩა მიწამხაპავი „კოდორი“, რომელიც 1993 წლის 14 აპრილიდან სამხედრო-საზღვაო ძალების დაქვემდებარებაში იყო. გემს მცირედი გადაკეთება სჭირდებოდა, რისთვისაც ფოთში გაიგზავნა. მიზეზთა გამო იქ ეს არ მოხერხდა და მთელი სამუშაო ისევ სოხუმში, სატვირთო პორტის რაიონში შესრულდა.

**„კოდორს“ ცხვირზე 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატი ЗУ-23-2 დაემატა და ტრიუმებს შორის „გრადისთვის“ მომზადებულ ადგილას სპეციალური სამაგრები გაუკეთდა, ხოლო თავად დანადგარი გემბანზე განივად დაიდგა.**

ოპერაციაში „კოდორის“ ესკორტირებისთვის საზღვაო დივიზიონმა გამოყო სეინერი „განთიადი“ (მეთაური ზურაბ და შუქრი კოპალიანები, შეიარაღება — 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატი ЗУ-23-2, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები 14,5 მმ-იანი ორი КПВТ და ორი 12,7 მმ-იანი ДШК, 80 მმ-იანი უმართავი რაკეტული ჭურვების გამშვები დანადგარი Б-8М1), შეიარაღებული კატარღები „ვოლგა“ 05 (მეთაური მალხაზ ოჩიგავა), „ვოლგა“ 06 (მეთაური ვლადიმერ გვაზავა), „სტრიჟი“ 01 (მეთაური ზურაბ ბარაბაძე) და „სტრიჟი“ 02 (მეთაური ზურაბ ჯალაღონია).

თითოეულ კატარღას ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ПКТ და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ხელის ყუმბარსატყორცნი РПГ-7 ჰქონდა.

ოპერაცია საქართველოს არმიის არტილერიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ვლადიმერ საფარიანმა დაგეგმა.

## ოპერაციის მსვლელობა

გუდაუთის დაბომბვის სირთულე მოწინააღმდეგის საზღვაო შესაძლებლობებზე მწირი ინფორმაცია და რუსი სამხედროებისგან მოსალოდნელი რეაქციის განსაზღვრა იყო, ამიტომაც დავალებაზე გასაგზავნ ჯარისკაცებს სასიკვდილოდ განწირულად თვლიდნენ.

მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით გავრცელდა ჭორი ქართული დესანტის შესახებ და ამ აზრის გასაძლიერებლად აქტიურად მიმდინარეობდა სეპარატისტთა პოზიციების საარტილერიო ცეცხლით დამუშავება. აფხაზები დესანტის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ დესანტირების ადგილი და დრო უცნობი იყო. მხოლოდ ოპერაციის დაწყების წინადღეს გააფრთხილეს მდინარე გუმისთის შესართავთან განლაგებული ქართული ქვედანაყოფები, რომ ზღვაში შემჩნეული მცურავი საშუალებებისთვის ცეცხლი არ გაეხსნათ.

„განთიადზე“ ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელთან, I რანგის კაპიტან ლეონიდე პაპუაშვილთან ერთად იყვნენ მე-2 საარმიო კორპუსის მოადგილე საზღვაო დარგში უფროსი ლეიტენანტი სოსო დევდარიანი და დივიზიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი რევაზ ფირცხალავა.

ამ ოპერაციაში „კოდორს“ გაჰყვნენ უფროსი ლეიტენანტები რომან გრაბაკი (დივიზიონის მეთაურის მოადგილე შეიარაღების დარგში) და გერმანე კალიონოვი (მე-2 საარმიო კორპუსის ოპერატიული მორიგე).

დივიზიონის შტაბიდან ძალების მართვას პოლკოვნიკი ვლადიმერ საფარიანი უზრუნველყოფდა.

28 აპრილს ღამის 2 სთ-ზე სოხუმიდან გამოსულ „კოდორს“ უკან მიჰყვებოდა „განთიადი“, ხოლო გემების ბორტებს ზღვის მხრიდან „ვოლგები“ და „სტრიჟები“ იყვნენ ამოფარებული.



**მიწასაწოვი „კოდორი“ კორპუსის ფორმითა და ზედნაშენით „ბზიფისგან“ არ განსხვავდებოდა. საბჭოთა ტექნიკური ფლოტის შემადგენლობაში 1953 წელს შევიდა. გემის წყალწყვა 322 ტონა, სიგრძე 43,17 მ და სიგანე 7,4 მ იყო, ხოლო სიჩქარე 9 კვანძს შეადგენდა**



აფხაზი მეზღვაურები კატარღაზე უმართავი რაკეტების გამშვებ დანადგარს ამონტაჟებენ

ოპერაციის დროს „განთიადის“ ბორტზე 17 მეზღვაური, „კოდორზე“ — 11 კაცი და კატარღებზე კი 16 კაცი იყო.

**ქართული გემები რუსი მესაზღვრეების ბიჭვინთის რადიოლოკაციურმა პოსტმა შეამჩნია, მაგრამ ნახევრად მძინარე ოპერატორებმა გაუგებარ სიგნალებს ყურადღება არ მიაქციეს. გასაზღვრულ რაიონში გასვლის შემდეგ „კოდორი“ (მეთაური მამუკა ჯანგველაძე) 180 გრადუსით შემობრუნდა და უფროსი ლეიტენანტ კორნეევის ბრძანებით 3-15 სთ-ზე სანაპიროსკენ „გრადის“ 36 ჭურვი გაფრინდა, ხოლო დანარჩენი ყოველი შემთხვევისთვის იქნა დატოვებული.**

ამის შემდეგ გემები სრული სვლით (6-7 კვანძი) სოხუმისკენ წავიდნენ და დილის 5 სთ-ისთვის პორტში შევიდნენ.

მთელ ოპერაციას დაახლოებით 3 სთ დასჭირდა და მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. შესაბამისად, საჰაერო ან საზღვაო საშუალებები არ გამოუყენებიათ.

ოპერაციის შედეგი უცნობი დარჩა. თანაც, სროლისას „კოდორი“ მუდმივად ზღვის დინების გავლენას განიცდიდა, რაც სროლის სიზუსტეზეც აისახებოდა, ამიტომ მაშინვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ოპერაცია მარცხით დასრულდა. ამ აზრს ისიც აძლიერებდა, რომ სეპარატისტებზე ქართული ავიაციის ან არტილერიის დარტყმებს რუსეთის ტელევიზია დანგრეული სახლებისა და დაჭრილების ჩვენებით პასუხობდა. ამჯერად კი მოსკოვმა დუმილი ამჯობინა.

**მოგვიანებით გაირკვა, რომ დაბომბვა არცთუ უშედეგო ყოფილა, — განადგურდა გუდაუთასთან მდებარე კოტეჯები და იქ მყოფ ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებში მსხვერპლი იყო.**

**არსებობს სხვა მონაცემებიც, რომელთა თანახმადაც, „გრადებით“ გაზდამტენი სადგური აფეთქდა და ადამიანთა დანაკარგიც იყო. ამის შესახებ ჩვენ ოფიცერს ერთ-ერთი შეხვედრისას აფხაზმა პოლკოვნიკმა გურამ ჯოპუამ მოუთხრო.**

მოწინააღმდეგისთვის გუდაუთის ზღვიდან დაბომბვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მაშინდელმა აფხაზურმა პრესამ ოპერაციის უკან უკრაინული იარაღი და უკრაინელები დაინახა.

ყოველ შემთხვევაში, ამის შემდეგ სოხუმის დაბომბვამ ბევრად მოიკლო, ხოლო რუსული ქვედანაყოფებით ყოველ მხრივ გამაგრებული ქალაქის დაბომბვა ქართველი მეზღვაურების დიდ წარმატებად უნდა შეფასდეს.

**თემურ ჩაჩანიძე**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



სოხუმიდან ფოთში გადმოყვანილი „აისტი“ ДШК-ს ტიპის ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იუნკერთა საბრძოლო დანაკარგი კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლაში

**რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი ქართველი საზოგადოებისათვის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად იუნკერთა სამხედრო სკოლის (სასწავლებლის) კურსანტების თავგანწირულ ბრძოლასთან ასოცირდება. ისეც ხდება, რომ ამ ომში მებრძოლ თუ დაღუპულ პირებს იუნკრებთან აიგივებენ, მაშინ როდესაც დოკუმენტურად ცნობილია დაღუპული თუ დაჭრილი იუნკრებისა და იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის ოფიცერთა ვინაობა, მეტწილ-არებით კი შესაძლებელია ბრძოლის ველზე მათი დაღუპვის ეპიზოდების აღდგენაც კი.**




იუნკერთა სამხედრო სკოლა შეიქმნა 1919 წლის სექტემბერში და მისი მიზანი ქართული რეგულარული არმიისათვის უმცროსი ოფიცრების მომზადება იყო. სკოლის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორისა და პირველი უფროსის, გენერალ კვინიტაძის ჩანაფიქრით სკოლადამთავრებული ოფიცრები ახალი ქართული არმიის ძირითადი ქვაკუთხედი გახდებოდნენ. შესაბამისად, სამხედრო საქმის შესწავლასთან ერთად დიდი ყურადღება სამხედრო-პატრიოტულ აღზრდასაც ექცეოდა.

სწავლის ხანგრძლივობა 2 წლით განისაზღვრა და პირველ წელს კურსანტები საერთო თეორიულ სამხედრო კურსს გადიოდნენ, ხოლო მეორე წელს კი მომზადება სპეციალობების მიხედვით მიმდინარეობდა.

შტატების მიხედვით სკოლა წელიწადში 90, ანუ ორ წელიწადში 180 იუნკერს მიიღებდა, საიდანაც 120 ოფიცერი ქვეითი ჯარისთვის, 30 — არტილერიისათვის, 10 — კავალერიისათვის და 20 — საინჟინრო ნაწილებისთვის მომზადდებოდა.

იუნკრები შეიარაღებული იყვნენ მოსინის ტიპის შაშხანებით, ხოლო სკოლის განკარგულებაში იყო 8 ტყვიამფრქვევი (სავარაუდოდ, „მაქსიმისა“ და „ლუისის“ სისტემის) და 5 ქვემეხი (2 საველე, 2 სამთო და ერთი ჰაუბიცა).

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს იუნკერთა სამხედრო სკოლაში 183 იუნკერი ირიცხებოდა და მათი დიდი ნაწილი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა. შაშხანებთან ერთად, შეიარაღებაში ჰქონდა 6 ტყვიამფრქვევი და 4 ქვემეხიანი ბატარეა (2 სამთო და 2 საველე ქვემეხი).

მას შემდეგ, რაც 11-17 თებერვლის

ეროვნული

ბრძოლებში რუსეთის მე-11 არმიამ თითქმის გაანადგურა სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტზე უხეიროდ განლაგებული ქართული შენაერთები, დღის წესრიგში დედაქალაქის დაცვა დადგა.

მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო, ამიტომ ახალმა სარდალმა, გენერალმა კვინიტაძემ მის ხელთ არსებული ყველანაირი სამხედრო ძალა თბილისის დასაცავად განალაგა. მათ შორის იყვნენ იუნკრები და ნაცვალთა ათასეულის 350 ახალწვეული, რომლებმაც პოზიციები თავდაცვის მარცხენა ფლანგზე, კოჯორ-ტაბახმელასთან დაიკავეს. მოგვიანებით მათ დაემატათ რეგულარული არმიისა და გვარდიის რამდენიმე ბატალიონი და თავდაცვითი მონაკვეთი მანგლისამდე გაგრძელდა.


ბრძოლაში დაღუპული იუნკერი შალვა ერისთავი

თავდაცვის ამ სექტორს სარდლობდა გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ხოლო სამხედრო სკოლას (იუნკერთა ასეული და ნაცვალთა ათასეული) კი პოლკოვნიკი (შემდგომში პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი) ალექსანდრე ჩხეიძე.

18 თებერვალს ჩხეიძის დაქვემდებარებაში გადავიდა მე-10 ათასეულიც (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის ბატალიონები ათასეულებად იწოდებოდა).

თბილისის თავდაცვის ამ მონაკვეთს 19-25 თებერვალს უტევდნენ რუსების 32-ე დივიზიის 96-ე მსროლელი ბრიგადა, მე-20 დივიზიის 58-ე მსროლელი ბრიგადის 172-ე მსროლელი პოლკი, აღმოსავლეთის კურსანტთა ბრიგადა, მე-12 საკავალერიო დივიზიის 72-ე ცხენოსანი პოლკი, მე-20 მსროლელი დივიზიის ცხენოსანი პოლკი, სომხური საკავალერიო ბრიგადა, მცირე რაოდენობით სხვა სომხური ირეგულარული ქვედანაყოფი და 16-მდე საარტილერიო დანადგარი.

ცხენოსან ნაწილებს რელიეფის გამო ქვეითად ბრძოლა უწევდათ. აქვე აღსანიშნავია, რომ რუსული შენაერთები პირადი შემადგენლობით სრულად არ იყვნენ შევსებული.

სისხლისმღვრელი ბრძოლები 19-21 და 24 თებერვალს გაიმართა. თბილისზე შეტევის პირველ დღეს, 18-19 თებერვალს, გენერალმა მაზნიაშვილმა თბილისის დაცვის ცენტრალურ მონაკვეთზე მტრის ძალებს მარცხი აგემა. რუსებმა იერიში კოჯორ-ტაბახმელაზე განლაგებულ შენაერთებზე მიიტანეს, — მიზანი დილის 8 საათისთვის კოჯრის დაკავება და თბილისში შესვლა იყო.

ბრძოლის დასაწყისშივე პოლკოვნიკ ჩხეიძესთან საუბრის დროს ბრმა ტყვიის მსხვერპლი შეიქნა იუნკერთა ასეულის მეთაური, მაიორი არჯევან ანანიაშვილი.

მტრის ყველა ფრონტალური შეტევა იუნკრებმა მოიგერიეს, თუმცა, ბოლშევიკებმა კოჯორში მდგომი მე-4 ათასეულის წინააღმდეგობა მაინც დასძლიეს და საშუალება მიეცათ სამხედრო სკოლისა და მე-10 ათასეულის ზურგში გასულიყვნენ.

გენერალმა ანდრონიკაშვილმა ამ ქვედანაყოფებს მამადავითისკენ დახევა უბრძანა, რაც ფაქტობრივად თბილისის ბედის ბოლშევიკების სასარგებლოდ გადაწყვეტას ნიშნავდა. ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადა პოლკოვნიკმა ჩხეიძემ, რის შემდეგაც ანდრონიკაშვილმა ჩხეიძეს მოქმედების თავისუფლება მიანიჭა და უთხრა: „ჩემო კარგო, თუ შენ ხედავ გამოსავალს, იმოქმედე სწრაფად და შენი მადლობელი ვიქნები!“


ბრძოლაში დაღუპული იუნკერი იოსებ ჯანდიერი

პოლკოვნიკის გეგმით ბოლშევიკთა წინსვლის შეჩერება და შემდგომ მთავარსარდლის მიერ დამატებითი ძალების მოშველიებით კოჯრიდან მტრის განდევნა იყო ჩაფიქრებული.

ჩხეიძის ბრძანებით მაიორმა ბახუტაშვილმა ზურგში მიმავალ რუსულ ნაწილებს საველე არტილერიის ცეცხლი გაუხსნა და კონტრშეტევისთვის ფრონტიდან მოხსნა იუნკერთა ერთი ოცეული (23 კაცი) ლეიტენანტ თოიძის მეთაურობით, ნაცვალთა ათასეულის ერთი ასეული და მე-10 ათასეულიდან ნახევარი ასეული კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით. ამ მცირე ძალებით ბოლშევიკთა შეტევის შეჩერება და უკან დახევა მოხერხდა.

კონტრშეტევას შეეწირა ლეიტენანტი თოიძე. ლეიტენანტის ცხედარი ბოლშევიკებს გაეძარცვათ, — საცვლების ამარა დაეტოვებინათ.

კოჯრიდან მომავალი მტრის შეჩერება მოხერხდა და მთავარსარდლის მიერ დამატებითი ძალების მიშველების შემდეგ, 20-21 თებერვალს, კოჯორი მოწინააღმდეგისგან გაიწმინდა. ქართველებმა ტყვედ აიყვანეს მტრის 200-მდე ჯარისკაცი, ხელში ჩაიგდეს 4 საველე ზარბაზანი, ტყვიამფრქვევები და პატარა ჯავშნოსანი.

ამ დღეებში არ წყდებოდა ფრონტალური იერიში ტაბახმელაში იუნკერთა სანგრებზე, თუმცა, ყველა შეტევა რუსებისთვის მარცხით დასრულდა. ბრძოლებში დაჭრილ-დაღუპულთა სახით იუნკრებს 25-მდე მებრძოლი დააკლდათ. მათ შორის იუნკერი მიხეილ ლოლუა, რომელიც მტრის ტყვიას ემსხვერპლა. ბოლშევიკებმა კონდახებით დაჩეჩქვეს იუნკერი ლევან კეზელი, თუმცა, იგი გადარჩა.

22-23 თებერვალი მცირე შეტაკებებით გაგრძელდა, ხოლო 24 თებერვალს ომის ღმერთი მთელი ძლევამოსილებით ისევ ამოქმედდა.

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართული და რუსული არმიის ახალგაზრდობა და მომავალი ელიტა: იუნკრები და აღმოსავლეთის ბრიგადის კურსანტები.

შეტევები და კონტრშეტევები ერთმანეთს ცვლიდა, არც ერთი მხარე არ იყო ჯაბანი. იუნკერთა ასეულში 100 მებრძოლამდე დარჩა, ბოლშევიკები ქართველთა პოზიციებს მიუახლოვდნენ და ხიშტებით იერიშზე გადავიდოდნენ.

იუნკრები მოწინააღმდეგის შეტევას ვერ უძლებდნენ და უკან იხევდნენ. ბოლო ზღუდე №4 სანგარი იყო, რომელიც 1-ლი ათასეულის ჯარისკაცებს ეკავათ.

აქედან რუსები გაიჭრნენ ლეიტენანტ მესხიშვილის ბატარეასთან, რომელმაც ხმალი იძრო და თავის არტილერისტებთან ერთად ბრძოლის მორევში გადაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იუნკრები თავისუფალ დროს კარტის თამაშში ატარებდნენ

ამ დროს ბაღში ჩასაფრებული იუნკრები მესხიშვილის ბატარეაზე შევარდნილ წითელ კურსანტებს ეკვეთნენ და მეოთხე სანგრისკენ გააქციეს. უკანდახეულმა რუსებმა გორაკზე ტყვიამფრქვევი „მაქსიმი“ დადგეს და კონტრშეტევაზე გადასულ ქართველებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს.

საჭირო იყო ტყვიამფრქვევის გაუვნებლება და მუხლმარდმა იუნკერმა შალვა ერისთავმაც არ დააყოვნა, ტყვიამფრქვევამდე მონაკვეთი სწრაფად გადაირბინა, მემიზნე ოფიცერს ხიშტით თავი გაუპო და თვითონ კი „მაქსიმის“ ლულას გადაესვენა.

როდესაც სულთმობრძავ ერისთავს სანიტრები მიუახლოვდნენ, იუნკერმა მათ უკანასკნელად შესძახა: „დადექ, ვინა ხარ?“

პოლკოვნიკი ჩხეიძე წერდა: „ამ ბრძოლაში იუნკრების რაინდობისა და მისი დიადი სილამაზის სამარადისო სიმბოლურ სურათად დარჩება ტყვიამფრქვევზე მწოლიარე, განგმირული შალვა ერისთავი“.

კონტრშეტევას ემსხვერპლა იუნკერი იოსებ ჯანდიერი. იუნკერ ალექსანდრე ხიმშიაშვილის მოგონებით, იოსები წინასწარ გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და მას ეუბნებოდა, რომ იმ დღეს მას უეჭველად მოკლავდნენ. 24 თებერვლის ბრძოლის წინ მან ხიმშიაშვილს ჩასჩურჩულა: „თუ შენ გადარჩი ცოცხალი, შეიძლება ნახო დედაჩემი და პატარა ძმა, უთხარი, რომ დავეცი ბრძოლის ველზე, როგორც ერთგული ჩემი ქვეყნის. მომხსენი ეს ჯვარი და გადაეცი დედაჩემს, რომ ჩამოჰკიდოს პატარა ძმას... დეე! ეს იყოს მისთვის მომავლის სიმბოლოდ“...

მართლაც, ალექსანდრემ შუა ბრძოლის დროს, როდესაც რუს ჯარისკაცს ხიშტი გაუყარა და თვითონაც დაეცა, მისგან ორ ნაბიჯში დაინახა იოსებ ჯანდიერის ფართოდ გახელილი უძრავი თვალები, რომელსაც მასთან ერთად საიქიოს ორი რუსი კურსანტი გაეყოლებინა.

კონტრშეტევას ემსხვერპლა იუნკერი ოთარ ლორთქიფანიძე, თუმცა, მისი დაღუპვის ამბავს სხვაგვარად იხსენებს მისი ძმისშვილი: „მზის ჩასვლისას, როდესაც ცხარე ბრძოლა დამთავრდა. ჩემი ბიძა, 19 წლის იუნკერი ოთარ ლორთქიფანიძე, საქართველოს სადღეგრძელოს სანგარში ფეხზე მდგომი სვამდა, რის გამოც მეგობრებმა გააფრთხილეს: ოთარ, თავი დახარეო, მაგრამ მან უპასუხა: „თავი ვის დავუხარო, ამათ?“ ამ დროს გავარდა საბედისწერო ტყვია და ბიძაჩემი უსულოდ დაეცა“.

ორივე ფეხში დაიჭრა და საავადმყოფოში გარდაიცვალა იუნკერი ილია ჯანდიერი, ასევე, პლატონ დოლიძე. ომში დაიღუპნენ იუნკრები: ალექსანდრე ახვლედიანი, პავლე იაკობაშვილი და ლევან კანდელაკი.

სულ ბრძოლის ველზე დაიღუპა 9 იუნკერი: ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, ილია და იოსებ ჯანდიერები.

იუნკრებს დაეღუპათ ორი ოფიცერი — მაიორი არჯევან ანანიაშვილი და ლეიტენანტი ირაკლი თოიძე.

დაიჭრა 7 ოფიცერი და 43 იუნკერი. იუნკერთა დანაკარგმა პირადი შემადგენლობის 35%-ს მიაღწია და ამის მიუხედავად, ბრძოლის ველი არ დატოვეს. პირიქით, 24 თებერვალს, საღამოს, პოზიციების მტრისგან სრულად გაწმენდა შეძლეს და დაღამებისთანავე უკან დაახევინეს.

რუსული დოკუმენტების მიხედვით კი კოჯორ-ტაბახმელაზე რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე 24 თებერვლის ბრძოლების შემდეგ წითელარმიელებს ჰქონდათ დაკავებული, თუმცა, ამავე დოკუმენტების მონაცემებით ამ სიმაღლეებისათვის ბრძოლაში წითელარმიელთა დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ ქართველთა კონტრშეტევის შემთხვევაში დაკავებული პოზიციების შენარჩუნებას ვერ შეძლებდნენ.

როდესაც მთავარსარდალმა კვინიტაძემ ჩათვალა, რომ თბილისი ალყაში ექცეოდა, იუნკრებსაც მოუვიდათ საკუთარი პოზიციებისა და თბილისის დატოვების ბრძანება. თბილისის დატოვებასთან ერთად მათ დიდ ნაწილს რამდენიმე კვირის შემდეგ სამშობლოს დატოვებაც მოუხდა, ხოლო მათი სახელი ვაჟკაცობისა და სამშობლოსათვის თავდადების სიმბოლოდ იქცა.

**დიმიტრი სილაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ყურადღება!

ყველა, ვინც დაიწყებს ამ სისტემით ვარჯიშს, აუცილებელია წაიკითხოს და კარგად გაიაზროს უსაფრთხოების წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრავმებს და დასახიჩრებას ვერ გადაურჩებით. იარაღთან ხუმრობა და თამაში არ შეიძლება. ეს ეხება როგორც ვარჯიშს, ასევე ბრძოლას.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ უსაფრთხოების წესები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ თავი დაიცვათ ტრავმებისა და დასახიჩრებისაგან. უსაფრთხოების წესების გამოყენებით თქვენ შეისწავლით ხელჩართულ ბრძოლას ყოველგვარი დაზიანების გარეშე.

# ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა და ქუჩური ჩხუბის ელემენტები

### უსაფრთხოების წესები ხელკეტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს

ხელკეტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს აუცილებელია დავიცვათ უსაფრთხოების 7 წესი.

1. ვარჯიშის დაწყების დროს აუცილებელია გამოიყენოთ რეზინის ან პლასტმასის ხელკეტი. მოგვიანებით გადადით ხის ხელკეტზე. იმოქმედეთ ძალიან ფრთხილად, თორემ ტრავმას მიიღებთ.

2. ვარჯიშის დროს გამოიყენეთ სახის და ტანის დამცავი საშუალებები.

3. თავდაპირველად ყოველი ილეთი და ყოველი მოძრაობა შეასრულეთ ძალიან ნელა, შემდეგ კი თანდათან მოუმატეთ სისწრაფეს.

4. როგორც დანის, ასევე ხელკეტის წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც აუცილებელია დაიცვათ დისტანცია. ხელკეტის მოქნევის მომენტში უნდა იყოთ მოწინააღმდეგისგან მოშორებით, რომ ხელკეტი არ მოგხვდეთ, ხოლო ხელკეტის აცდენის შემდეგ უნდა იყოთ მოწინააღმდეგესთან მაქსიმალურად ახლოს, რათა ხელმეორედ მოქნევის საშუალება აღარ მისცეთ და ხელკეტი წაართვათ.

5. კარგად დაამუშავეთ გაცლები. ხელკეტის წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც აუცილებელია გაეცალოთ მოწინააღმდეგეს მარჯვნივ ან მარცხნივ. აქაც მთავარია, რომ საშიში ზონიდან გახვიდეთ, შემდეგ კი მაჯა გაუკავეთ მოწინააღმდეგეს, ძირს დააგდეთ და ხელკეტი წაართვით.

6. ხელკეტის წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც მნიშვნელოვანია საბრძოლო დგომის სწორად შერჩევა. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აქ შეიძლება ორივე ხელი დაგჭირდეთ მოწინააღმდეგისთვის მაჯის გასაკავებლად.

7. ამ ბრძოლაშიც აუცილებელია ხელების სწორი პოზიციის გამომუშავება. მხოლოდ ამ შემთხვევაში თავი შეიძლება დავიცვათ როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხელით. აქ მნიშვნელობა არა აქვს რომელ ფეხს დადგამთ წინ.

### ხელჩართული ბრძოლის ტექნიკის სახეობები

იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკა:

შემხვედრი დარტყმები

შემაჩერებელი დარტყმები

მძიმეწონოსან მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ტექნიკა

რამდენიმე მოწინააღმდეგესთან ერთდროულად ბრძოლის ტექნიკა

სხვადასხვა საბრძოლო ხელოვნების ოსტატებთან ბრძოლის ტექნიკა

უმაღლესი ტექნიკა

### იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკა

ჩვენ შეგასწავლით რამდენიმე სახის ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკას. ეს ტექნიკა თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფა:

1. ხელით ბრძოლა
2. ფეხით ბრძოლა
3. გდებები

ახლა აგიხსნით რა განსხვავებაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის. ხელით ბრძოლის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს წაართმევთ იარაღს და სახეში მიაყენებთ დარტყმას.

ფეხით ბრძოლის დროს მოწინააღმდეგეს ართმევთ იარაღს და მძლავრი დარტყმით ისვრით შორს.

რაც შეეხება გდებებს, ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს სახსრებზე მტკივნეულად დაჭერით აიძულებთ იარაღს ხელი გაუშვას. იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის ეს სამივე მიმართულება ეფექტურია. თქვენზეა დამოკიდებული, რომელ მიმართულებას აირჩევთ. ამ ილეთების შესწავლა თქვენგან განსაკუთრებულ ვარჯიშს არ მოითხოვს.

დაიმახსოვრეთ მთავარი წესი: იმისათვის, რომ იბრძოლოთ ეფექტურად, არაფერზე უნდა იფიქროთ, თქვენმა თვალებმა უნდა დაინახონ ყველა მიმართულება, თქვენმა ყურებმა უნდა მოისმინონ ყველა ბგერა და თქვენ უნდა შეიგრძნოთ თქვენი ყველა მოძრაობა, გამოიცნოთ მოწინააღმდეგის ყველა შესაძლო თავდასხმის მიმართულება და მზად იყავით რეაგირებისათვის.

**ალიკა მერებაშვილი**

*შოტოკან კარატე-დოს ტექნიკური ოსტატი, შავი ქამრისა და I დანის მფლობელი*

# როგორ მოვიგერიოთ ხელკეტიანი თავდამსხმელი



1. მოწინააღმდეგე ხელკეტით გიტევს



2. მარცხენა ხელით ვუკავებთ მაჯას



3. მარჯვენა ხელით ვაწვებით კისერზე და ვიქნევთ დაბლა



4. მარცხენა ხელს ვუყრით იდაყვის ქვემოდან, მარჯვენა ხელს კი ვუჭერთ ყელში

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საგემბანო ავიაცია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-20, 2012**

## წყნარი ოკეანე

1941 წლის 7 დეკემბერს მეორე მსოფლიო ომი წყნარ ოკეანემდეც მოვიდა. იაპონური 6 ავიამზიდის 350-მა თვითმფრინავმა ჰავაიზე პერლ-ჰარბორში სამხედრო-საზღვაო ბაზაში აშშ-ების წყნარი ოკეანის სახაზო ფლოტი პირწმინდად გაანადგურა. ეს შეტევა, საგემბანო ავიაციის ისტორიაში ყველაზე მსხვილმასშტაბიან ოპერაციად შევიდა.

**ბრიტანელთა ტარანტოს ოპერაცია იაპონელებმა გულდასმით შეისწავლეს და მათი გამოგონება ტორპედოებზე დამაგრებული დამატებითი ხის სტაბილიზატორები წარმატებით გამოიყენეს. პერლ-ჰარბორზე განხორციელებულმა მოულოდნელმა დარტყმამ აშშ-ები კატასტროფის წინაშე დააყენა.**

1941 წლისთვის, იაპონიის განკარგულებაში 9 ავიამზიდი და მათ გემბანებზე ბაზირებადი 492 თვითმფრინავი იყო.

## ამერიკელთა გეგმები

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ამერიკის ფლოტს განვითარებისთვის დიდი იმპულსი მისცა და 1940 წლის გეგმით 61 სახაზო ხომალდის, კრეისერისა და 3 ავიამზიდის მშენებლობა იგეგმებოდა.

მას შემდეგ, რაც გერმანიის არმია ლა-მანშს მიადგა და ბრიტანეთი გერმანელთა შემოჭრის წინაშე დადგა, აშშ-ის მთავრობამ დამატებითად ყველა ტიპის 210 ხომალდისა და 10 ავიამზიდის მშენებლობის განკარგულება გასცა.

ახალი ავიამზიდებიდან პირველი „ესექსი“ (შემდგომ ამ ტიპის 25 ავიამზიდი აშენდა) იყო. 33000 ტ სრული წყალწყვისას, მისი გემბანის სიგრძე 267 მ იყო. კარგი კონსტრუქციის წყალობით ხომალდი 100 თვითმფრინავს იღებდა.

იაპონიის თავდასხმამდე, აშშ-ს ყველაზე მრავალრიცხოვანი და სრულყოფილი ავიამზიდი ფლოტი ჰყავდა. თუმცა საგემბანო ავიაცია მოიკოჭლებდა. ძირითადი საგემბანო გამანადგურებელი F2A Buffalo უკვე მოძველებული იყო და შეცვლას საჭიროებდა.

Buffalo-ს (ქართულად „ხარი“) შექმნაზე კონკურსი 1935 წელს გამოცხადდა და ფინალისტად კომპანია „ბრიუსტერის“ „ხარი“ დასახელდა.

**თვითმფრინავების წარმოებამდე „ბრიუსტერი“ საფოსტო დილიჟანსებს ქმნიდა. 1870-იანი წლებიდან კი სამგზავრო სარკინიგზო ვაგონებზე გადაერთო. რა თქმა უნდა, ვაგონები და თვითმფრინავები ერთმანეთისგან შორს არიან, მაგრამ იმ პერიოდში აშშ-ში ფინანსური კრიზისი სუფევდა. „ბრიუსტერმა“ კი საკუთარ თვითმფრინავებში სხვებთან შედარებით უფრო ნაკლები მოითხოვა.**

„ხარის“ გამოცდა 1938 წელს დაიწყო და ერთი წლის თავზე ის შეიარაღებაში მიიღეს. თვითმფრინავი ორი ავიამზიდის „ლექსინგტონისა“ და „სარატოგას“ ავიაფრთებში შეიყვანეს, მაგრამ უკვე 1941 წლისთვის ის უფრო თანამედროვე „უაილდკეტებით“ ჩაანაცვლეს.

ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ძლიერი ძრავას მიუხედავად, „ხარი“ ძალიან მალე მოძველდა. მისი შეიარაღება საკმაოდ სუსტი იყო (მხოლოდ ორი 12.7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი) და თვითმფრინავი ზედმეტად გადამძიმებული გამოვიდა. გამოუცდელობის გამო, ვაგონმშენებლებმა მისი კონსტრუქცია ზედმეტად მტკიცე გააკეთეს.

„ხარის“ მოძველება განსაკუთრებით თვალსაჩინო მიდუეის ოპერაციისას გახდა, როცა ატოლზე თავდასხმისას იაპონელებმა საჰაერო ბრძოლებში 13 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. თავად კი მხოლოდ ორი „ზერო“ დაკარგეს.

## პერლ-ჰარბორი

წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარ ბაზაზე შეტევა იაპონელების ფართომასშტაბიანი გეგმის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. მთავარი დარტყმა ნავთობითა და სხვა რესურსებით მდიდარ ოსტ-ინდოეთზე უნდა მომხდარიყო.

**შეტევის იდეა ადმირალ იამამოტოს ეკუთვნის, თუმცა აშშ-თან ომის მთავარი მოწინააღმდეგე სწორედ ის იყო. 1925-27 წლებში ის აშშ-ში სამხედრო ატაშედ მუშაობდა და ქვეყნის სამრეწველო შესაძლებლობები კარგად იცოდა.**

ოპერაციაში მოქმედ დამრტყმელ იაპონურ ჯგუფში 6 ავიამზიდი („აკაგი“, „ჰირიუ“, „კაგა“, „სეკაკუ“, „სირიუ“, „ძეიკაკუ“) შედიოდა. მათ დაცვას 2 სახაზო ხომალდი, ამდენივე მძიმე და 1 მსუბუქი კრეისერი და 9 საესკადრო ნაღმოსანი უზრუნველყოფდა.

დაზვერვის ცნობით, პერლ-ჰარბორის ყურეში 8 სახაზო ხომალდი, ამდენივე მსუბუქი კრეისერი, 29 საესკადრო

ნაღმოსანი, 5 წყალქვეშა ნავი და ბევრი დამხმარე გემი იმყოფებოდა.

ოპერაცია განსაკუთრებული საიდუმლოების პირობებში დაიგეგმა. იაპონური ფლოტის გადაადგილების შესახებ ამერიკელებმა იცოდნენ — 6 ავიამზიდის გაქრობა მათ არ გამოეპარვიათ. მაგრამ მათ ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

პერლ-ჰარბორზე თავდასხმაში ძირითადი იაპონური საგემბანო მოპიკირე ბომბდამშენი D3A მონაწილეობდა.

**თვითმფრინავი ფირმა „აიჩი ტოკეი დენკის" ქმნილებაა, რაც „საათებისა და ელექტრომექანიზმების კომპანია აიჩის" ნიშნავს. მის სახელწოდებაში ავიაციის ხსენებაც არ არის, მაგრამ 1920-იან წლებში კომპანიამ გაცილებით მომგებიან საქმეს — თვითმფრინავთმშენებლობას მოჰკიდა ხელი.**

ახალ სფეროში გამოუცდელობის გამო, „აიჩიმ" დასახმარებლად გერმანულ „ჰეინკელს" მიმართა. სახაზო ხომალდ „ნაგატოსთვის" კატაპულტირებადი მზვერავი იაპონელებს სწორედ გერმანელებმა დაუპროექტეს. დიდი წვლილი გერმანელმა კონსტრუქტორებმა მომავალი D3A-ს შექმნაშიც შეიტანეს.

1938 წელს ახალი თვითმფრინავი პირველად აფრინდა. მას ხისტად დამაგრებული შასი და ავიამზიდზე ნაკლები ადგილის დასაკავებლად დასაკეცი ფრთები ჰქონდა. ეკიპაჟი ორი კაცისგან შედგებოდა.

პერლ-ჰარბორზე თავდასხმის წინ თვითმფრინავი ყველა იაპონური ავიამზიდის ავიაფრთებში შედიოდა. უშუალოდ ოპერაციაში 135 D3A1 მონაწილეობდა. ამერიკულ ბაზაზე თავდასხმისას იაპონიამ 29 თვითმფრინავი დაკარგა, საიდანაც 15 — D3A1 Val-ი იყო. შემდგომ ამერიკელებმა ამ თვითმფრინავს სახელად Val-ი შეარქვეს.



Buffalo-ს დაბალი ეფექტურობა პირველივე საჰაერო ბრძოლებში გამოვლინდა

მაქსიმალური სიჩქარის — 380 კმ/სთ-ში მიუხედავად, თვითმფრინავი საიმედო და საკმაოდ ეფექტური გამოდგა. 1942 წლის 19 თებერვალს ოთხი ავიამზიდისგან შემდგარმა ესკადრამ, ავსტრალიის ჩრდილო ნაწილში, დარვინის ბაზა გაანადგურა. თავდასხმაში 72 Val-ი მონაწილეობდა.

გაუმჯობესების პროცესში თვითმფრინავმა 1300 ცხ.ძ-იანი ძრავა მიიღო. გაიზარდა საწვავის ავზების მოცულობა. თუმცა თავად საწვავის სისტემა, ისევე როგორც ეკიპაჟი, სრულიად დაუცველი რჩებოდა. ახალი D3A2-ის სიჩქარე 430 კმ/სთ-მდე გაიზარდა, მაგრამ ეს არ კმაროდა.

1942 წლიდან ამერიკული ავიაცია იაპონურს თითქმის ყველა პარამეტრით ჯაბნიდა და Val-ების რაოდენობა სწრაფად კლებულობდა. მთლიანობაში ფლოტმა D3A1 და D3A2 მოდიფიკაციის, შესაბამისად 470 და 1016 თვითმფრინავი მიიღო.

## „ტორა", „ტორა", „ტორა"

ეს სიტყვები შეტევის დაწყებას ნიშნავდა. 1941 წლის 7 დეკემბრის დილას, ავიამზიდებიდან პირველი ტალღის 183 თვითმფრინავი აფრინდა. 43 „ზეროს" ჰაერში ბატონობა უნდა მოეპოვებინა. „ველის" ტიპის 51 ბომბდამშენს აეროდრომები და ყურეში მდგარი ხომალდები უნდა დაებომბა.

**პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ, აშშ-ის წყნარი ოკეანის სახაზო ფლოტმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ მთავარი ძალა — ავიამზიდები განადგურებას გადაურჩნენ**



89 „კეიტის" სამიზნე კი მხოლოდ ხომალდები იყო და 40 მათგანი ტორპედოებით, ხოლო დანარჩენები კი 406 მმ-იანი სახომალდო ჭურვების გადაკეთებით შექმნილი ჯავშანგამტანი ბომბებით იყო შეიარაღებული.

დილის 7 სთ-ზე კუნძულზე პირველი ბომბები ჩამოვარდა. პირველივე აფეთქებისგან გაჩენილმა ხანძარმა 7 „კატალინა" გაანადგურა და 5 დააზიანა.

შემდგომ 2,5 სთ-ში სეტყვასავით წამოსული ტორპედოებისა და ბომბებისგან, აშშ-ის წყნარი ოკეანის სახაზო ფლოტმა არსებობა შეწყვიტა.

პირველი დარტყმა სახაზო ხომალდ „ნევადამ" მიიღო (მას 6 ბომბი და 1 ტორპედო მოხვდა). მის წინ მდგარ „არიზონას" მოპიკირე ბომბდამშენიდან ჩამოგდებული ბომბი ცხვირის მეორე საარტილერიო კოშკურასთან მოხვდა, რამდენიმე გემბანი ჩაანგრია და ტყვია-წამლის საწყობში აფეთქდა. უძლიერესი აფეთქებით ხომალდი შუაზე გახლიჩა და ცეცხლმოდებული „არიზონა" იქვე ჩაიძირა.

შემდეგ — „ვესტ ვირჯინიას", „ტენესის", „მერილენდის" ჯერი დადგა. მათ ათეულობით ბომბი და ტორპედო მოხვდა. მიღებული დაზიანებებისგან „ოკლაჰომა" გადაყირავდა და ჩაიძირა. ალმოდებული ხომალდების დაცხრილვაში იაპონური გამანადგურებლებიც მონაწილეობდნენ.

რამდენიმე ბომბი მშრალ დოკში მდგარ სახაზო ხომალდ „პენსილვანიასაც" მოხვდა.

თვითმფრინავების პირველ ტალღას მომდევნო ტალღის 167 თვითმფრინავი მოჰყვა და გადარჩენილ სამიზნეებს ბოლო მოუღეს.

სანამ ყურეში თითქმის დაუცველ ხომალდებს იაპონელები უმოწყალოდ ბომბავდნენ, თვითმფრინავების ნაწილი აეროდრომებს დაესხა თავს. დაიბომბა ჰიდროთვითმფრინავების, ბომბდამშენებისა და ავიაგამანადგურებლების სადგომები. იაპონელებს ჰაერში წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ შეხვედრიათ.

## უკან დახევა და დანაკარგები

დილის 10 სთ-ზე ბოლო იაპონური თვითმფრინავი უკან გაფრინდა. მიყენებული ზიანი კატასტროფული იყო — ყურეში 4 ჩაძირული სახაზო ხომალდი, 2 საესკადრო ნაღმოსანი და 1 ნაღმგადამღობი დარჩა. მძიმედ დაზიანდა 4 სახაზო ხომალდი, 3 კრეისერი და 1 საესკადრო ნაღმოსანი.

აეროდრომებზე ამერიკელებმა დაკარგეს 188 თვითმფრინავი, 159 მძიმედ დაზიანდა.

თავდასხმის შედეგად 2403 ადამიანი დაიღუპა, 1178 ადამიანი დაიჭრა.

თავად იაპონელებმა მხოლოდ 29 თვითმფრინავი დაკარგეს. რაც მიღწეულ შედეგებთან შედარებით მიზერულია. საგემბანო ავიაციამ საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დაადასტურა.

მართალია თავდასხმის შედეგად აშშ-მა წყნარ ოკეანეში სახაზო ხომალდები დაკარგა, მაგრამ ფლოტის მთავარი დამრტყმელი ძალა — ავიამზიდები გადარჩნენ. ისინი იმ დროს ბაზაში არ იმყოფებოდნენ.

სახაზო ხომალდები „ვესტ ვირჯინია", „კალიფორნია", „ნევადა", „ტენესი", „მერილენდი" და „პენსილვანია" ამერიკელებმა მალევე აღადგინეს. ომის დასრულებამდე ყველა მათგანი („არიზონასა" და „ოკლაჰომას" გარდა) მწყობრში დაბრუნდა.

1942 წლის 25 აპრილს „ველის" ტიპის 53-მა მოპიკირე ბომბდამშენმა ორ ბრიტანულ კრეისერზე მიიტანა იერიში. შეტევის დაწყებიდან 8 წუთში მძიმე კრეისერი „დერსეტშირი" აფეთქდა და ჩაიძირა (მას 10 ბომბი მოხვდა). 12 წთ-ის შემდეგ მას მეორე კრეისერი — „კორნუელი" მიჰყვა (9 ბომბი). იაპონელებისთვის შეტევა უდანაკარგოდ დასრულდა. ბრიტანელებმა კი — 20 წთ-ში ორი ხომალდი და 425 მეზღვაური დაკარგეს.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოდიფიკაცია — D3A2
სიგრძე — 10,19 მ
ფრთის გაქანი — 14,36 მ
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 2619 კგ
მაქს. ასაფრენი — 4122 კგ
ძრავა — 1x1300 ცხ.ძ
მაქს. სიჩქარე — 430 კმ/სთ-ში
ფრენის მანძილი — 1350 კმ
ეკიპაჟი — 2 კაცი
შეიარაღება — ორი 7,7 მმ-იანი სინქრონული ტყვიამფრქვევი ცხვირში, ერთი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი უკანა კაბინაში, ერთი 250 კგ-იანი და ორი 60 კგ-იანი ბომბი.




მოდერნიზაციის მიუხედავად, D3A Val მალე მოძველდა. თუმცა იაპონელები მას ომის ბოლომდე იყენებდნენ



ლევან სეფისკვერაძე

# ნასახლარი ოჩამჩირეში

ინგლისური იმ წლებში ვისწავლე, თბილისში შუბლზე ლენტგაჭერილი და წვერმოშვებული ჯეელები რომ დადიოდნენ, – არაფორმალები ვართ, დამოუკიდებლობა უნდა აღგიდგინოთო. რომ იცოდეთ, ბავშვობაში რამდენი რამ დავკარგე ამ ჩემი ინგლისურის გამო. მაშინ, როცა სხვები ბურთს დასდევდნენ და გოგონების ავკარგიანობაზე მოჩვენებითი სიდინჯით მსჯელობდნენ, მე ინგლისურ ლექსიკონებს ვიყავი ჩაფრენილი და თუკი რაიმე შემეშლებოდა, ბრააზ! – ჩამათხლეშდა მუშტს თავში ჩემი ინგლისურის მასწავლებელი, ქალბატონი ნანა. მოკლედ, გვარიანად გამიმწარა ბავშვობა ამ ინგლისურმა. სამაგიეროდ, ახლა ბურთის მაგორებელი და გოგონებზე მოსაუბრე უბნელი ბიჭები დღესაც იმავეს აკეთებენ. მე კი ერთ ტკბილ საერთაშორისო ორგანიზაციაში ვმუშაობ. სხვადასხვა ქვეყანაში დავდივარ და იქაურ ლტოლვილთა ბანაკებში სასმელი წყლით დაწყებული, ყველანაირ საჭირო თუ არასაჭირო ნივთებს ვეზიდები.

მოგადიშოდან თბილისში ახალი დაბრუნებული ვიყავი, როდესაც ჩვენი ორგანიზაციის ნაგიჟარმა უფროსმა, ფრანგმა ჟაკმა დამირეკა. ჟაკი ყოველთვის მაშინ რეკავს, როდესაც ყველაზე ნაკლებად გამიხარდება მისი ხმის გაგონება. მაშინაც, ვიყავი ჩემთვის დივანზე წამოდრანგული და ისე ლამაზად ვთვლემდი, საცოდაობა იყო იქიდან ჩემი ადგომა. მაგრამ რას ვიზამდი? ჟაკი მეუბნება, აფხაზეთში უნდა წახვიდე, სოხუმში უბიხების ოჯახი აღმოაჩინეთ და იმათი ამბები კარგად უნდა გაიგოო. თავის დროზე, უბიხები რუსებმა ამოწყვიტეს და ახლა ლამის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ვართ იმათ მოძიებასა და მიკვლევაში.

ხომ გეუბნებით, გიჟია ეს ჟაკი. აბა, აფხაზეთში ქართველის გაგზავნას გიჟის მეტი ვინ მოინდომებდა? რა თქმა უნდა, უარი ვტკიცე, იქ წასვლას, თუ გინდა, ისევ სომალიში წავალ ოცდამეხუთედ და თუ გაგიხარდება, სულ იქ დავრჩები-მეთქი. მაგრამ საქმეში ხარ? ფრანგს ყველაფერი უკვე მოფიქრებული ჰქონდა. საფრანგეთის მოქალაქის პასპორტიც გაუმზადებიათ ჩემთვის და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მოუგვარებიათ ყველაფერი. ერთი ის იყო, რომ ჩემი ქართველობა არ უნდა გამემხილა. ფრანგულ ყალბ პასპორტში კი ლორან როსენად ვეწერე. ჩემი უფროსის გათვლა მარტივია – ქართველი ვარ, სოხუმის ამბებს ადვილად გავიგებ და თან ლორან როსენისათვის ხმის გამცემი ვინ იქნება? კარგა ხანი მაინც უარზე ვიდექი, მაგრამ ბოლოს რითი დამითანხმა, თუ მიხვდებით? მიხვდით, ალბათ! სამითვის ორმაგი ხელფასი შემომთავაზა პრემიის დამატებით და ზამთარში ალპებში კარგ სასტუმროში ერთკვირიანი დასვენებაც ჩემზე იყოსო. მოკლედ, სიხარბე საშინელი რამაა და მეც ისღა დამრჩენოდა, სოხუმში წასასვლელად ამეკრა გუდა-ნაბადი.

* * *

დილაა, მოსკოვის აეროპორტში ვდგავარ და საზიზღარი ქარი მიზუზუნებს გვერდებში. მოსკოვამდე კიევის რეისით ჩაველი, რუსებს ეჭვი რომ არ აეღოთ. იქიდან კი ორ რუს ჟურნალისტთან ერთად უნდა გავყვე სოხუმისკენ მიმავალ სამხედრო თვითმფრინავს. მალე მწვანემუნდირიანი რუსი ოფიცერიც გამოჩნდა, რომელმაც საკმაოდ ძველ, ლურჯ თვითმფრინავთან მიგვიყვანა. ტრაპზე პირველი მე ავედი. თვითმფრინავის სალონი უცნაური, თითქოს წამლის სუნით იყო სავსე. როგორც აღმოჩნდა, რუსული სამხედრო ბაზისათვის მედიკამენტები მიჰქონდათ. გრძელ, გასაშლელ სკამებზე ორი წვერმოშვებული ტიპი იჯდა და არაყს სვამდა. რომ დავსხედით, არაყი ერთერთმა რუსმა ჟურნალისტმაც ამოაცოცა უბიდან და ყველას შემოგვთავაზა. რასაკვირველია, ვიუარე. ბოლოს და ბოლოს, „ფრანგი“ ვარ – ღვინის, შამპანურის, კონიაკის კაცი...

სოხუმში დიდებული, მზიანი დღე დაგვხვდა. მე გზაში გამოჩენილი სიტ-

ყვაძუნწობით უკვე მოვახერხე თანამგზავრი რუსი ჟურნალისტებისათვის თავის შეძულება. ამიტომ მიწაზე ფეხი დავდგით თუ არა, ორივენი სადღაც გაიძურწნენ. რასაკვირველია, დასალევად წავიდნენ. აბა, ის ერთი ბოთლი არაყი რას ეყოფოდათ? გამოვედი ბაბუშერის სამხედრო აეროპორტიდან, ვდგავარ გზის პირას, უზარმაზარი ფიჭვების ტევრში და ვფიქრობ, რა გავაკეთო. ეგრევე იმ უბიხების ძებნას შევუდგე თუ... საქმე მაინც საქმეა! თან ჟაკის ამბავი რომ ვიცი... მოკლედ, გავაჩერე „ჟიგულის" მარკის უჟანგიანესი და უდანჯღრეულესი ტაქსი და მაქსიმალურად ისე, ცხვირაწეულმა უცხოელმა ტიპებმა რომ იციან ხოლმე, ხელოვნურად „გაფრანგებული" რუსულით ვთხოვე სოხუმის ცენტრში მიყვანა. ტაქსისტი ახალგაზრდა კაცი იყო. ზუსტად ისეთი, თბილისში რომ გვინახავს. უბრალოდ ამას ორი დიპლომი, ალბათ, არ ექნებოდა. თუმცა, შეიძლება ჰქონდა კიდეც. რას გაუგებ ამ ხალხს...

მივედით დანიშნულების ადგილზე, გადავუხადე ტაქსისტს ფული და ვეძებ იმ ქუჩას, სადაც წესით, ის უბიხების ოჯახი უნდა ცხოვრობდეს. ხალხი კანტიკუნტად დადის ქალაქში. არადა, გაგანია საკურორტო სეზონია. ერთი ძველი კორპუსის წინ ოთხი ბიძაკაცი დომინოს უჭახუნებს. ეჭვი მაქვს, რომ ეს სწორედ ის კორპუსია, სადაც ნანინანატრ უბიხებს ვნახავ, მაგრამ მაინც შიში მაქვს გულში. ვაი და, ვერ „ვიფრანგო" ისე, როგორც საჭიროა. ბოლოს მაინც მივედი იმ ხალხთან და როდესაც ამოვილუღლუღე რაც მაინტერესებდა, ბიძაკაცებმა დომინო ერთდროულად დააწყვეს მაგიდაზე და ერთ-ერთი წამოდგა.

— როგორც ჩანს, მე მეძებთ. მე აფხაზი ვარ და არა უბიხი. ვინ გითხრათ, რომ უბიხი ვარ? – მითხრა.

მიდი და ახლა აუხსენი ამათ, ვინ მითხრა და რა მითხრა... დიდი წვალებით მაინც მოვაბი თავი სათქმელს და ისიც ავუხსენი, მისი წარმომავლობა და ფესვები ეჭვს არ იწვევდა და ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებდა, თუ ჰყავდა შემორჩენილი ნათესავები და თუ იცოდა მათში ვინმემ უბიხური ენა. უბიხობის არამღიარებელი ბიძა წამოდგა, მეგობრებს მხარზე ხელის მოთათუნებით მოუბოდიშა და აფხაზურად რაღაც უთხრა. ალბათ, ჩემზე თქვა რამე, ეს ვინ გადამეკიდაო ან რაიმე ეგეთი... და ხელით მანიშნა გამომყევიო.

იმავე კორპუსის სადარბაზოს პირველ სართულზე, კაი დიდ, მაგრამ მოუვლელ და თითქმის დანგრევის პირას მისულ ბინაში შევედით.

— ბოდიში, ცოლი მოსკოვშია, შვილებთან. აქ მარტო ვარ და მარტო კაცის ამბავი ხომ იცი", – მოიბოდიშასავით. შემდეგ მაგიდასთან დაჯექიო, მითხრა. მაგიდას ძველი გაყვითლებული და მრავალბუზდახვეული რუსული გაზეთი ეფარა. გაზეთი ასწია და ძეხვის ნაჭრებმა, რამდენიმე პამიდორმა და, რასაკვირველია, არყის ბოთლმაც შემოგვანათა.

— მე იური გოგირა ვარ! შენ უცხოელი ხარ და არ იცი, აქ რა მოხდა. ამას ომს ახლა ეძახიან. მე კი ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. ყველანი ერთად გავგიჟდით! ყველა ერთმანეთს ვხოცავდით. თან საშინლად, ბოროტულად, ღორულად! ჩემი უფროსი ბიჭიც მაშინ დაიღუპა. 17 წლის იყო. ახლა ვინ უნდა გავამტყუნო? და რომც გავამტყუნო, რა აზრი აქვს? კიდევ კარგი, ორი შვილი კიდევ მყავს და თითქმის უკვე გადამავიწყდა ომიცა და ძველი ამბებიც. ეს ევროპელები აქ რატომ ჩამოდიხართ, ვერ ვხვდები. აფხაზეთის აღიარება თქვენ არ გინდათ, საჭმელს კიდევ რამენაირად ჩვენითაც ვიშოვით. უბიხი ვარ თუ არა, მართლა არ ვიცი. ან საიდან მოიტანეთ ჩემი უბიხობა? ამაზე ლაპარაკს ჯობს, ეს მწნილი გასინჯო. ჩემი დის გამოგზავნილია. აი, ნახე, მოგეწონება!...

* * *

მივდივარ ოჩამჩირეში. გადავწყვიტე, ვნახო იური გოგირას და, ანასტასია, იგივე ანა, რომელიც ოჩამჩირეშია გათხოვილი. წარსულისა და გვარის წარმოშობის ამბები ანამ უფრო უნდა იცოდეს. ისტორიის მასწავლებელი ყოფილა. „ლაზის" მარკის დიდ, გრუხუნა ავტობუსში ვზივარ და გარშემო მსხდომებს ვათვალიერებ. ეს გალის ავტობუსია და ჩემ გარშემო დაღვრემილი ქართველები სხედან. მათ გარშემო შემოწყობილ ცარიელ სათლებსა და ჩანთებზე ვატყობ, რომ სოხუმში პროდუქტი გაუყიდიათ და შინ ბრუნდებიან. გალამდე ავტობუსი ოჩამჩირეში უნდა გაჩერდეს. ჩემი გზაც სწორედ იქით არის. „ვინაა აგი ნეტავი?" – ამბობს ერთი მოხუცი ქალი და გვერდით მჯდომ კაცს ჩემზე ანიშნებს. „ვიღაც უცხოელია, ალბათ. ბოლო დროს ბევრი დადის მასეთი აქეთ". „დადიან თორემ, უცებ რამე არ გვიშველონ. მაგენიც აფხაზებთან არიან შეკრული. ჩვენი პატრონი არავინაა მაინც", – თავს არც კი ატრიალებს ჩვენკენ, ისე ამბობს წინ მჯდომი მწვანეთავშლიანი ქალი. თურმე იმაზე საშინელი არაფერი ყოფილა, როდესაც სულ შენიანებში ზიხარ, თან ისეთ შენიანებში, რომლებსაც სხვა დროს, ალბათ, ათას კითხვას დაუსვამდი. როგორ ცხოვრობენ, რას ჭამენ, რას სვამენ, რითი არსებობენ. ან უბრალოდ ყველას სათითაოდ გადაკოცნიდი მხოლოდ იმიტომ, რომ ამდენი უბედურების შემდეგ ისევ დგანან საკუთარ მიწაზე, მაგრამ იცი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. შენ ხომ „უცხოელი" ხარ, უცხოელს კი ამ დროს ავტობუსის ფანჯარაში გახედვა და არაფრისმთქმელად გაღიმება მართებს.

* * *

ავტობუსის მძღოლმა მომატყუა. ოჩამჩირეში არ შევიდა და გზაზე ჩამომსვა. იქამდე კაიძალი მანძილია. ჩემს თავს ვწყევლი სიძუნწისათვის, თორემ ხომ დავიქირავებდი ტაქსის და ახლა უკვე იქ ვიქნებოდი? მივდივარ ათხრილ-დათხრილ ბილიკზე და ირგვლივ ყველაფერი ძალიან ლამაზიცაა და ამასთან, საშინელიც. მწვანეში ჩაფლულ მთებსა და მინდვრებს ქართველების ერთიანად გაპარტახებული და მიტოვებული ნასახლარები ცვლის. ზოგიერთ სახლში უზარმაზარი ხეებია ამოსული და სახურავის ნაცვლად, ნანგრევებს თითქოს ხეების დიდი ტოტები ზემოდან იცავენ. ღობეები არც ერთ ნასახლარს აღარა აქვს და კარგადაც რომ დააკვირდე, ვერც კი მიხვდები, რომ ერთ დროს ნასახლარების გვერდით ლამაზი, მოვლილი ბაღები და ნაყოფით ტოტებდაზნექილი ხილის ხეები იდგა. ყველაფერს ეკალბარდი და შამბი აქვს მოდებული.

ათას საშინელებას ფიქრობს ამ ყველაფრის მნახველი კაცი... ხომ უკვე გითხარით, მთელი ჩემი ბავშვობა ინგლისურის სწავლამ გადამიყოლამეთქი. ჰოდა, ვისაც ბავშვობაში რაიმე დაჰკლებია, დიდობაში ცდილობს ხოლმე მის ანაზღაურებას. ალბათ, მეც ეგრე მომივიდა და ვერც კი მივხვდი, ისე აღმოვჩნდი ერთ-ერთი ნასახლარის კართან. ბავშვებს ხომ სწორედ ნასახლარებისა და ასეთი მიუვალი ადგილებისაკენ მიუწევთ გული.

კარს უკან კედლიდან ჩამოცვენილი აგურების ნატეხები ეყარა და სახლის ხის კარი ძლივს გავაღე. ოთახში ნესტის სუნი იდგა და ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული. თუმცა, არ ბნელოდა. სინათლე ჩამოქცეული ჭერიდანაც

კარგად ჩამოდიოდა. ვინ იცის, რამდენი წლის წინ იყვნენ აქ მძარცველები. მას შემდეგ, ალბათ, არავინ გაჰკარებია აქაურობას. ოთახებში წყლის დიდი გუბეები იდგა და ჩემს კარგა გამძლე ჩექმაშიც კი შემოაღწია წყალმა. სამზარეულოში ერთადერთი მაგიდა ვნახე ხელუხლებელი. ძველი, ერთიანად დამპალი მაგიდა, რომელზეც ორი ჩაის კოვზი და ყურმოტეხილი ტალახიანი ფინჯნები ეყარა. მაგიდის ზემოთ კი 1990 წლის ქართული კალენდარი იყო გაკრული. კალენდარზე თეთრი, ფაფარაშლილი ცხენი ეხატა. „მაისი, აპრილი, აგვისტო“ – აფხაზეთის საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ პირველად წავიკითხე ქართული სიტყვები და უკან ინსტინქტური შიშით გავიხედე. დანაშაულზე წასწრებული ადამიანის შიშით, რომელიც აკრძალულ რამეს კითხულობს.

* * *

მეორე სართულზე ასასვლელი შიდა კიბე მთლიანად ჩამონგრეულიყო. ოთახში იმდენი ხარახურა ეყარა, რომ ყველაფერი ერთმანეთზე ავაჩონჩხლე და ზემოთ აბობღება არ გამჭირვებია. მეორე სართულზე შემორჩენილი ოთახი უფრო უარეს დღეში იყო, ვიდრე დაბლა ოთახები და ის-ის იყო, უკან უნდა ჩამოვსულიყავი, რომ ინსტინქტურად ფანჯარაში გავიხედე და ისეთი რამე დავინახე, თავზარდაცემული გავიშხლართე აგურის ნატეხებით სავსე იატაკზე. ზუსტად ფანჯრის წინ რუსულ ფორმაში გამოწყობილი სამი ჯარისკაცი იდგა. უფრო ზუსტად, ერთი მიწაზე ეგდო და ორნი წიხლებს მთელი ძალ-ღონით ურტყამდნენ. ამ სცენას საშინელებას კი ის მატებდა, რომ არ ისმოდა ჩხუბისა და მოჩხუბრებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ყვირილი, კვნესა, გინება, ბღავილი... მხოლოდ ძირს დაგდებული ჯარისკაცის მუცელში დარტყმით გამოწვეული ყრუ ხმა ისმოდა. ვწევარ და ვიცი, რომ შემამჩნიონ ვერც ჩემი „ფრანგობა“ მიშველის და ვერც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული საშვი. აუცილებლად მიმაყოლებენ თან იმ უბედურ ჯარისკაცს, მაგრამ ინტერესი ძალიან ოხერი რამეა... ამ დროს რაღაცნაირმა სიგიჟემ წამომიარა. დავდექი ცალ მუხლზე, ამოვიღე ჩანთიდან ფოტოაპარატი, ჩავრთე და დიდი წვალებით ერთი ათი კადრი მაინც გადავიღე. ფოტოაპარატის გადასაღებ ღილაკს ხელს გამუდმებით ვაჭერ და თან ერთიანად ვკანკალებ...

მძიმე სამხედრო ჩექმის ყრუ ბრახუნის ხმა შეწყდა. მივხვდი, რომ ჯარისკაცები „თავიანთ საქმეს“ მორჩნენ. ცალი თვალი შიშ-კანკალით გავაპარე ფანჯრიდან და დავინახე, ნაცემ ჯარისკაცს სახლის უკან, შამბნარში როგორ მიათრევდნენ. „ალბათ, მოკლეს“, – ვფიქრობ და ნერვები მეშლება, ასეთ უდროო დროს მაინცდამაინც ამ დანგრეულ სახლში რომ ამოვყავი თავი. ცოტაც რომ მომეთმინა და გზა გამეგრძელებინა, ახლა, ალბათ, უკვე იური გოგირას დასთან ვიქნებოდი და ისე როგორ გაუწყრებოდა ღმერთი, ერთი ღამე არ გაეთევინებინა. ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც ავტომანქანის ხმა გავიგე და ფანჯრიდან დავინახე, ის ორი რუსი ჯარისკაცი ტენტგადახდილი „ვილისით“ როგორ წავიდნენ. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, იმის მოფიქრებაც კი ვერ მოვასწარი, „ვილისის“ ნომერი დამემახსოვრებინა. რა იცი, რა ხდება...

* * *

შამბნარში დაგდებული მკვდარი ჯარისკაცისათვის ზემოდან ხის ტოტები დაეყარათ, ალბათ, გვამის შესანიღბად. საცოდავს სახე და თავ-პირი მთლიანად სისხლში ჰქონდა ამოსვრილი და წესიერად ვერც კი გაარჩევდით მის სახეს. ჩემი სამსახურის გადამკიდე, რაც მე აფრიკაში შიმშილით დახოცილი ხალხის გვამები მინახავს, ერთი რუსი ჯარისკაცის ცხედარი რას შემაშინებდა. იქვე ახლოს რუ ვნახე, დიდი წვალებით მივათრიე უბედური ჯარისკაცი და სახე მოვბანე. სულ ახალგაზრდა, ოციოდე წლის ბიჭი გამოდგა. რუსს აშკარად არ ჰგავდა. აბა, რომელი რუსი იცით, ძალიან შავგვრემანი და დიდკაუჭაცხვირიანი? ჩანთიდან ფოტოაპარატი ამოვიღე და სამი სურათი გადავუღე. მერე ეს სურათები ფოტოაპარატის ერთ-ერთ სიღრმისეულ საიდუმლო ფოლდერში შევინახე და ჯიბეების გაჩხრეკას შევუდექი. არანაირი საბუთი ჯიბეში არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი პატარა კოხტა მუნდშტუკი ვუპოვე უცნაური, ძველი ქართული დამწერლობის მსგავსი წარწერით, რომლისაც ვერც თავი გავიგე და ვერც ბოლო. შემდეგ ცხედარი ისევ იქ მივათრიე, სადაც დამხვდა, ტოტებიც უწინდელივით დავაყარე ზემოდან და წამოვედი. წამოვედი, თუკი ამას წამოსვლა ჰქვია...

* * *

ანასტასია გოგირას ნაამბობი: — ალბათ, ჩემმა ძმამაც გითხრა, რომ



ოჩამჩირის რაიონში ცხოვრება წარსულ დროში დარჩა

მშობლები ადრე დაგველუპა და მამა არც ერთს არ გვახსოვს. მე მხოლოდ დედა მახსოვს, ისიც ბუნდოვნად. უფრო სწორად, დედაჩემის მუდმივად ფქვილში ამოსვრილი ხელები მახსოვს და კიდევ რაღაცნაირი დიდი თვალები. ჩემს ძმას ზუსტად დედაჩემისნაირი თვალები აქვს. მერე ორივენი სოხუმში წამოგვიყვანა შორეულმა ნათესავმა. წამოგვიყვანა, ბავშვთა სახლში მიგვიყვანა და გაქრა. აფხაზები რომ არა ვართ, ეს ჩვენი გვარითაც ჩანს და ყოველთვის ვიცოდი ჩვენი წარმომავლობის გამო, ვიღაცები „ზემოდან“ რომ გვითვალთვალებდნენ. სკოლა რომ დავამთავრე, უშიშროებაშიც კი დამიბარეს და როდესაც დარწმუნდნენ, მშობლებისა არაფერი ვიცოდი, მერეღა დამანებეს თავი. აი, სულ ეს არის, რაც ვიცი. ახლა ჩაი მიირთვი, შვილო. მალე ჩემი ქმარი მოვა. უყვარს სტუმრები ჩემს ქმარს, მაგრამ ნაომარი კაცია და ცოტა ცუდი სიმთვრალე აქვს. ბევრს თუ არ დალევთ, კარგი იქნება.

* * *

— ეს კონიაკი ჩემმა ძმამ გამომიგზავნა ერევნიდან. ისიც აქ ცხოვრობდა, მაგრამ ომის მერე ერევანში წავიდა და

ახლა კარგი ბიზნესი აქვს. ღვინოს ასხამს და რუსეთში ყიდის, – მეუბნება არტურ მოსესიანი, ანასტასია გოგირას ქმარი. მეუბნება და თან ყოველი ჭიქის შემდეგ, მიმეორებს, — ძალიან მეცნობი ლორანჯან. ვინ იცის, იქნებ შენ რომელიმე ფრანგი სომეხის შთამომავალი ხარ. ხო იცი, საფრანგეთში ბევრი ჩვენიანია. ცნობით კი მე უფრო მეცნობა. თან ძალიან მეცნობა და ისე ძალიან, რომ ლამის ვხვდები კიდეც, ვის ჰგავს, მაგრამ ამის გამხელისა მეშინია.

რა ვქნა, ვერ ვასრულებ დეიდა ანას თხოვნას და ქართველობა არ მიშვებს, არტურას დალევაზე უარი რომ ვუთხრა. მასპინძელი კი უკვე ძალიან მთვრალია და ომის ამბების მოყოლას იწყებს.

— აქ რო ომი იყო, სომხებმა ერთი კაი ბატალიონი შევკარით და ქართველებს დავცხეთ. აბა, როგორ? ეგენი ყველას გვჩაგრავდნენ, აფხაზებსაც და ჩვენც! ქართველები მარტო ტრაბახში არიან მაგრები. ომი მაგათი საქმე არაა ლორანჯან! მაგათი საქმე ცეკვაა და თამაში. აი, ეგ კი მართლა კარგად იციან! არტურა ეზოში შედის და მიმტკიცებს, ბაბუშერის აეროპორტში ქართველების თვითმფრინავი ჩემი ჩამოგდებულიაო.

— ტანკზე ვიჯექი ომის დროს. რო აფრინდა თვითმფრინავი, მოვატრიალე ტანკის კოშკურა, გავუსწორე და ჯერ კარგად აფრენილიც არ იყო, ბაბახ! — დავაჯახე ქვემოდან! ისე, ჩემი ბიჭიც ჯარშია ახლა. მინდოდა, ეგეც ტანკისტი ყოფილიყო, მაგრამ მედესანტეობა აირჩია. არა უშავს, ეგეც კარგია, მაგრამ ტანკი მაინც სხვა საქმეა!" – ეს თქვა და მე უკვე ყველაფერს მივხვდი.

შუაღამე კარგა ხნის გადასულია, არტურა გატრეტილი მთვრალია, მეც მთვრალი ვარ და ვგრძნობ, რომ სისულელე უნდა გავაკეთო, მაგრამ ყველაფერი თითქოსდა თავისით, ჩემს ჩაურევლად ხდება.

— არტურ, შვილი ჯარში გყავს არა? – ვეკითხები ქართულად.

— ეეე... ქართველი ხარ? ვაი... – გაოგნებისაგან ხმა უწყდება არტურას და შუბლი ეცვარება.

— ნუ გეშინია, ძია არტურ. ძველი ამბები ძველი ამბებია. შვილი ხომ ჯარში გყავს?

— კი, მერე რა?

— წამოდი, შენი შვილი უნდა გაჩვენო!

— შენ რა იცი ჩემი შვილი? იცნობ? – მეუბნება არტურა და ფეხზე დგება. ვიცი, იარაღი რომ არა გაქვს და შიშიც ნაკლები მაქვს, მაგრამ უფროს კაცს ქეჩოში ხომ არ მოჰკიდებ ხელს, რომ წამოგყვეს?

* * *

მივდივართ. ის წინ, მე უკან.

— სად მივდივართ, ეგ მაინც მითხარი. მე სიკვდილისა არ მეშინია, რომ იცოდე! – მომიტრიალდა არტურა.

— შენ რო არ გეშინია, ვიცი. ჩქარა ვიაროთ, თორემ რომ გათენდება, მერე გვიანი იქნება, – ვეუბნები და სიბნელეში არტურაზე უარესად ვბორძიკობ. ბოლოს, როგორც იქნა, მივედით იმ ეზოში. სახლის ჩამუქებული ფანჯრის ნაშთები კიდევ უფრო საშინელს ხდიდა იქაურობას. არტურას კი არა, მეც მეშინია უკვე. მაგრამ ფარანი კარგი მაქვს.

„რაც მართალია, მართალია, იციან ამ უცხოელებმა, როგორი ნივთები შეიძლება დასჭირდეს კაცს ასეთ ადგილებში", – ვფიქრობ გულში.

არ შემცდარვარ, ის უბედური ჯარისკაცი სწორედ არტურას 21 წლის შვილი, სერჟი ალმოჩნდა. — ჩემზე არაფერი იეჭვო არტურჯაენ. ეს ამბავი იმ შენმა ძმებმა – რუსებმა ქნეს. აგერ, ფოტოაპარატით მაქვს ყველაფერი გადაღებული, – ვეუბნები არტურას, რომელიც აშკარად არ მისმენს. მუხლებზე დგას და ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები.

— რათა, ძმაო, რათ უქნეს ეგრე? საქმეა ესა? – ტირის არტურა აეგრე მუხლებზე დამდგარი. მერე ჩემკენ მოიხედა და ხმის კანკალით მკითხა: — რათ მოკალი?

უსიტყვოდ ამოვიღე ჩემი აპარატი. ისიც მოვიდა და მომიჯდა გვერდით. გულში კი ვფიქრობ, რა იცი, გამწარებული კაცია, ემანდ რამე არ მიხიმანდროს-მეთქი, მაგრამ არ შევიმჩნიე შიში და რაც კი გადავიღე, ყველა ფოტო ვაჩვენე. მერე ამოვიღე ჯიბიდან მეხსიერების ბარათი, ბარათზე უკლებლივ ყველა ფოტო გადმოვწერე და არტურას ჩავუდე ჯიბეში.

— აი, აქ ჩანს, როგორ სცემენ შენს შვილს და მაგისი მკვლელების სახეებიც კარგად ჩანს. ახლა ხომ ნახე, მე არაფერ შუაში რომ არ ვარ.... ყველაფერს შემთხვევით გადავაწყდი და გადავიღე. ახლა მაინც ხომ დარწმუნდი, ვინც არის თქვენი მტერი? – ვუთხარი და წამოვედი. კარგა შორიდანაც მესმოდა, როგორ ტიროდა უბედური არტურა. ვინ იცის, იქნებ ახლაც ფიქრობს, რომ მისი შვილის მკვლელობაში მეც ვარ გარეული. ვინ იცის...

* * *

ჩემმა ფრანგმა უფროსმა არც პრემია მომცა და არც ორი თვის ხელფასი. რაც მეკუთვნოდა, ისიც ძლივს გამოვდლიტე. ახლა უბიხების პოვნა-მოძიების ამბავში ჩვენი ორგანიზაციის უკრაინელი თანამშრომელია ჩართული და დარწმუნებული ვარ, იმას ჩემზე კარგად გამოუვა საქმე. მისთვის ხომ აფხაზეთი ჩვეულებრივი კონფლიქტური რეგიონია და თავს დავდებ, რომ არასოდეს გაუჩნდება დანგრეულ ნასახლარებში შეხეტების სურვილი. მე კი, ალბათ, ვერასოდეს დავივიწყებ არტურ მოსესიანს, რომელმაც აფხაზეთის ომის დროს ქართული სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ უფრთხობდა ძილს გურულებს...

**გურიაში, მერიის სამხედრო აეროდრომზე განთავსებულ 841-ე გამანადგურებელ-ბომბდამშენთა პოლკს ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანის შესრულება ჰქონდა დაკისრებული**

გერმანიიდან ქობულეთის აეროდრომზე გადმოსროლილმა 841-ე (ყოფილი 66-ე) გამანადგურებელთა პოლკმა თან Як-9П ტიპის გამანადგურებლები ჩამოიტანა. Як-9 მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მასიური საბჭოთა გამანადგურებელი იყო (1942-1948 წწ-ებში, საერთო ჯამში 16769 ცალი სხვადასხვა მოდიფიკაციის Як-9 დამზადდა). ქობულეთიდან მფრენი Як-9П-ები გამანადგურებლის, ბოლო, გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენდნენ, რომელთა სერიული წარმოება ომის შემდგომ, 1946-1947 წწ-ებში დაიწყო. მას ორი 20 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი ჰქონდა, ხოლო საჰაერო ხრახნს — რევერსის ფუნქცია, რაც ორჯერ ამცირებდა დაფრენისას გარბენის მანძილს. ამასთან, გამანადგურებლის ფრთები მთლიანად მეტალის იყო, რაც ომის დროს დიდ ფუფუნებად ითვლებოდა. თვითმფრინავის სასტარტო მასა 3550კგ-ს აღწევდა და მაქსიმალური 660კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეეძლო 5 კმ სიმაღლეზე ფრენისას. ფრენის სიშორე 1200 კმ-ს შეადგენდა.

40 წლის განმავლობაში გურულებს თითქმის ყოველ დილას გამაყრუებელი ხმა აღვიძებდათ, როდესაც მერიის აეროდრომიდან ჰაერში აჭრილი გამანადგურებლები რეაქტიული ძრავის ფორსაჟს რთავდნენ.

მერიის აეროდრომი პირდაპირი ხაზით მხოლოდ შვიდიოდე კმ-ით თუ იყო დაშორებული შავი ზღვის სანაპიროსგან, რაც ამ აეროდრომზე დისლოცირებული გამანადგურებელ-ბომბდამშენების საავიაციო პოლკს დიდ უპირატესობას აძლევდა.

მერიის სამხედრო აეროდრომის ისტორია გადაჯაჭვულია 841-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკთან, რომლის წინამორბედი სამხედრო ნაწილი გერმანიიდან საქართველოში გადმოისროლეს.

ამ პოლკის წინამორბედი სამხედრო დანაყოფების გამანადგურებლები 1941 წლის 22 ივნისს, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების პირველი დღიდან, ბელორუსიის დედაქალაქ მინსკის ცას იცავდნენ.

შემდგომში ამ ნაწილს 66-ე გვარდიული გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი ეწოდა და მან ომი 1945 წლის 9 მაისს, უშუალოდ ბერლინის თავზე დაამთავრა.

პოლკის პილოტები ლიუფტვაფეს სხვადასხვა ტიპის გამანადგურებლებით ებრძოდნენ. პოლკმა ომი მოძველებული И-153 და И-15-ებით დაიწყო, შემდეგ ЛаГГ-3, Як-1, Як-7, Як-9 ტიპის გამანადგურებლებით იბრძოდა, ხოლო ომი Як-3-ებით დაამთავრა. ომის შემდგომ, 50-იანი წლების დასაწყისამდე, პოლკის შეიარაღებაში Як-9П ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები იყო.

ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც დიდი გადაჯგუფება მოხდა. გერმანიაში გადასროლილ იქნა საჰაერო თავდაცვის 126-ე გამანადგურებელთა საავიაციო დივიზია, რომლის შტაბი ბათუმში იყო განთავსებული. ამ დივიზიაში შედიოდა ქობულეთის აეროდრომზე დისლოცირებული 35-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი, რომელიც გერმანიაში, ქალაქ ცერბსტში გადაიყვანეს.

სამაგიეროდ ცერბსტში მანამდე განთავსებული 66-ე გვარდიული საავიაციო პოლკი (რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ) ქობულეთის აეროდრომზე გადმოისროლეს.

ამავდროულად, გერმანიიდან, მე-16 საჰაერო არმიის შემადგენლობიდან საქართველოში 34-ე საჰაერო არმიის განკარგულებაში გადმოყვანილ იქნა 283-ე გამანადგურებელთა საავიაციო დივიზია.



ხრუშჩოვის პერიოდში გურულების თავზე მერიის აეროდრომიდან აფრენილი МиГ-17 ტიპის რეაქტიული გამანადგურებლები დაფრინავდნენ. მისი ასაფრენი მასა 6 ტ-ს აღწევდა, შეეძლო მაქსიმალური 1070 კმ/სთ-ში სიჩქარის განვითარება და 14 კმ — სიმაღლეზე ასვლა

ამ დროისთვის 66-ე გვარდიულ საავიაციო პოლკს სახელი შეუცვალეს და 841-ე პოლკად გადანათლეს. 841-ე პოლკი შევიდა 283-ე დივიზიის შემადგენლობაში, რომლის შტაბი მიხა ცხაკაიაში (სენაკში) იყო.

841-ე გამანადგურებელთა პოლკი ქობულეთის აეროდრომზე თავიდან ბაზირებდა Як-9П-ის ტიპის შიდაწვისძრავიანი გამანადგურებლებით, რომელთა ამოცანა ბათუმისა და ფოთის საზღვაო ბაზების ჰაერიდან დაცვა იყო.

ქობულეთის აეროდრომს არატრადიციული **X**-სმაგვარი ორი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი ჰქონდა, თუმცა, მათი სიგრძე (1000-ს მეტრამდე) უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა იმ დროისთვის შეიარაღებაში შესული რეაქტიული გამანადგურებლების მოთხოვნილებებს.

ამიტომაც დაიწყო ბეტონირებული საფარიანი აეროდრომის მშენებლობა გურიაში, სოფელ მერიასთან, ქობულეთის აეროდრომიდან ათიოდე კმ-ში.

50-იანი წლების შუახანებში 841-ე პოლკი ქობულეთიდან მერიაში მთლიანად გადაიყვანეს. პოლკი შეიარაღებული იყო МиГ-15 ტიპის რეაქტიული გამანადგურებლებით, რომლებსაც თბილისის საავიაციო ქარხანაში აწყობდნენ.

ქობულეთის აეროდრომი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის — КГБ-ს დაქვემდებარებაში მყოფ სასაზღვრო ჯარების ამიერკავკასიის ოლქის ავიაციის სამმართველოს გადასცა, რომელმაც იქ შვეულმფრენები განათავსა (სტატიას ქობულეთში განთავსებული საბჭოთა მესაზღვრეების საშვეულმფრენო ცალკეულ ესკადრილიაზე „არსენალის" შემდგომ ნომრებში შემოგთავაზებთ).

60-იანი წლების დასაწყისამდე მერიის საავიაციო პოლკში МиГ-15-ები გაუმჯობესებულმა МиГ-17-ებმა შეცვლეს, თუმცა, მალე ისინიც აღარ პასუხობდნენ თანამედროვე მოთხოვნებს.

ამის შემდეგ მერიაში ჩაიყვანეს ორძრავიანი რეაქტიული თვითმფრინავი МиГ-19-ები, რომელიც პირველი საბჭოთა სერიული ზებგერითი გამანადგურებლები იყვნენ.

МиГ-19-ებმა გურიაში 1960-იანი წლების შუახანებამდე გაძლეს და მათი შეცვლა იმ დროისთვის თანამედროვე МиГ-21 ტიპის გამანადგურებლებით გაგრძელდა.

70-იანი წლების ბოლოს მერიის აეროდრომზე, ფაქტობრივად, ორი პოლკის თვითმფრინავები იდგა, რადგან МиГ-21-ები არ მიჰქონდათ, ხოლო მათ ჩასანაცვლებლად ჩამოყვანილ МиГ-23М-ებს ადგილი არ ჰყოფნიდათ.

ნელ-ნელა МиГ-21-ები მერიიდან გაიყვანეს და МиГ-23М-ებისა და ორადგილიანი МиГ-23УБ-ებისთვის გადამზადებულ 841-ე პოლკს 1982 წელს დანიშნულება შეუცვალეს. ამიერიდან მას არა მარტო გამანადგურებლების, არამედ გამანადგურებელ-ბომბდამშენების საბრძოლო ამოცანების შესრულება დაევალა.

სასწავლო მიზნით აქტიურად გამოიყენებოდა ყულევის პოლიგონი, რომელიც მერიის აეროდრომიდან პირდაპირი ხაზით 40-ოდე კმ-ში იყო. თუმცა, მერიიდან აფრენილი МиГ-23М-ების პილოტები, რა თქმა უნდა, პირდაპირი ხაზით გურიიდან სამეგრელოში არ გადაფრინდებოდნენ.



ასე გამოიყურება კოსმოსიდან მერიის აეროდრომი

ბიბლიოთეკა

**ორი რეაქტიული ძრავით აღჭურვილი МиГ-19-ის გამოჩენა მერიის აეროდრომზე 60-იანი წლების შუახანებში გურულების ყურის დაფებმა იწვენია, რადგან აფრენისას ამ 8-ტონიანი გამანადგურებლის პილოტს ძრავები ფორსაჟის რეჟიმში გადაჰყავდა, რასაც გულისწამღები ხმაური სდევდა თან. МиГ-19 პირველი საბჭოთა სერიული ზებგერითი გამანადგურებელი იყო და 10 კმ სიმაღლეზე მაქსიმალური 1452 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეეძლო**





МиГ-23М-ის პილოტი მერიის აეროდრომიდან ასაფრენად ემზადება

მერიიდან აფრენის სტანდარტული კურსი 76 გრადუსი იყო, ანუ აფრენა, ძირითადად, აღმოსავლეთით, მახარაძის (ოზურგეთის) და არა ზღვის მიმართულებით ხდებოდა.

შემდეგ პილოტები მარცხენა ვირაჟით სწორდებოდნენ და კურსს შავი ზღვისკენ იღებდნენ. სანაპიროდან რამდენიმე ათეულ კმ-ში მარჯვენა ვირაჟს ასრულებდნენ და ყულევის პოლიგონზე განთავსებულ სამიზნეებს (თვითმფრინავები, ტანკები, ქვემეხები) ზღვის მხრიდან უტევდნენ. სამიზნე ველის სიგრძე და სიგანე მხოლოდ 4 კმ იყო, რაც მძლავრი ბომბებისა და რაკეტების გამოყენებას ზღუდავდა. ამიტომაც სასწავლო დაბომბვებს ყულევის პოლიგონზე მერიის გამანადგურებელ-ბომბდამშენები, ძირითადად, ФАБ-100 ტიპის ბომბებით, С-5 და С-8 ტიპის უმართავი რაკეტებით ახორციელებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მერიის აეროდრომის ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე 2350 მ, ხოლო სიგანე 40 მ გახლდათ, არცთუ იშვიათად გამანადგურებლები დაჯდომისას ვერ ასწრებდნენ სრულ გაჩერებას და ზოლის გარეთ გადადიოდნენ, სადაც ჭაობში ეფლობოდნენ.

დაჭაობებული ადგილის გამო იყო, რომ მერიის აეროდრომს არ ჰქონდა მიწის ასაფრენ-დასაფრენი სათადარიგო ზოლი ძირითადი, ბეტონირებული ზოლის გვერდით.

ამასთან, ხშირად გადამფრენ ფრინველებს მოთეთრო ბეტონის ზოლი წყალსატევი ეგონათ და დაჯდომისას მთავარ ბეტონზე ეხეთქებოდნენ და ფეხებს იმტვრევდნენ.

გურულებს კიდევ რამდენიმე წელი მოუწევდათ აფრენილი МиГ-ების გამაყრუებელი ხმაურის მოთმენა, რომ არა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის 1989 წლის 12 ნოემბრის მოულოდნელი ბრძანება, რომლის თანახმადაც მერიაში დისლოცირებული 841-ე გამანადგურებელ-ბომბდამშენთა პოლკი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის — ЗакВО-ის 34-ე საჰაერო არმიის შემადგენლობიდან გადაეცა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალებს.

შესაბამისად, პოლკს მერამდენედ შეეცვალა სახელი და ამჯერად ეწოდა 841-ე გამანადგურებელ-ბომბდამშენთა საზღვაო საავიაციო პოლკი.

სტრუქტურულად 841-ე პოლკი გამოვიდა 283-ე გამანადგურებელთა საავიაციო დივიზიის შემადგენლობიდან და შევიდა ტირასპოლის გამანადგურებელთა საავიაციო დივიზიაში, რომელშიც ასევე გაერთიანებული იყო 86-ე (მარკულეშტი, მოლდავეთი) და 161-ე (ლიმანსკი) გამანადგურებელთა საავიაციო პოლკები.

ამით მოსკოვმა გააძლიერა შავი ზღვის ფლოტის ავიაცია, თუმცა, ძნელი სათქმელია, თუ ვინ ემუქრებოდა შავი ზღვის დახურულ აკვატორიაში იმ საბჭოთა კავშირს, რომელიც დაშლის პირას იყო.

გურულებს, რა თქმა უნდა, არავინ შეატყობინებდა, რომ მათი „მშობლიური" მერიის პოლკი მიხა ცხაკაიაში (სენაკში) განთავსებული დივიზიის დაქვემდებარებიდან მოლდავეთში დისლოცირებული დივიზიის შტაბს გადასცეს.

თუმცა, ეშმაკმა გურულებმა ერთი ცვლილება მაინც შეამჩნიეს, — სამხედრო-საჰაერო ძალებიდან შავი ზღვის ფლოტის დაქვემდებარებაში გადასულ მერიის მფრინავებსა და ტექნიკურ პერსონალს გამოსასვლელი ფორმაც შეუცვალეს — ამიერიდან მერიის სარკინიგზო სადგურთან თუ მახარაძეში (ოზურგეთი) მეზღვაურის შავ ფორმებში გამოწყობილი სამხედროები დადიოდნენ და ენაკვიმატი გურულები ხუმრობდნენ, ეტყობა, მიწისქვეშა საზღვაო ბაზა გაგვიხსნეს მერიასთანო.

პოლკი ისევ МиГ-23М ტიპის გამანადგურებლებით აგრძელებდა ფრენებს, როდესაც მათზე მორიგი ექსპერიმენტი უკვე შავი ზღვის ფლოტის სარდლობამ ჩაატარა. 1991 წელს მე-



მერიიდან აფრენილი МиГ-23М-ები ყულევის პოლიგონზე საჰაერო დარტყმებს აყენებდნენ

რიის 841-ე პოლკი გამოყვანილ იქნა 119-ე დივიზიის შემადგენლობიდან და ის გარდაიქმნა 841-ე ცალკეულ გვარდიულ წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო საშვეულმფრენო პოლკად.

ეს ნამდვილი კონფუზი გახლდათ მერიის იმ პილოტებისთვის, რომლებმაც მხოლოდ თვითმფრინავების პილოტირება იცოდნენ, რადგან წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ამოცანების შესასრულებლად მათ შვეულმფრენების მართვა უნდა აეთვისებინათ.

ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო, რადგან გამანადგურებლის სიჩქარეს მიჩვეული მფრინავის გადამზადება შვეულმფრენის პილოტირებაზე საკმაოდ პრობლემატურია.

მიუხედავად სირთულეებისა, მერიიდან მივლინებულმა პილოტებმა უკრაინაში ყირიმში მდებარე კაჩის სასწავლო ცენტრში აითვისეს МиГ-14П ტიპის ამფიბია შვეულმფრენების პილოტირება.

მერიაში მყოფი МиГ-23М-ების ბელორუსიაში, ბიხოვის შენახვის ბაზაში გადაიყვანეს, ხოლო მერიის აეროდრომზე МиГ-14П ტიპის შვეულმფრენები გამოჩნდნენ.

1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მერიის პოლკისა და მისი შვეულმფრენების გადაყვანას რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, ანაპის აეროდრომზე აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს და 1992 წლის შემოდგომაზე 841-ე პოლკმა არსებობა მერიაშივე შეწყვიტა.

ეს იყო ერთადერთი საავიაციო პოლკი საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი შეიარაღება დამოუკიდებელმა საქართველომ დაიტოვა. არადა, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ აეროდრომებზე (ვაზიანი, თელავი, ცხინვალი, კოპიტნარი, სენაკი, გუდაუთა, ხონი) იდგა ასობით საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი, რომლებიც რუსეთმა მთლიანად გაიყვანა. მართალია, მარნეულში 30-მდე მოძველებული Су-15ТМ ტიპის ზებგერითი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი დარჩა, მაგრამ ისინი სპეციალურად გამოიყვანეს მწყობრიდან (თბილისის საავიაციო ქარხანში რამდენიმე წელი ცდილობდნენ მარნეულიდან გადმოტანილი ორი Су-15ТМ-ის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა).

მერიაში დარჩენილი რამდენიმე МиГ-14П-დან ქართველმა სამხედროებმა მოხსნეს სპეციალური აპარატურა, რომლებიც წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად იყო განკუთვნილი და ამ შვეულმფრენებს, ძირითადად, სატრანსპორტო გადაზიდვებისთვის იყენებდნენ.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ერთ-ერთი Ми-14П რუსმა მედესანტეებმა სენაკის აეროდრომზე დაგვიწვეს. დღეისათვის საფრენადვარგისი ამ ტიპის შვეულმფრენი ქართული ავიაციის შემადგენლობაში აღარ არის დარჩენილი.

მერიის აეროდრომის ინფრასტრუქტურა განადგურებულია და მისი სამხედრო მიზნებით გამოყენება არარენტაბელურია (თუნდაც იმიტომ, რომ მოსაზღვრე **NATO**-ს წევრ თურქეთთან საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს). მეორე მხრივ, ურიგო არ იქნებოდა, გურულებს საკუთარი სამოქალაქო აეროდრომი ჰქონოდათ, რომელსაც ადგილობრივ მარშრუტებზე მფრენი პატარა სამგზავრო თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების მიღება შეეძლება.

*ირაკლი ალადაშვილი*

1991 წელს მერიის აეროდრომზე რეაქტიული გამანადგურებლების ნაცვლად შავ ზღვაში მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად განკუთვნილი МиГ-14П ტიპის შვეულმფრენები გამოჩნდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვედური პისტოლეტი ამერიკული ქუჩური გარჩევებისთვის



კურტ რასელი DC-9-ით ჰოლივუდურ ბლოკბასტერში

## მრისხანე შეხედულების, თუმცა, მცირე სიზუსტის ნახევრად ავტომატური DC-9 აშშ-ის ქუჩებში ბანდიტური გარჩევების მთავარი იარაღია

1999 წლის 20 აპრილს აშშ შეძრა საზარელმა დანაშაულმა — კოლორადოში, „კოლუმბაინის“ სკოლაში ორმა მოსწავლემ, ერიკ ჰარისმა და დილან კლიბოლდმა, ცეცხლსასროლი იარაღებით სროლა ატეხეს, რის გამოც სკოლის პერსონალიდან და მოსწავლეებიდან 13 კაცი დაიღუპა, ხოლო 23 დაიჭრა. მოგვიანებით ორივე მოსწავლემ თავი მოიკლა.

ამ ტრაგედიას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ახალგაზრდა ტერორისტებმა თითქმის უპრობლემოდ იშოვეს კარაბინი, ორი თოფი და 9 მმ-იანი ნახევრად ავტომატური საიერიშო პისტოლეტი TEC-9.

სწორედ ამ პისტოლეტით დილან კლიბოლდმა 55 ტყვია ესროლა თანაკლასელებს, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ეს სისხლის ღვრა იქცა ბოლო წერტილად, რის გამოც მისი თავისუფლად გაყიდვა აიკრძალა და ეს პისტოლეტი შევიდა აშშ-ში ჩადენილ დანაშაულებში გამოყენებული იარაღის პირველ ათეულში.

პისტოლეტად წოდებული TEC-9 ძალიან ჰგავს ტრადიციული ფირმის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს, რაც არც არის გასაკვირი, რადგან იგი თავიდან სწორედ ამ მიზნით იქმნებოდა.

80-იანი წლების დასაწყისში შვედურმა საიარაღო კომპანია Inderdynamics AB-მ 9 მმ-იანი კალიბრის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის MP9-ს საცდელი ნიმუში დაამზადა და ცდილობდა ის შვედეთის არმიისა და პოლიციისთვის მიეყიდა.

მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის არმიის შეიარაღებაში იმ დროს ჯერ კიდევ იყო მეორე მსოფლიო ომისდროინდელი Carl Gustaf Kpist M/45 ტიპის მოძველებული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, შვედმა გენერლებმა მაინც არ მოინდომეს მათი ჩანაცვლება უფრო ახალი MP9-ით.

შვედური კომპანია იძულებული გახდა, აშშ-ში, კერძოდ, ფლორიდის შტატში ქ. მაიამიში გაეხსნა ფირმა Inderdynamic-ი, რომელმაც ამერი-



ნახევრად ავტომატური პისტოლეტი TEC-9/DC-9

70/35

ეროვნული ბიბლიოთეკა

DC-9 წაგრძელებული ლულითა და გარსაცმით, რომელიც მრისხანე ტყვიამფრქვევის ასოცირებას აჩდენს



კის სამოქალაქო საიარაღო ბაზარზე **MP9**-ს (რომელიც კომპანიამ მხოლოდ 25 ცალი დაამზადა) ნახევრად ავტომატური ვარიანტი გაიტანა.

ახალ მოდელს **KG-9** ეწოდა და ის საიერიშო პისტოლეტების რიგს მიაკუთვნეს. სროლა, ისევე როგორც წინამორბედი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის, ღია საკეტიდან ხდებოდა, ანუ გადატენისას საკეტი უკანა პოზიციაში ფიქსირდებოდა.

80-იანი წლების ბოლოსთვის აშშ-ის სპეციალურმა ბიურომ, რომელიც ალკოჰოლს, თამბაქოსა და ცეცხლსასროლ იარაღს აკონტროლებს, კატეგორიულად მოითხოვა **KG-9**-ის წარმოების შეჩერება, რადგან ბიუროს სპეციალისტებმა ჩათვალეს, რომ ამ პისტოლეტის მექანიზმის გადაკეთება ნახევრად ავტომატურიდან ავტომატურ რეჟიმზე სროლის რეჟიმში დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.



მიუხედავად დაბალი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებისა, DC-9 ამერიკულ საიარაღო ბაზარზე მაინც სარგებლობს მოთხოვნით

**ჩვენი დოსიე:** საიერიშო პისტოლეტი TEC-9/DC-9 ვაზნების გარეშე 1400 გ-ს იწონის. მისი სიგრძე 317 მმ-ია, ლულის სიგრძე კი 127 მმ-ს აღწევს. მჭიდში 10, 20, 32 ან 50 ცალი 9 მმ კალიბრის „ლუგერის“ ვაზნა ჩადის.

მოდერნიზებული AB-10 ვაზნების გარეშე 1260 გ-ს იწონის, რადგან მოხსნილი აქვს ლულაზე დასამაგრებელი დამცველი ცხაური. ლულაც 76 მმ-მდეა დამოკლებული, რამაც იარაღის სიგრძე 317 მმ-იდან 266 მმ-მდე შეამცირა.

DC-9-ს ავტომატიკა დაფუძნებულია თავისუფალი საკეტის გადაადგილებაზე. გასროლა დახურული საკეტიდან ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირმის წარმომადგენლებმა სასწრაფოდ გადააკეთეს KG-9-ის დამრტყმელ-დამშვები მექანიზმი, რის შემდეგაც სროლა მხოლოდ ჩაკეტილი საკეტიდან იწარმოებდა და ავტომატური ჯერის გაშვება შეუძლებელი იყო.

მოდერნიზებულ პისტოლეტს KG-99 დაარქვეს და მისი წარმოება სხვა ფირმამ Intratec Co-მ დაიწყო, რომლის ხელმძღვანელობამ პისტოლეტი მაშინვე „გადანათლა“ TEC-9-ად.

თუმცა ამ სახელად პისტოლეტი მხოლოდ ერთი წელი იწარმოებოდა, რადგან დამნაშავეებმა ამ პისტოლეტებით მასობრივი მკვლელობები ჩაიდინეს, პისტოლეტს მწარმოებელმა სასწრაფოდ შეუცვალა სახელი.

ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ძველი სახელი TEC-9 საზოგადოებაში მასობრივ მკვლელობასთან ასოცირდებოდა, ახალი სახელი DC-9 (სხვათა შორის, ასეთივე სახელი ერქვა „მაკდონელი დუგლასის“ ორძრავიან რეაქტიულ სამგზავრო თვითმფრინავს) კი ასეთ ასოციაციას არ აღძრავდა.

1994 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც კრძალავდა 10-ვაზნიანი, ტევადობის მჭიდზე უფრო მეტტევადობის მჭიდიანი პისტოლეტების თავისუფლად გაყიდვას. არადა, შემორჩენილ TEC-9-ებს, ისევე როგორც DC-9-ებს, 20, 32 და თვით 50-ვაზნიანი მჭიდებიც კი უყენდებოდათ.



DC-9-ის არასრული დაშლა



პოლიციის მიერ კრიმინალებისგან ამოღებულ იარაღში DC-9 ყოველთვის ფიგურირებდა

პისტოლეტის მწარმოებელმა ფირმამ მორიგი ეშმაკობა იხმარა და 1995 წლიდან ახალი მოდელის Intratec AB-10-ის წარმოება განაახლა. AB-10-ში DC-9-ისგან განსხვავებით მოხსნილი იყო ლულის დამცველი გარსაცმი (რაც ამ პისტოლეტს თავიდანვე მრისხანე შეხედულებას აძლევდა) და დაკომპლექტებული იყო მხოლოდ 10-ვაზნიანი მჭიდეებით.

AB-10-ის გაყიდვა ამერიკულ საიარაღო მაღაზიებში აშშ-ის ალკოჰოლის, თამბაქოსა და ცეცხლსასროლი იარაღის კონტროლის ბიურომ უპრობლემოდ დაუშვა, რაც ამერიკელი ბიუროკრატების მორიგ ალოგიკურობაზე მეტყველებს, რადგან TEC-9-ისა და DC-9-ის 20, 32 და 50-ვაზნიანი მჭიდები (რომლებიც მოსახლეობაში დიდი რაოდენობით იყო გაყიდული) მშვენივრად ერგებოდა ახალ AB-10-საც, რაც მალევე გამოჩნდა ქუჩის სისხლიან გარჩევებში.

უცხოელი საიარაღო ექსპერტები, ვისაც ეს პისტოლეტი გამოუცდია, აღნიშნავენ მის დაბალ სიზუსტეს, დიდ მასას და გამოყენებული მასალის დაბალ ხარისხს. ეს ყველაფერი კი უფრო იმაზე მიუთითებს, რომ შვედმა მეიარაღეებმა ერთჯერადი, ქუჩური გარჩევებისთვის გამოსაყენებელი იარაღი შესთავაზეს თანამედროვე ამერიკელ განგსტერებს.

***ირაკლი ალადაშვილი***



დამოკლებულლულიანი და 10-ვაზნიანი AB-10


არსენალი
ISSN 1987 - 5061
DC-9